კვირის პალიტრა

მზე

N14(147) 3/IV.-9/IV.2003. ფასი 60 თ.

გენეტიკურად მიღებული „ბომბი“

168
2003

მშობლების გაყრის მიზეზი — ბავშვის თანდაყოლილი ნაკლი

„ჯემალ, შვილო, მოდი სახლში. ყველაფრის გარეშე მოდი, გთხოვ, დედა“

ვინ დაეპატრონა მაკას სამოდელო ბიზნესს

პროფესია მოსამართლე და ცხოვრების სტილი

გიორგი კანდელაკი:

„რამდენიმე წუთის წინ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ისე დამაბნია... ინტერნეტში ინფორმაცია ვნახე, რომ უდანაშაულო კაცის ცემისთვის გედავებიან, შენი მენეჯერიც თანახმაა, რომ ეს ბრძოლა ჩაიშალოს და მსოფლიო ჩემპიონობაც ჩამოგერთვასო... გული გამისკდა...“

გვ. 36

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲐ
№14 (147)
3 - 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 2003
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲞᲠᲘᲚᲝ ᲡᲐᲚᲐᲦᲝᲑᲝ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲝᲛᲘ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ
● „ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲢᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲔᲑᲬᲧᲝᲡ...“ 6
● „ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ...“ 7
● „ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ, ᲒᲔᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲙᲘ, ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ“ 7
ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲫᲚᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲙᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲗᲔᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ 8
ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ
ᲨᲐᲠᲥᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐᲡ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ 10
ᲭᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
● ᲫᲛᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲫᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 26 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲡ 12
● ᲜᲘᲙᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲖᲠᲐᲮ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲮᲚᲘ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲔᲡ 13
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 16
ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲣᲚᲘ
ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ 16
ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ
„ᲪᲝᲢᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲗᲑᲔᲑᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲜᲔᲚᲐᲓ...“ 18
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ
ᲐᲤᲝᲠᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ 19
ᲐᲛᲞᲚᲣᲐ
ᲓᲘᲓ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔ, ᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ 20
ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲣᲪᲜᲝᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲚᲗᲐ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ? 22
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲠᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚ ᲛᲐᲜᲙᲡ 24
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ
ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 26
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲚᲘᲪᲘᲐᲖᲔ 28
ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ
„ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲐᲪᲔᲑᲣᲚᲐ – ᲘᲡ ᲑᲘᲭᲐᲓ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ...“ 29

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲝᲗ ᲓᲘᲓᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲜᲐᲙᲣᲠᲗᲮᲘ ᲖᲔᲗᲘ?



– ᲓᲘᲓᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲪ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ.

35

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲫᲚᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲙᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲗᲔᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ

ᲛᲐᲙᲐᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ: ᲛᲘᲓᲘ, ᲠᲐ, ᲨᲔᲜ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲔ ᲛᲝᲓᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ – ᲐᲜ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲐᲜ „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡ“ „ᲛᲐᲢᲝᲠᲡ“, ᲣᲙᲕᲔ ᲘᲡᲔ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲖᲔᲝ...

8

ᲫᲛᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲫᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 26 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲡ

ᲕᲔᲠᲫᲐᲫᲔᲔᲑᲘ ᲐᲕᲒᲝᲛᲐᲜᲓᲘᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲜᲐ ᲔᲭᲘᲠᲐ. ᲕᲔᲠᲫᲐᲫᲔᲔᲑᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲓᲐᲐᲞᲘᲠᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲘᲥᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔᲡ ᲨᲔᲔᲑᲜᲔᲜ.

12

ᲠᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚ ᲛᲐᲜᲙᲡ



ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲘᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲕᲣᲙᲔᲗᲔᲑᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲣᲙᲔᲗᲝᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐᲘᲔᲠᲣᲞᲔᲑᲐᲛᲔᲗᲥᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲛᲘᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲐ. ᲝᲠᲝᲜᲓ ᲔᲡ ᲜᲐᲙᲚᲘ ᲛᲝᲕᲐᲪᲘᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲓᲐᲘᲠᲣᲞᲝᲡᲝ, – ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ...

24

სოჯახო ფსიქოლოგია
- დედოფალი და კონკია, ანუ ზღაპარი პირიქით 32
- ოჰ, ყველაფერი ხომ ჩემი ბრალია! 33

ხარება
ხარების დღესასწაული თევზით ხსნილია 34

ტაძარი
რატომ უნდა ვიცხოთ დიდმარხვის დროს ნაკურთხი ზეთი? 35

კერპი
რინგზე დაღვრილი ცრემლები, „შეთხზული“ ჰიმნი და მომავალი შერკინება სანდერსთან 36

კომენტარი
გიორგი კანდელაკი პარლამენტში რინგის მოწყობას აპირებს 38

ქართველები
წამებული გვირგვინოსანი დემეტრე თავდადებული 39

ტესტი
ერთგული მკითხველი 41

რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი
გვინეტ პელტროუ: „სპორტი სიყვარულის საუკეთესო საკაზმია!“ 46

საფეხბურთო მინდვრებზე 49

ფავორიტი
ორმეტრიან ყაზილარს ვირთხების ეშინია 50

ავტო 52

იქითური 54

ჯანმრთელობა
- სექსუალური ლტოლვა 56
- ისევ 37,5° 57
- მცდარი მოსაზრებანი სწორ კვებაზე 58
- კითხვა-პასუხი 59

სპორტული მოზაიკა 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი
კვირის (7-13 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი
განაჩენი რომეოსა და ჯულიეტასთვის 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და მინისტრებზე შეყვარებული მისი ქალიშვილი

სამსახურში კომპლიმენტს არავინ მეუბნება. ასე სჯობს. პროფესია ჰკარნახობს ადამიანს ცხოვრების სტილს, თუნდაც ჩაცმულობას. თბილისში საღამოს კაბა არასოდეს ჩამიცვამს. ამის უფლებას თავს მხოლოდ უცხოეთში ვაძლევ.

26

„ცოტა რომ დათბება, აუცილებლად წავალ გაგრაში ჩემი შვილის საძებნელად...“

თბილისის ერთ ძველ უბანში, ჭიშკარზე ასეთი წარწერაა: „ჯემალ, შვილო, მოდი სახლში, ყველაფრის გარეშე, ყველაფერი აქ დაგხვდება. სიცოცხლევ, მოდი, გთხოვ. დედა.“ როდესაც წვიმა თუ მზე ნაწერს გაახუნებს, ძველის ადგილს, ახალი წარწერა იკავებს და ასე გრძელდება 10 წლის განმავლობაში...

18

გვინეტ პელტროუ: „სპორტი სიყვარულის საუკეთესო საკაზმია!“

ყველა ჩემს თაყვანისმცემელს უნდა უყვარდეს მოტოციკლით ქროლა, თუ არა და, ჩვენ არაფერი გამოგვივა. მე ხომ გიჟი გოგონა ვარ, რომელსაც ნეგატიური ემოციები ახასიათებს და პერიოდულად ამ ემოციების გადმოფრქვევა სჭირდება“, – განაცხადა მსახიობმა.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

მაგრამ გურამმა აღარ აცალა, მაგიდა გვერდზე გასწია, თავად დეას ფეხებთან მოირთხა, მუხლებშუა ქალის კოხტა მუხლები მოიმწყვდია, ფართო ხელები წელზე შემოხვია და თავი პირდაპირ კალთაში ჩაუდო. ეტყობა, დეა, ამას არ ელოდა.

42



საპირველაპრილო საღამო

ამბობენ, რაც უფრო მეტ დღესასწაულს ზეიმობს ერი, მით უფრო ბედნიერიაო. ჰოდა, რაღა გვიჭირს? დღესასწაულების სიმრავლე ჩვენ რომ გვაქვს, ისეთი უნდა. აიღეთ კალენდარი და გადაფურცლეთ ნებისმიერ გვერდზე – დღესასწაული და გამოსასვლელი დღე არ არის სუყველა?! ერთბაშად, სამსახურში არ მიგეჩქარებოდეს! გამოსასვლელი დღე იმას ნიშნავს, დილაადრიან რომ გამოხვალ ჯიბეცარიელი შინიდან, ეგება, ორი „კაპიკი“ ვიშოვოო, – და ისეთივე ცარიელი რომ მიბრუნდები გვიან ღამით... ამ დილით მეზობელი შემხვდა; მეცნიერი კაცია, პროფესორი და რომ ვკითხე – როგორ ბრძანდებით-მეთქი? – მიპასუხა – ჩონგურივით: იმასაც სამი ლარი აქვს და მეცო... ჩაქცეულო მელეხო-მეთქი, – გავიფიქრე და ჩემი ჯიბის კუთხეში შიშისაგან მიმალულ ერთადერთ ლარიანს ხელი ისე მოვუჭირე, რომ მასზე გამოსახულ ფიროსმანს სიმწრისაგან ცრემლები წამოსცვივდა...



ვენაცვალე კომუნისტებს! დღესასწაულების აღნიშვნა მაშინ იყო, თუ იყო: ჯერ ჯიბეებს ხომ აგივსებდნენ ხელფასითა და მე-13 ხელფასით, მერე „საპრაზდნიკო“ პრემიასაც ჩაგიჯიბავდნენ და აღარ იცოდი, ამდენი ფულით რა გეყიდა. ახლა კი იცი, რა უნდა იყიდო, მაგრამ არ იცი, რით უნდა იყიდო.

ჩვენც ბედნიერები ვიყავით და სახეგაბადრულები გავდიოდით 7 ნოემბერსა და 1 მაისს „პარადზე“. ვიცოდით, რომ ლენინი ჩვენი მამა იყო, პარტია – დედა, მარქს-ენგელსი – ბაბუები და ჩვენ – პროლეტარები...

მკითხავთ ალბათ, მაშინ ვიყავით პროლეტარები, 2 მანეთად შამპანურს რომ ვსვამდით, თუ ახლა – ლარიან არაყს რომ ძლივს ვყიდულობთ, რომელიც თირკმელსაც შლის, ღვიძლსაც – და გულსაც აჩერებსო?..

რა მოხდა, მერე? რა საჭიროა თირკმელი, ღვიძლი და მით უმეტეს გული? უგულოდ მუშაობს მთელი ჩვენი მთავრობა, მაგრამ კია კერკეტი კაკალივით. მოკლედ, გეგონება, ღმერთმა ადამიანი საჭირო ორგანოებით კი არ შექმნა, ელიავას „ბარახოლკაზე“ ააწყო გადაყრილი ნაწილებისგანო...

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც პირველი აპრილი გვიყვარს – შეგვეფერება ქართველებს და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პირველი აპრილი კარგა ხნის დაწყებულია და არც ბოლო უჩანს ჯერჯერობით. საერთოდ, ყველა ანდაზას თურმე, თავისი „პრაქტიკული გამართლების ქვეყანა“ გააჩნია. მაგალითად: ბრაზილიაში – „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“ ამართლებს: გარინჩა იმდენ კაცს ატყუებდა ფეხბურთში, რომ სულ დაუმოკლდა ცალი ფეხი... როგორც ვატყობ, ეს გამოთქმა საქართველოში არ ამართლებს, თორემ ჩვენი მთელი ხელისუფლება სულ კოჭლობით უნდა დადიოდეს... სამაგიეროდ – „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“ – ისეა ზედგამოჭრილი ჩვენი ქვეყნისათვის, რომ პრეზიდენტი რომ ვიყო (არ გეტკინათ მანამდე არაფერი...), ყველა არჩევნებს პირველ აპრილს დავნიშნავდი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესაც ამ თარიღს დავამთხვევდი და სახელმწიფო ჰიმნადაც დავამტკიცებდი სიმღერას – „ჩვენი ცხოვრება პირველი აპრილია“...

– გენაცვალე კაკალ გულშიო – იმერლები რომ იტყვიან... საპირველაპრილო დაპირებებში თქვენ ხომ ბადალი არა გყავთ!.. ჯერ იყო და, 24-საათიან განათებას რომ დაგვპირდით, სად იყო მაშინ შუქის ასეთი გასაჭირი? ახლა, გამდნარ სანთელს ვიწვეთებთ ხელზე გასათბობად; მერე „ეკონომიკური აღმავლობისკენ 180 გრადუსით შემობრუნება“ დააწერეთ პლაკატებზე და მას შემდეგ, ყოველ არჩევნებზე ვბრუნავთ 180-180 გრადუსით. ახლა საით გვიწევს შებრუნება, სათვალავი ამერია, მაგრამ არ დავეძებ – ოღონდაც ვიაროთ და ან XXI საუკუნეს დავწევით, ან კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებს დავუბრუნდებით.

– „ამფერი აბდლობა გინახავთ სადმე?!“ – გურულები რომ იტყვიან... აბდლობაა, აბა რა, ასეთი „ბულკივით“ მთავრობის ხელში სტალინის გაცოცხლებას რომ ინატრებ კაცი. ახლა რომ სტალინი ადგეს (ისე აუდგა ჩვენს მტერს... გვერდები), ხომ გააციმბირებს ამ „ნაპატივებ“ მინისტრ-პარლამენტარებს? არადა, სადღა გვაქვს ციმბირი?! ჩვენი ციმბირი ახლა პანკისია და მაგათ რომ პანკისში მოიყარონ თავი, ხომ „აბუნტდა“ მთელი მსოფლიო – ისევ ტერორისტების და ყაჩაღების ბუდეა ხეობაშიო!.. მოაბრუნებს ბუში მთელი კოალიციის ჯარებს ჩვენს წინააღმდეგ და როგორია მერე, ერაყელებივით სულ შუქი გვექნეს და გემი გემზეც მოგვადგეს ჰუმანიტარული დახმარებით?!

ამიტომ ენას კბილი დავაჭიროთ და ვყლაპოთ დაპირებები – ჩვენში ხომ სულ პირველი აპრილია, „ქვე რა გვენაღვლება, ბოშო“ – რაჭველები რომ იტყვიან... რა გვაქვს საწუწუნო? ამერიკაში თურმე, 2.500 დოლარი ყოფილა საშუალო ხელფასი – ვაი, მაგათ პატრონს!.. ინგლისში კი, 1.800-2.000 გირვანქა სტერლინგია და გერმანიაში ეს თანხა 3.000 „დოიჩმარკას“ (ბოდიში – უკვე ევროს) შეადგენსო, ამბობენ – არ მოკვდები სიცილით?!.

ვიცი, მკითხავთ – რას დასცინი ამ ზეგანვითარებულ ქვეყნებს? რა სჭირთ შენისთანა მათხოვრის დასაცინიო? – მაგრამ მაგიტომ დავცინი სწორედ: ხომ გაგიგონიათ – ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო, – და იქნებ, ჩვენც დაგვემართოს ეს ყველაფერი!

მანამდე კი, მინდა ვისარგებლო პროვოკატორის უფლებებით, კიდევ ერთხელ მივულოცო მუდამ პირველი აპრილი ჩვენს ხელისუფლებას და ვუთხრა: „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ არც თქვენ ხართ და არც პირველი აპრილი. ამიტომ ან დროზე მოიშალეთ „მიუნჰაუზენობა“, ან არადა... კახელებმა რომ იციან!!!

P.S. მადლიერი მოსახლეობა სამთავრობო რეზიდენციის ფანჯრებთან ღამის სერენადას უმღერის საყვარელ ხელისუფლებას:

„ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე,
რომ დაგვპირდი – წავალო, რატომ დაიგვიანე?..“

პროვოკატორი

„თანამდებობიდან ჩხაიძის წასვლით ქვეყანა არ დაიცვება“

— ბატონო კობა, თქვენ კახა თარგამაძის დროინდელი კიდევ ერთი კადრი გაათავისუფლეთ თანამდებობიდან. თარგამაძემ კი, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს, თქვენ შესახებ დასმულ კითხვაზე უპასუხა: უმჯობესი იქნებოდა, „დონეების“ შესახებ გეკითხაო. რა ხდება თქვენ შორის?

კობა ნარჩემაშვილი, *შინაგან საქმეთა მინისტრი:*

— ვიტყვი მხოლოდ ერთს: ზურაბ ჩხაიძემ თვითონ ისურვა დაკავებული თანამდებობიდან წასვლა და მისი თხოვნა დავაკმაყოფილეთ. ის, თუ რა იყო ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, ალბათ მხოლოდ ჩხაიძემ იცის. მე როგორც ვიცი, ის ამბობს, რომ დაიღალა და ამიტომ დავაკმაყოფილე მისი თხოვნა. ზურაბ ჩხაიძე პროფესიონალია და მე, როგორც კარგ ადამიანს, მას ნამდვილად პატივს ვცემ, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ თანამდებობიდან მისი წასვლით ქვეყანა დაიცვება. კახა თარგამაძის განცხადებას კი, კომენტარს არ გავუკეთებ. მართალია, მან ჩვენი მისამართით სიტყვა „დოყლაპიებიც“ კი გამოიყენა, მაგრამ მე ჩემს თავს უფლებას არ მივცემ, ასეთი შეფასებები ვინმეს ვაკადრო. საზოგადოება თვითონ გაარკვევს, ვინ ვინ არის. ■

გამომძიებლებს და პროკურორებს იმუნიტეტი ვეღარ დაიცავს

— იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, სახალხო დამცველს, გენერალურ პროკურორს და კონტროლის პალატის თავმჯდომარეს იმუნიტეტი შეეზღუდებათ, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატებს — საერთოდ მოეხსნებათ. იქნებ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს იმუნიტეტის შეზღუდვა და რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათზე სამართლებრივი დევნის განხორციელება?

გიორგი გოგიბერიძე, *იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი:*

— პირველ ყოვლისა მოგახსენებთ, რომ ეს პროექტი პრეზიდენტის ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „გერკოს“ რეკომენდაციათა შესაბამისად მომზადდა. კანონპროექტის თანახმად, გენერალური პროკურორი, სახალხო დამცველი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე იმუნიტეტს ექვემდებარებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მათ იმუნიტეტი ვეღარ დაიცავს და ამ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის, რომელიმე სუბიექტის თანხმობა საჭირო აღარ იქნება. ახალი პროექტის მიხედვით, იმუნიტეტი საერთოდ მოეხსნება გამომძიებლებს და პროკურორებს, რომლებიც, დღეს მოქმედი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, ასეთი იმუნიტეტით სარგებლობენ. პროექტი იმუნიტეტის მოხსნაზე თანხმობის მიცემის პროცედურასა და ვადებსაც აზუსტებს. თუ გარკვეულ ვადაში არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული, იმუნიტეტი ავტომატურად მოიხსნება. ■

„პიანინოზე მხოლოდ შევარდნაძე უკრავს...“

— როგორც პარლამენტში ამბობენ, თქვენზეა ნათქვამი: ვინც ენდო, ინანა, მაგრამ ვინც არ დაუჯერა — უფრო მეტად ინანაო... იგულისხმება სახელმწიფო მინისტრი, ავთანდილ ჯორბენაძე, რომელმაც უგულებელყო თქვენი რჩევა მინისტრთა კაბინეტის შექმნის თაობაზე. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

აკაკი ასათიანი, *„ტრადიციონალისტთა კავშირის“ თავმჯდომარე:*

— სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე ავთანდილ ჯორბენაძის დამტკიცებისთანავე დავაყენეთ საკითხი მინისტრთა კაბინეტის შექმნის თაობაზე. მან თქვა, რომ ორი წელი ამაზე არც უნდა გვეოცნება. ახლა ის თავისივე სიტყვების შედეგებს იმკის. ის მხ-

ოლოდ ერთ-ერთი მინისტრია. თავად მინისტრები და პრეზიდენტი უშლიან ხელს იმას, რომ ჯორბენაძე „მინისტრების უფროსი“ გახდეს. შევარდნაძეს ჯორბენაძე პიანინოს მაღალ სართულზე ასატანად სჭირდებოდა, მან კი, პიანინოზე დაკვრა მოინდომა, ეს პრეზიდენტს არ მოეწონა: პიანინოზე მხოლოდ შევარდნაძე უკრავს... არადა, ჯორბენაძე მართლაც იყო პრეზიდენტის ოჯახში ფავორიტად მიჩნეული. ჩემი აზრით, ისიც შევარდნაძის ჩვეული სტილის მსხვერპლია. ვისაც კი, პრეზიდენტმა შვილი ან მემკვიდრე უწოდა, ყველას ერთნაირი ბედი ერგო. როგორც კი ჟვანიას პრემიერ-მინისტრი და მემკვიდრე უწოდა, იმწამსვე გადაჰკიდა ყველა. ჟვანიამ მაშინ მართლა მემკვიდრედ წარმოიდგინა თავი... ჟვანიამაც დაიჯერა, ჯორბენაძემაც დაიჯერა... ეს განაჩენივით არის. კარგია, რომ პრეზიდენტს ჩემთვის არც „შვილი“ დაუძახია და არც მემკვიდრედ მსახავს... ■

საპატიმროებში 800-მდე ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს და შეწყალებას ელის

— *გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილი მეომრები, რომლებიც სხვადასხვა კოლონიაში იხდიან სასჯელს, შეწყალებას ითხოვენ და შიმშილობის აქციის მოწყობას გეგმავენ. რამდენი ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს და შესაძლებელი იქნება თუ არა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება?*

ნანა დევდარიანი, *სახალხო დამცველი:*

— საპატიმროებში ამჟამად, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის 800-მდე ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს. პატიმრები მოითხოვენ, რომ გადაიხედოს მათი საქმეები ან მათზეც გავრცელდეს პარლამენტისა და პრეზიდენტის 2000 წლის 20 აპრილს მიღებული დადგენილება, რომელიც მხოლოდ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე მეომარ პატიმრებს შეეხო. ჩემი აზრით, მათი მოთხოვნა სამართლიანია და 20 აპრილის დადგენილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ნაბრძოლ ყველა მსჯავრდებულზე უნდა გავრცელებულიყო. ვფიქრობ, ყველა მებრძოლზე შეწყალების აქტის გავრცელება შესაძლებელია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზემოთ ხსენებული კატეგორიის მსჯავრდებულების შეწყალება მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა განხორციელდეს. პრეზიდენტის მიერ შეწყალების ახალი აქტის გამოცემამ შეიძლება, ისევ გაუგებრობა გამოიწვიოს. შევარდნაძეს ხშირად ედავებიან, რომ იგი კრიმინალებსა და ტერორისტებს ათავისუფლებს. ამიტომ, პრობლემის გადაჭრის რეალურ გზად ისეთი დადგენილების მიღება მიმაჩნია, რომლის საფუძველზეც შესწავლილი იქნება ყველა მეომარი პატიმრის საქმე და შემდეგ გადაწყდება მათი გათავისუფლების ან საპატიმრო ვადის შემცირების საკითხი. ■

ნუთუ, აპრილში თოვლი მოვა?!

— გაზაფხული ჭირვეული ამინდებით დაიწყო. როგორ ამინდს უნდა ველოდოთ აპრილში?

ნიკოლოზ გერაძე, *ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი:*

— აპრილში არც ძალიან ცივი ამინდია მოსალოდნელი და არც განსაკუთრებით თბილი. თვის საშუალო ტემპერატურა 10 გრადუსი იქნება. აპრილის პირველ დეკადაში, ცალკეულ დღეებში, ღამით მოსალოდნელია ტემპერატურის 0 გრადუსამდე დაწევა. თვის მეორე ნახევარში, დღისით ჰაერი შესაძლოა, 25 გრადუსამდეც გათბეს. საშუალო მრავალწლიური ნორმის ფარგლებში იქნება ნალექის რაოდენობაც. განსაკუთრებით ნალექიანი სავარაუდოდ, 12 აპრილი იქნება. არ არის გამორიცხული, რომ აპრილის დასაწყისში, თოვლიც მოვიდეს. ■

წვევამდელთა ადგილს რეზერვისტები იკავებენ

— მიღებულია გადაწყვეტილება ქართულ ჯარში სამხედრო მოსამსახურეთა კონტინგენტის 20 ათასიდან 15 ათასამდე შემცირების შესახებ. ვინ მოყვება შემცირებაში — შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა თუ ეს ყველა სამხედრო მოსამსახურეზე გავრცელდება?

დიმიტრი ლეჟავა, *თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი, ბრიგადის გენერალი:*

— ეს შემცირება ქართულ ჯარში მიმდინარე რეფორმის კონცეფციის მიხედვით განხორციელდება და შეეხება არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას. შემცირებები 2005 წლისთვის უნდა დასრულდეს. რეფორმის ვარიანტები შეიმუშავა უცხოელ მრჩეველთა ჯგუფმა. მათი წინადადებით, თუ საზღვაო ძალები თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში დარჩება და სამოქალაქო პირები თავდაცვის სამინისტროში აღარ იმუშავებენ, მაშინ შეიარაღებული ძალების რაოდენობა 15 ათასამდე შემცირდება. ბუნებრივია, როცა ჯარი მცირდება, უნდა გაიზარდოს რეზერვი. ამისათვის საჭირო, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს — ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით, რეზერვისტთა ბატალიონები მზადდება, რამდენიმე სამხედრო შენაერთს სხვა ქვეყნები მოამზადებენ. მაისში, გორში უნდა გაიხსნას უნტეროფიცერთა სკოლა, რომელიც წელიწადში 300 სერჟანტს მოამზადებს. აღსანიშნავია, რომ რეფორმის განხორციელებისას, წვევამდელთა რიცხვიც შემცირდება. საგაზაფხულო გაწვევის გეგმა 11 ათასი წვევამდელიდან, 6 ათასამდე შემცირდა. რეზერვისტთა ბაზაზე ახალი ბატალიონები კომპლექტდება. წვევამდელთა ადგილს რეზერვისტები იკავებენ. ■

„ქვეყანას, ფთილი ისლამური საფუძრო საქართველოს წინააღმდეგ მტრულად ჯანგწყოს...“

როგორც აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გურამ ჩიქოვანი ამბობს, ერაყში ქვიშის ქარიშხლების დაწყება ბევრ თავსატეხს გაუჩენს კოალიციურ ჯარს. მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა, ამერიკას უფრო ადრე რომ დაეწყო ომი. ქვიშის ქარიშხლები, რომელიც ამ რეგიონისათვის მარტსა და აპრილშია დამახასიათებელი, კვლავ შემაფერხებელი გახდება მოკავშირეებისათვის. ეს არ მოხდებოდა, ბუშის ადმინისტრაციას აღმოსავლეთმცოდნეებისთვის რომ ეკითხა რჩევაო, — მიაჩნია გურამ ჩიქოვანს.

ნინო ჯავახიშვილი

— აღმოსავლეთი სავსეა მოულოდნელობებით. განსაკუთრებით ეს უდაბნოზე ითქმის. ძველად, როდესაც მას ქარავნები კვეთდნენ, მკაცრად იყო დადგენილი უდაბნოში შესვლის დრო და მოგზაურობის ხანგრძლივობა. ზუსტად იყო განსაზღვრული, ამ თუ იმ უდაბნოს მეტეოროლოგიური პირობები, ქარიშხალთა ნაირსახეობა. მიუხედავად ამისა, არაბულ ლიტერატურაში მაინც არის დაფიქსირებული უდაბნოს ქარიშხლის მიერ მრავალი ქარავნის შთანთქმის შემთხვევები... უდაბნოს დღესაც შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ომის მსვლელობაზე. ერაყში ხომ ზამთარს, პრაქტიკულად, პირდაპირ ზაფხული ცვლის. მალე ერაყში ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსს მიაღწევს. უკვე დაუბერა ქარმა, რომელსაც შიმალის უწოდებენ და რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვიშის ქარიშხლები. ამ დროს, ხილვადობა ფრიად გაძნელებულია და მწყობრიდან გამოდის საკომუნიკაციო სისტემები. მაისიდან სექტემბრამდე, უდაბნოში უკვე დაუბერავს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი, სახელწოდებით — კავს. იგი იმდენად ძლიერია, რომ ცვლის რელიეფს და ანგრევს შენობა-ნაგებობებს. ქვიშის ქარიშხალსაც ერაყელები უკეთ გაუმკლავდებიან, ვიდრე ამერიკელები, რადგან ისინი უფრო შეგუებულნი არიან მშობლიური უდაბნოს პირობებს.

— როგორ ფიქრობთ — შესაძლებელი იყო თუ არა ომის თავიდან აცილება?

— ვფიქრობ, გაეროს ინსპექტორებს ერაყში მუშაობის შესაძლებლობა რომ მისცემოდათ, ისინი შეძლებდნენ ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და საერთოდ, მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენას და აიძულებდნენ ერაყს, გაენადგურებინა იგი. ერაყი აღარ წარმოადგენდა დიდ საშიშროებას ამერიკისთვის, რადგან უკვე ძალიან დასუსტებული იყო. სადამ ჰუსეინს აღარავინ იცავს — ის არის დიქტატორი, რომელიც თავისი ხალხისთვისაც მიუღებელია. მაგრამ ასევე მიუღებელია ისიც, რომ ლოზუნგით — „თავისუფლება ერაყელ ხალხს!“ — ამერიკელები ბომბავენ და მიწასთან ასწორებენ უძველესი კულტურის ქალაქებს, ნაკრძალებს. რა გამოდის? — თავისუფლების ლოზუნგით მიმდინარე ომს, ერაყელი ხალხის დიდი ნაწილი ეწირება... მე არაერთხელ ვყოფილვარ ერაყში და შემიძლია გითხრათ: ინტელიგენციამ მშვენივრად იცის, რომ დიქტატურის პირობებში ცხოვრობს. ვერც იმას ვიტყვი, რომ ერაყელები მასობრივად, კეთილგაწყობილნი არიან ჰუსეინის მიმართ. მაგრამ ამ ომის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც ნავთობია! მოგეხსენებათ, ნავთობი ძალზედ ხშირად განსაზღვრავს პოლიტიკას და ხშირადვე, პოლიტიკის შედეგსაც განაპირობებს: ის ქვეყნები, რომლებიც დღეს ერაყში ომის წინააღმდეგ გამოდიან, ხვალ ნავთობის წილის გარეშე დარჩებიან...

— თქვენ თქვით, რომ ისლამური და აღმოსავლური სამყარო ძალიან თავისებურია. ყველაზე მკაფიოდ მაინც, რაში გამოიხატება ეს თავისებურება?

— ომი მიმდინარეობს ნაჯაფისა და ქერბელას ტერიტორიებზე. ეს არის მუსლიმანთათვის წმიდათაწმიდა ადგილები. ნაჯაფში არის ალის მეჩეთი. ეს ისეთი ადგილია, სადაც საერთოდ, წარმოუდგენელია, ვინმე მტრული განზრახვით შევიდეს... შარშან, ბაღდადის უნივერსიტეტის მიწვევით ვიყავი ჩასული ერაყში და ნაჯაფი და ქერბელა დავათვალიერე. წარმოიდგინეთ — იქ ისევ შუა საუკუნეების ატმოსფერო სუფევს, დრო თითქოს შეჩერებულია... იქ არის ოქროს გუმბათოვანი მეჩეთები, რომელშიც სალოცავად ასიათასობით ადამიანი შედის. აქედან გამომდინარე, წარმომიდგენია, ასეთ ადგილებში საომარი ოპერაციების გაჩაღება თუ რა მტრულად განაწყობს მთელ ერაყს. ისინიც კი, ვინც აქამდე, სადამ ჰუსეინის დიქტატორულ რეჟიმს უპირისპირდებოდა, ბოლომდე იბრძოლებენ, რადგან ამერიკელებმა მათი წმინდა ადგილები ხელყვეს. ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, შეიძლება თუ არა, რომ ეს დაპირისპირე-

გურამ ჩიქოვანი (ცენტრში) კატარის დედაქალაქ დოჰაში, მასპინძლებთან ერთად

ბა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებაში ან ქრისტიანულ სამყაროსა და ისლამურ სამყაროს შორის მტრობაში გადაიზარდოს. არა მგონია, ომის შედეგად, ასეთი გლობალური დაპირისპირება მოხდეს. მაგრამ იმის რეალური საშიშროება კი არსებობს, რომ მთელი ისლამური სამყარო, ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, ამერიკის წინააღმდეგ მტრულად განეწყოს.

— ცნობილია, რომ ერაყში, მუსლიმანების გარდა, ქრისტიანებიც ცხოვრობენ. მათ შესახებ რას გვეტყვით?

— არაოფიციალური მონაცემებით, ერაყში დაახლოებით მილიონი ქრისტიანი ცხოვრობს. ერაყში ცხოვრობენ სომხებიც — კათოლიკეებიც და გრეგორიანელებიც. ბაღდადის ცენტრში სომეხი გრეგორიანელების ეკლესია დგას. მართლმადიდებელი მრევლი კი, ერაყში მცირერიცხოვანია — სულ დაახლოებით 500 კაცამდე. ის ფაქტი, რომ ერაყის ვიცე-პრემიერი, ტარიკ აზიზი, ქრისტიანი გახლავთ, ხომ მეტყველებს რელიგიურ შემწყნარებლობაზე?!. მე მიცხოვრია ეგვიპტეშიც და სირიაშიც და დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ იქ ქრისტიანთა დისკრიმინაცია არ ხდება. მაგალითად, სირიის დედაქალაქ დამასკში ქრისტიანული ეკლესიებიც არის და მეჩეთებიც. საერთოდ, მთელი აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელია რელიგიური შემწყნარებლობა. მუხედავად სადამის დიქტატორული მმართველობისა, ნაკლებად სავარაუდო მგონია, ტერორისტებთან და ისლამისტ-ფუნდამენტალისტებთან კავშირი ჰქონდეს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ერაყის ხელისუფლება არის საერო, რაც არაბული ქვეყნებისთვის და ისლამისტ-ფუნდამენტალისტებისთვის მიუღებელია. ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. შეიძლება, პარადოქსულია, რასაც ვამბობ, მაგრამ ისევე, როგორც ამერიკისთვის არის მიუღებელი სადამ ჰუსეინის ავტორიტარული რეჟიმი, ასევე მიუღებელია მისი საერო მმართველობა ისლამისტებისთვის და ამიტომ ცდილობენ, სადამ ჰუსეინის საერო ხელისუფლების დამხობას. რაც შეეხება საქართველოს — ჩვენი ქვეყანა დღეს არ არის მზად საიმისოდ, რომ ერაყის მოწინააღმდეგის მხარეზე ჩაერიოს ამ ომში, თუნდაც იმიტომ, რომ შინაკონფლიქტები გვაქვს „დაკონსერვებული" — აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ვგულისხმობ. გასაგებია, რომ მხარი დავუჭირეთ ამერიკას, როგორც მოკავშირეს, მაგრამ არსებობს იმის საფრთხეც, რომ მთელი ისლამური სამყარო საქართველოს წინააღმდეგ მტრულად განეწყოს... ■

სხვადასხვა ქვეყნის ავტორიტეტულ ექსპერტთა აზრით, ერაყში მიმდინარე ომი ნავთობზე ფასების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ გავლენას მოახდენს მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. საქართველოშიც უკვე გაძვირდა ნავთობი... რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ერაყში მიმდინარე ომმა საქართველოზე? — ამ კითხვით კიდევ ორ ექსპერტ-პოლიტოლოგს მივმართეთ.

სოსო ცინცაძე: „ერაყის ომი რამდენიმე ქართველისთვის სარფიანი აღმოჩნდება..."

— ომის გახანგრძლივების შემთხვევაში, ბევრი ექსპერტი ჩვენს ქვეყანაში ნავთობის გაძვირების ტენდენციის დაწყებას ვარაუდობს. თუმცა, აღნიშნული პერსპექტივა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ ვაშინგტონი ომს დაგეგმილ ვადებში ვერ დაამთავრებს და ერაყელთა წინააღმდეგობის გადასალახავად, დამატებითი ძალისხმევა დასჭირდება. ომის მალე დამთავრებამ შესაძლოა, ეკონომიკურ პროცესებზე რადიკალურად განსხვავებული გავლენა იქონიოს. რაც შეეხება ნავთობის გაძვირებას — ომის დაწყებამდე, ერთი ბარელის ფასი მართლაც, 50 დოლარამდე გაძვირდა, მაგრამ 2-3 დღეში, 32 დოლარამდე ჩამოვიდა. ნავთობის კრიზისის გამო, 1973 წელს, მთელი ევროპა ველოსიპედებით დადიოდა. ბუში ამ შემთხვევის გამეორებას აღარ დაუშვებს და მოწინააღმდეგეს ასეთ კოზირს ხელში არ მისცემს. ამერიკამ ქუვეითთან ხელშეკრულება დადო, რომლის ძალითაც, ომის დაწყების დღიდან, ამ ქვეყანამ ნავთობის ექსპორტი დღეში 300 ათასი ბარელით გაზარდა. ამიტომ, ჩემი აზრით, ნავთობის ფასი იმდენად არ მოიმატებს, რომ რომელიმე ქვეყანა მძიმე კრიზისში აღმოჩნდეს. მაგრამ საქართველოსთვის, ომის გაგრძელებას რა შეიძლება მოჰყვეს, ეს ძნელი სათქმელია: აქ ხომ ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს და აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ ცალკეულმა ადამიანებმა ერაყში მიმდინარე ომით ისარგებლონ და შეეცადონ, საკუთარი გამდიდრების საშუალებას მიაგნონ. მთავარია, ხელისუფლებამ პროცესები აკონტროლოს და არ დაუშვას, რომ გარკვეულმა ძალებმა ხელოვნურად შექმნან საქართველოში ეკონომიკური პრობლემები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყის ომი რამდენიმე ქართველისთვის სარფიანი აღმოჩნდება...

ალექსანდრე რონდელი: „გეოპოლიტიკა დაძაბულობას იწვევს, გეოეკონომიკა კი, პოზიტიურ თანამშრომლობას გულისხმობს"

— ვერ ვერრობით ზუსტად ვერავინ განსაზღვრა, ამ ომში კასპიისა და შავი ზღვის აუზის მნიშვნელობა და როლი. ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში, ამ რეგიონითა და საერთოდ, ყველა იმ რეგიონით დაინტერესება, სადაც ნავთობია, მნიშვნელოვნად გაიზრდება. ყველაფერი, ნავთობის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, მარტო ნავთობშიც არ არის საქმე. საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში ცენტრალური ევრაზია სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. კასპიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებით დაინტერესება მოხდება არა გეოპოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ფაქტორების გამო. გეოპოლიტიკა დაძაბულობას იწვევს, გეოეკონომიკა კი, პოზიტიურ თანამშრომლობას გულისხმობს. ამ პროცესში, ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს საშინაო მდგომარეობა — მისი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე, სტაბილურობა, ეკონომიკური დინამიზმი და დემოკრატიული განვითარება. თუ ჩვენში დადებითი ძვრები არ მოხდა, რაც არ უნდა ხელსაყრელი პირობები შეიქმნას ჩვენ გარშემო, ჩვენდა სასიკეთოდ მაინც ვერ გამოვიყენებთ. ეს ომი საქართველოს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მდგომარეობაზეც იქონიებს გავლენას. ბევრს საუბრობენ ამერიკის მიერ საქართველოს სამხედრო ბაზების შესაძლო გამოყენების შესახებ. როცა პატარა ქვეყანას ეძლევა შანსი, თავისი უსაფრთხოება გადააბაროს სხვას, ბევრად უფრო ძლიერს — ეს შანსი უნდა გამოიყენოს. მართალია, ჩვენი მონაწილეობა ამერიკის მოკავშირეთა კოალიციაში ბევრს, სიცილად არ ჰყოფნის, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ჩემი აზრით, ჩვენი საგარეო პოლიტიკური ისტებლიშმენტი საკმაოდ სწრაფად სწავლობს რთულ ვითარებაში ლავირებას და ხშირად, ოპტიმალურ გადაწყვეტილებასაც ღებულობს. ამერიკასთან მჭიდრო ურთიერთობისგან საქართველოს ხელისუფლება ბევრ სიკეთეს ელის, კერძოდ იმას, რომ: უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, გადაწყვიტოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და გაამყაროს რეგიონის სტაბილურობა. ჩვენ ახალბედები ვართ საერთაშორისო ურთიერთობებში, გამოცდილება კი, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება მიიღო. საქართველომ გამოცდილების მიღების არც ეს შანსი უნდა გაუშვას ხელიდან.

ნანა ქიბიშაური

მას შემდეგ, რაც მაკა ასათიანმა მოდელიერობას და სამოდელო ბიზნესს „აირზენას" ვიცე-პრეზიდენტობა ამჯობინა, მის სახელოსნოს თეონა თავართქილაძე „დაეპატრონა"... თეონას ვთხოვეთ, უფრო კონკრეტულად მოეთხრო ჩვენთვის, როგორ და რატომ მიიღო მაკა ასათიანმა ეს გადაწყვეტილება და რა გეგმები აქვთ მათ ახლო მომავალში. ისიც შევიტყვეთ, რომ დაწინაურების შემდეგ, თეონას თურმე ხშირად საყვედურობს მეუღლე – რეზო არველაძე და ისიც, როგორ გაულახავს თეონა მეგობრის ქმარს ზუსტად ერთი წლის წინ – პირველ აპრილს. ჩვენი შეხვედრა სწორედ პირველ აპრილს შედგა და საუბარიც საპირველაპრილო ხუმრობებით დავიწყეთ.

რეზო ძაღლობა მაკა ასათიანის სამოდელო სახლს თეონა თავართქილაძე

ნინო ჯავახიშვილი

– ჩემი მეგობრები თითქმის ყოველ პირველ აპრილს მატყუებენ ხოლმე. საერთოდ, ძალიან ადვილად ვტყუვდები, ადვილად ვენდობი ყველას, რადგან მჯერა ადამიანების. გუშინ კუს ტბაზე ვიყავი მაკასთან და გოგონებთან ერთად და ყველას სათითაოდ ვაფრთხილებდი: იცოდეთ, ხვალ პირველი აპრილია და არაფერი მომატყუოთ-მეთქი!..

— შენ თვითონ არ გეხერხება ტყუილები?

– როგორ არა? როცა ამის ხასიათზე ვარ... შარშან, 31 მარტს, ერთ-ერთ მეგობართან შევიკრიბეთ და ვქეიფობდით. საათის ისარი 12-ს რომ გადასცილდა, გამახსენდა, რომ უკვე პირველი აპრილი იყო და მეგობრების მოტყუება გადავწყვიტე. ავდექი და ოთახიდან ცოტა ხნით გავედი. შემოსვლისას კი, უცებ, პირდაპირ კარის ზღურბლზე დავეცი – თითქოს გული წამივიდა. თან პირქვე დავეცი, რომ არავის შეეჩნია, როგორ ვიცინოდი... ჩემი მეგობრის ქმარი (ტანად ძალიან დიდი ბიჭია) ისე შეშინდა, რომ თმაში ხელი ჩამავლო, ამომატრიალა და ისე გამილაწუნა სახეში – აზრზე რომ მოვეყვანე, რომ მთელი ერთი კვირა ყბამონგრეული დავდიოდი... ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ვეღარც მოვასწარი იმის თქმა – ვიტყუები-მეთქი, – და ისევ მლეწა სახეში... დღემდე მწარედ მახსენდება ჩემი მაშინდელი ხუმრობა და ტყუილი.

— მოდი, ახლა შენს დაწინაურებაზეც ვისაუბროთ. მაკამ როგორ მიიღო ეს გადაწყვეტილება? გული არ დასწყდა, სამოდელო ბიზნესიდან რომ წავიდა?

– როგორც ცნობილია, მაკა „აირზენას" ვიცე-პრეზიდენტია. ეს გადაწყვეტილება მამამისის დაკრძალვის მეორე დღესვე მიიღო. მითხრა: მე მამაჩემის ადგილი უნდა დავიკავო, შენ კი, სახელოსნოში დარჩები და უხელმძღვანელებო. ალბათ დასწყდა გული, მაგრამ იცი, რა არის? სამოდელო ბიზნესი მაინც უფრო არასერიოზულ, გასართობ ხასიათს ატარებდა, „აირზენას" ვიცე-პრეზიდენტობა კი სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმეა! მაკა რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან სახელოსნოში უნდა ემუშავა, ან „აირზენაში". ამას წინათ, ჩვენთან

რაღაც შეკვეთაზე იყვნენ მოსულები და მაკამ მითხრა: მიდი, რა, შენ გაუკეთე, თორემ მე მოდელს კი არა – ან თვითმფრინავის ფორმას გავაკეთებ, ან „მერსედესის“ „მატორს“, უკვე ისე ვარ გადართული ახალ სამსახურზეო... ასე რომ, უკვე მოერგო თავის ახალ თანამდებობას. თუმცა, ძალიან დაკავებულია. დილით 7 საათზე დგება, 9 საათისთვის უკვე სამსახურში უნდა იყოს და თითქმის მთელ დღეს იქ ატარებს.

— **თვითონ შენ რა ფუნქციები დაგემატა? ადრინდელზე ბევრად უფრო დაკავებული ხარ?**

– ფაქტობრივად, ჩემი მოვალეობები და ფუნქციები არ შეცვლილა. აქამდეც არ იყო ჩემთვის უცხო მოდის სამყარო, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ახლაც იმ საქმეს ვაგრძელებ, რასაც აქამდე ვაკეთებდი. უბრალოდ, მეტად დავიტვირთები, რადგან ის ყველაფერი, რასაც ადრე ორივე ერთად ვაკეთებდით – მეც და მაკაც, ახლა მხოლოდ ჩემი გასაკეთებელი იქნება. ადმინისტრაციული თუ სხვა საკითხების მოგვარება კი, მე და ვანიკო თარხნიშვილს დაგვეკისრება.

— **ახლო მომავალში, რა გეგმების განხორციელებას აპირებთ?**

– 9 აპრილიდან, მოსკოვში ეწყობა მოდის კვირეული. 10-ში გვაქვს პირველი ჩვენება. ალბათ, გახსოვს – ამგვარ კვირეულში გასული წლის შემოდგომაზეც რომ ვმონაწილეობდით. მაშინ, რამდენიმე არხზე „დატრიალდა“ ჩვენი ჩვენება, მოდელები არაერთ ჟურნალში დაიბეჭდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა მაკას კოლექციამ. მაშინ გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია წარმოვადგინეთ. ამჟამად კი, შემოდგომა-ზამთრის კოლექციაზე ძალზედ აქტიურად ვმუშაობთ, რომ 9 აპრილისთვის ყველაფერი მოვასწროთ. ეს იქნება სამოდელო ბიზნესში ჩემი პრველი დამოუკიდებელი ნაბიჯი, თუმცა ხშირად ვეკონტაქტები ხოლმე მაკას და რაღაცრაღაცებზე აზრს ვეკითხები. კოლექცია 30 მოდელისგან შედგება და ყველა ამ მოდელს მოსკოვის მაღაზიებში დავტოვებთ გასაყიდად. ალბათ სამოდელო სააგენტო „ნატალის“ 5 ან 6 მოდელს წავიყვანთ, ვისთანაც ხშირად ვთანამშრომლობთ. მათ შორის იქნებიან: სალომე ღვინიაშვილი, თამუნა გაბრიელაშვილი, კრისტი ყიფშიძე.

— **ხომ არ ნერვიულობ ამ ჩვენებასთან დაკავშირებით?**

– ძალიან ვნერვიულობ. საერთოდ, ემოციური ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი კარგად ჩაივლის. გარდა ამისა, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში, კიევში გავემგზავრებით. იქაც ჩვენება უნდა მოვაწყოთ, რომელიც პირველად იმართება და ჩვენ მიგვიპატიჟეს. ალბათ 20-21 აპრილისთვის წავალთ. მერე თბილისში დავბრუნდებით და უკვე აქაურებსაც მივხედავთ *(იცინის)*...

— **რეზიკომ როგორ მიიღო ის ამბავი, რომ მაკას სამოდელო ბიზნესს, ფაქტობრივად, შენ უნდა გაუძღვე?**

– მითხრა, რომ ეს სფერო ჩემთვის უცხო არ იყო და შევძლებდი სახელოსნოს გაძღოლას, მაგრამ მაინც მისაყვედურა: ისედაც სულ იქ იყავი და ახლა ალბათ სახლში ღამითაც აღარ შემოხვალო... მართლაც ასეა. ზოგჯერ „პრიმერკები“ ღამით გვაქვს ხოლმე. როცა ვერ ვასწრებთ კოლექციის შექმნას, 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე გადავდივართ. აბა, სხვანაირად არ გამოვა საქმე... თან ამ ბოლო დროს „პაეზდკებშიც“ ხშირად რომ მიწევს წასვლა, ამის გამოც მსაყვედურობს ხოლმე – ჩვენთვის ველარ იცლიო...

— **მერე, როგორ იგერიებ მეუღლის საყვედურებს?**

– მის საყვედურებზე პასუხი ყოველთვის მზად მაქვს: თვითონ ფეხბურთს რომ თამაშობდა და თვეობით იყო ხოლმე წასული, მაშინ ხომ სულ მე მენატრებოდა?!. მაშინ არ ვმუშაობდი და შინ ვიჯექი, ახლა კი, პირიქით არის. თუმცა რეზიკო სერიოზულად არასდროს მისაყვედურებს იმის გამო, – საქმიანი ქალი რატომ ხარ და სულ შინ რატომ არ ზიხარო... ■

„ბირჯენას“ ვიცე-პრეზიდენტს ფილმი ვადაიღებენ

თეონა თავართქილაძესთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, მაკა ასათიანის თაობაზე კიდევ ერთი ცნობა მივიღეთ და მის დასაზუსტებლად, ***ვანიკო თარხნიშვილს*** *დავუკავშირდით.*

— **მართალია თუ არა, რომ მაკა უახლოეს მომავალში, კინომსახიობის ამპლუაშიც შეიძლება მოგვევლინოს?**

– თავიდან მინდა გითხრათ: ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს, მაკა ასათიანის სახელი არა მარტო მოდის სამყაროსთან ასოცირდება. მაკას უკვე სერიოზული, საქმიანი ქალის იმიჯი აქვს მოპოვებული... რაც შეეხება მისი სამსახიობო კარიერის დაწყებას – უახლოეს მომავალში, ეს მართლაც რეალური შეიძლება გახდეს. ლაპარაკია კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 12-სერიიან პროექტზე, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით უნდა განხორციელდეს. ფილმს სახელწოდებით – „დადექ, ქარო და მიამბე“ – ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე გადაიღებს. ერთ-ერთ მთავარ როლზე მაკა ასათიანია მიწვეული. როგორც ფილმის ავტორებს აქვთ ჩაფიქრებული, ეროვნული სულისკვეთებითა და ადამიანური ვნებებით დატვირთული ეს სურათი, სხვა სერიალებისგან მხატვრული თვალსაზრისით განსხვავებული და ამავე დროს, კომერციულადაც მომგებიანი იქნება... ■



შარჟის ოსტატი

ცნობილი ადამიანების ანატომიას არღვევს

ნათია თენიეშვილი

„ცნობილ ადამიანთა მეგობრული შარჟები“ – ასე უწოდა ზაალ სულაკაურმა თავის პერსონალურ გამოფენას, რომელიც გალერეა „ჰობიში“ მოეწყო. იქ შეკრებილმა საზოგადოებამ ერთხმად აღნიშნა, რომ მსგავსი გამოფენა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა.

ზალიკო პროფესიით კერამიკოსია. 7 წელია, რაც ამ ჟანრში დაიწყო მუშაობა. გამოფენაზე 1996 წლიდან დღემდე შექმნილი, ასამდე ნამუშევარი იყო წამოდგენილი. ვის არ ნახავდით აქ – ნაპოლეონიდან, ჰიტლერიდან და სტალინიდან დაწყებული, ზურაბ ქაფიანიძითა და გივი ბერიკაშვილით დამთავრებული...

„ის ხალხი, ვისი შარჟებიც აქ არის წარმოდგენილი, არა მარტო მე, არამედ ჩვენ, ყველას გვიყვარს. ალბათ შეამჩნევდით, რომ აქ არ არიან პოლიტიკოსები...“ – თქვა ზალიკომ.

ერთი კარიკატურის დახატვა მხატვარს ნახევარ წუთში შეუძლია, თუმცა ამბობს: ხელოვნებაში სიჩქარე არ შეიძლება და საშუალოდ, ხუთი წუთი მაინც მჭირდება, ნორმალური კარიკატურა რომ გავაკეთოო... „შარჟის გაკეთების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგნულ ფაქტორს. უნდა დაარღვიო ანატომია, პროპორციები და აუცილებლად მიიღებ კარიკატურას, – ასე ხსნის თავის საიდუმლოს ზალიკო, რომელიც უკვე დიდი ხანია, ქუჩაში დგას და მეგობრულ შარჟებს ხატავს. „იქ სხვა ენერგიაა, ბევრ ადამიანთან გაქვს ურთიერთობა და ეს ქუჩის პლუსია. მგონი, არასდროს მომბეზრდება ქუჩაში დგომა...“ – დასძენს მხატვარი. ■



ევროპა მარსის დალაშქვრას აპირებს

ბრიტანეთში მიმდინარეობს კოსმოსური კვლევითი ხომალდის – Beagle 2 Mars-ის ინტენსიური გამოცდა. ევროპის კოსმოსური სააგენტოს მიზანია, ბოლოს და ბოლოს გაარკვიოს, იყო თუ არა ოდესმე სიცოცხლე ამ პლანეტაზე. Beagle 2, ევროპულ კოსმოსურ სადგურთან – „მარს ექსპრესთან" ერთად გაემგზავრება კოსმოსში და მარსის ეკვატორიული ნაწილის პლატოზე – Isidia Planitia-ზე დაეშვება.... მარსის ზედაპირზე დაშვებისთანავე, Beagle 2 გაშლის დიდ საოპერაციო ანტენას, რომელიც ხელსაწყოთა მთელი კომპლექტით იქნება აღჭურვილი, მათ შორის – სტერეოკამერით, სხვადასხვა ტიპის სპექტრომეტრით, საბურღი მოწყობილობით. ენერგიას მას მზის ბატარეები მიაწვდის, რომელიც ხომალდის ძირითად დანაყოფზე იქნება დამონტაჟებული. ხომალდი სოლიდური თანხა – 30 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდა. მაგრამ ევროპის კოსმოსური სააგენტო უკან დახევას არ აპირებს მანამდე, სანამ პასუხს არ გასცემს კითხვას, რომელიც უკვე რამდენიმე ასეული წელია აწუხებს კაცობრიობას. ■

დაუსრულებელი თამაში

ცოტა ხანში, დაუსრულებელი კომპიუტერული თამაშის შესაძლებლობა მოგვეცემა. ამ გასართობის მოყვარულთ აღნიშნულ საჩუქარს უმზადებს ჩრდილოეთ კაროლინის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ერთ-ერთი ცნობილი თამაშის – Unreal Tournament – პირველი ვერსიის შემუშავებაში მონაწილეობდა. ახლა ის ქმნის ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც უსასრულო ვირტუალური სამყაროს კონსტრუირებას შეძლებს. მიმდინარე გამოკვლევები ისეთი ვიდეოთამაშების შექმნის საფუძველი იქნება, რომელსაც არ დასჭირდება სიუჟეტის წინასწარ შემუშავება – ის თავისთავად განვითარდება, მოთამაშეთა მოქმედების შესაბამისად. პროექტის ხელმძღვანელის, მაიკლ იანგის თქმით – „მალე თამაშები მაქსიმალურად მიუახლოვდება რეალურ ცხოვრებას – მოთამაშეს შესაძლებლობა ექნება, ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღოს". ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, თამაშიც არ დასრულდება ძირითადი მისიის შესრულების შემდეგ. ამდენად, ის დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, რადგან მასში ახალ-ახალი მოქმედების პერსპექტივა გაჩნდება. ■

მოქანდაკეებს მარმარილო და მრინჯაო მოჰმეზრდათ



ამ უძველესი მასალის უგულებელყოფა ბუნებრივიცაა, რადგან მიქელანჯელოსთან გაჯიბრება იოლი ნამდვილად არ არის... ჰოდა, აგერ უკვე 10 წელია, რაც ნიუ-იორკში, ქილებისაგან შექმნილი „შედევრების" კონკურსი ტარდება. მისმა მონაწილეებმა წლეულს, განსაკუთრებული გამომგონებლობა გამოიჩინეს: დათვალიერებაზე, ყავის მადუღარათი დაწყებული – სატელეფონო ჯიხურითა და ავტომობილით დამთავრებული, ნებისმიერი საგნის ხილვა იყო შესაძლებელი. ■

ცოცხალი მარმი ჰოლივუდის მერობას ლამობს

ანჯელინას მთელი კალიფორნია იცნობს, თანაც – რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, ამ ქალის ბიუსტის გაბარიტებია, რომლისაც ბევრ ლოს-ანჯელესელ ლამაზმანსაც კი შურს. მეორე: ანჯელინა ბავშვობიდან, ძალზედ ჰგავს სახელგანთქმულ თოჯინა ბარბის. 1980 წელს, ამის გამო მან გადაწყვიტა, სახელიც კი გამოეცვალა და ბარბისთან მსგავსების ხაზგასასმელად, მისი აზრით შესაფერისი ავტომანქანაც შეიძინა... ანჯელინა რამდენიმე ფილმშიცაა გადაღებული და სხვადასხვა ჟურნალის, მათ შორის – People-ისა და National Geographic-ის ფურცლებზეც მოხვდა. მაგრამ პოპულარობის ტრფიალ ქალს, ესეც არ აკმაყოფილებს. მან გადაწყვიტა, ლოს-ანჯელესის მერობაზე იყაროს კენჭი და საამისოდ, პლაკატებით შეიარაღებულმა, უკვე რამდენიმე ვოიაჟი ჩაატარა ჰოლივუდში. ■

ძმები ვერძაძეების სასჯიკი მკვლელობისათვის 26 წლის ახალგაზრდა საუდაპო პაჭიმრობით დასაჯეს

26 წლის ბათუმელ მერაბ ბარამიძეს ჩადენილი დანაშაულისთვის უმკაცრესი სასჯელი — სამუდამო პატიმრობა მოსამართლეებმა საბოლოოდ განუსაზღვრეს. ასეთი გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიამ გასულ კვირას გამოიტანა. მერაბ ბარამიძეს მსჯავრი ორი ძმის — მერაბ და ამირან ვერძაძეების მკვლელობისთვის დაედო. სამართალდამცავთა თქმით, ძმები მან ჩხუბისას, დანით, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა.

მერაბ ვერძაძე 31 წლის გახლდათ, ამირან ვერძაძე კი – 35-ის. მათ ბარამიძის მიერ მოღერებული დანით 4-4 ჭრილობა მიიღეს, აქედან გულში მიყენებული დაზიანებები ორივე მათგანისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა და ისინი იქვე, შემთხვევის ადგილას გარდაიცვალნენ.

დაღუპულთა დედას – მზევინარ აბაშიძეს შვილი აღარ დარჩა. მკვლელობის დღეს ის შინ ყოფილა. შვილების დაჭრის შესახებაც იქ შეუტყვია. თუმცა, როცა საავადმყოფოში მისულა, მისთვის მაშინ უთქვამთ, რომ ორივე გარდაიცვალა.

თავად ფაქტს მზევინარ აბაშიძე არ შესწრებია. თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, შემთხვევის ადგილას, მკვლელობის მომენტში არაერთი ადამიანი ყოფილა. მიუხედავად ამისა, ასეთი სავალალო შედეგის თავიდან აცილება, ვერავინ მოახერხა.

მერამ ბარამიძემ დანაშაულში მხოლოდ ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ და აღნიშნა, რომ ვერძაძეების განზრახ მკვლელობა არ ჩაუდენია და მხოლოდ თავდაცვის მიზნით მოქმედებდა. მისივე თქმით, მასა და ძმებ ვერძაძეებს შორის ყველაფერი სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო.

მერაბ ბარამიძე:

„დაახლოებით დღის 4 საათი იქნებოდა, როცა ჩემს ნაცნობს – მამია ბოლქვაძეს მანქანით წაყვანა ვთხოვე. სწორედ ამ დროს, ვიღაც ბიჭმა უცენზურო სიტყვებით მომმართა. ვუთხარი: წესიერად დამელაპარაკე-მეთქი – მაგრამ მან ამის პასუხად, თავში ქვა ჩამარტყა. მერე, მეორეც მოვიდა და ორივემ ცემა დამიწყო. გონება თითქმის დავკარგე, აზროვნების უნარი აღარ მქონდა და მხოლოდ ბუნდოვნად მახსოვს, რომ ხელში დანა მეჭირა, ბიჭები კი მიწაზე დაჭრილები იწვნენ. იქიდან მაშინვე გავიქეცი და სხვადასხვა ადგილას ვიმალებოდი. ბოლოს, პოლიციამ დამაკავა“...

პროკურატურამ, ისევე როგორც სასამართლომ, ბარამიძის ჩვენება არ გაიზიარა. სამართალდამცავთა თქმით, მან ვერ დასაბუთა, თუ რაში გამოიხატებოდა თავდაცვა და რატომ გამოიტანა სახლიდან დანა. ბრალდების თანახმად, იმ მომენტისთვის ჩხუბი უკვე დასრულებული იყო და ძმები იქიდან წასვლას აპირებდნენ. *„გრძნობა თუ დაკარგა და თავის ქმედებებს ვერ აცნობიერებდა, როგორ საზღვრავს, თავდაცვით მოქმედებდა თუ არა?“* – იკითხა პროკურორმა.

სასამართლო სხდომებზე დაკითხვისას ფაქტის თვითმხილველებმა დაადასტურეს, რომ ძმები ვერძაძეები ბარამიძეს სცემდნენ. მათივე თქმით, ბარამიძემ გაშველებისას დრო იხელთა და სახლში გაიქცა. *„ვერძაძეებს ვთხოვდით, მანქანით წასულიყვნენ, აპირებდნენ კიდეც, როცა უცებ ბარამიძე მოვარდა, ხელში რაღაც ეკავა და იძახდა – სად ხართ, თქვენი დედაო?.. იგი ძმებს გამოეკიდა...“* – აღნიშნა ერთ-ერთმა მოწმემ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნით, ვერძაძეების სიკვდილის მიზეზი, გულმკერდში მიყენებული, შემავალი ჭრილობით გამოწვეული მწვავე სისხლნაკლებობაა.

მერაბ ბარამიძე პოლიციელებმა ერთი თვის შემდეგ – 2002 წლის 13 ივლისს დააკავეს. მათ იგი ქალაქ ბათუმში, რეზინის ქარხნის ადმინისტრაციული შენობიდან აიყვანეს. ჩადენილი მკვლელობისთვის საბოლოო ბრალდება მას 2002 წლის 8 ოქტომბერს წარედგინა.

აღსანიშნავია, რომ ბარამიძე ადრეც იყო ნასამართლევი. იგი 1999 წელს გაასამართლეს და სხეულის განზრახ დაზიანებისთვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2001 წელს ის ვადამდე ადრე, პირობით გაათავისუფლეს და მას შემდეგ ბათუმში, დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობდა. ის უცოლშვილო გახლავთ. იმ პერიოდში, როცა მკვლელობა ჩაიდინა, არსად მუშაობდა.

სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მკვლელობა ასეთ ვითარებაში მოხდა:

2002 წლის 14 ივნისს, ბათუმში, საღამოს – დაახლოებით 5 საათისთვის, მერაბ და ამირან ვერძაძეები თავიანთ ნაცნობთან – შოთა, იგივე მამია ბოლქვაძესთან მივიდნენ. როგორც გაირკვა, ეს უკანასკნელი საკუთარი ავტომანქანით ტაქსის მძღოლად მუშაობდა. იმ დროს, ის პუშკინისა და აბაშიძის ქუჩების გადაკვეთაზე იდგა. მანქანაში მას ამირან ვერძაძე ჩაუჯდა და დაუწყო საუბარი იმის შესახებ, რომ წინა წელს, მან ბოლქვაძის სიძეს – როლანდ ოქროპირიძეს „ფორდის“ მარკის ავტომანქანა მიჰყიდა, ფული კი აქამდე არ მიუღია. ოქროპირიძემ თანხის გადახდა ვერ შეძლო და ავტომანქანის დაბრუნებას აპირებდა. ვერძაძეს ბოლქვაძისგან უნდოდა გაეგო, როდის დაუბრუნებდნენ მას მანქანას. ამ საუბრისას, ამირანი წინა სავარძელზე, ბოლქვაძის გვერდით იჯდა. ლაპარაკის დროს, მანქანასთან მერაბ ბარამიძე მივიდა და უკანა სავარძელზე ისე დაჯდა,

რომ არავისთვის უკითხავს. მან ბოლქვაძეს უთხრა: შენი დახმარება მჭირდება, მანქანა მყავს ხელოსანთან „ბუქსირით“ მისაყვანიო. ვერძაძეს შოთა ბოლქვაძესთან ჯერ საუბარი დამთავრებული არ ჰქონდა, ამიტომაც სთხოვა ბარამიძეს: თუ შეიძლება, ცოტა ხანს გვაცალე ლაპარაკიო. მიუხედავად ამისა, ბარამიძე მანქანიდან მაინც არ გადავიდა. ამირანმა მას თხოვნა ისევ გაუმეორა. ბარამიძემ იუკადრისა და ვერძაძეს უხეშად მიმართა: შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, რომ გადავიდეო?! ამაზე ამირანმა უპასუხა: მე ვარ ამირან ვერძაძეო, – და მანქანიდან გადავიდა. მას მიჰყვა ბარამიძეც. მათ შორის, ავტომანქანის უკან ჩხუბი გაჩაღდა. ამის შემყურე, მერაბ ვერძაძე ძმის დასახმარებლად გაეშურა და ორივემ ბარამიძეს ცემა დაუწყო. ჩხუბში იქვე შეკრებილი გამვლელებიც ჩაერივნენ; რამდენიმე წუთში მათ მოჩხუბართა გაშველება მოახერხეს, მაგრამ ვერძაძეები და ბარამიძე მაინც არ ცხრებოდნენ. ჯერ ერთმანეთისკენ იწევდნენ, შემდეგ კი, ბარამიძე სახლისკენ გაიქცა. ძმები მას შუა ქუჩამდე მიჰყვნენ და ისევ უკან, ავტომანქანისკენ გამობრუნდნენ. შეკრებილი ხალხი მათ დაშოშმინებას ცდილობდა; ურჩევდნენ, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, იქაურობას გასცლოდნენ და შინ წასულიყვნენ. როგორც იქნა, დაითანხმეს კიდეც და ვერძაძეები ავტომანქანაში ჩასხდომას და წასვლას აპირებდნენ, როცა მოულოდნელად ბარამიძე ისევ მივარდა მათთან. ამჯერად მას ხელში დანა ეჭირა. ვერძაძეებმა ჯერ გაქცევა დააპირეს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და დანით შეიარაღებულ ბარამიძეს შეებნენ.

ბარამიძემ დანა პირველად მერაბს დაარტყა. მაშინ ჭრილობა ამ უკანასკნელმა კისრის არეში მიიღო და წაიქცა. შემდეგ ბარამიძე იმავე დანით ამირანს დაედევნა. ამირანმა ქვა აიღო და ესროლა. ქვა ბარამიძეს მოხვდა, რის შედეგადაც იგი წაიქცა. მაშინ, მას ამირანმა თავი დაანება და ძმის საშველად გაემართა. ამ მომენტში, ბარამიძემ წამოდგომა შეძლო, კვლავ ამირანს მიუახლოვდა და დაჭრილი ძმის თვალწინ, დანა რამდენჯერმე ჩაარტყა. ამირანმა რამდენიმე მეტრი გაიარა და წაიქცა. ბარამიძე ახლა მერაბს მიუბრუნდა. მერაბი შველას ითხოვდა და წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ბარამიძის დანას მან თავი მაინც ვერ დააღწია. ამჯერად ის ზურგში დაიჭრა. ამის შემდეგ, ბარამიძე ისევ ამირანთან მივდა და ისედაც წაქცეულსა და მომაკვდავს, დანა გულში მეორედ ჩაარტყა. ბარამიძე აუჩქარებლად გაეცალა იქაურობას, დაჭრილები კი ადგილზევე გარდაიცვალნენ.

■

ნიკელას განზრახ მკვლელობის მუხლი მოუხსნეს

„თავლია ნერვიულობისგან ხან ტიროდა, ხანაც იცინოდა“ — აღნიშნავს დაზარალებული

ნიკელას – იმავე ავთანდილ კერვალიშვილს, რომელსაც სამართალდამცავები აქამდე საკმაოდ გამოცდილ კრიმინალად აცხადებდნენ, სახელმწიფო ბრალმდებელმა განზრახ მკვლელობის მუხლი მოუხსნა. შეგახსენებთ (ამ საქმის შესახებ „გზის“ №9-ში ვწერდით), რომ განსასჯელს პროკურატურა სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლის, პოლიციელის – ვლადიმერ ბოლქვაძის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობაში ადანაშაულებდა. გარდა ამისა, გამოძიება მას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვა-ტარებაში, სამტრედიაში მცხოვრები თევზაძეების ოჯახის წევრების, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვის მძევლად აყვანასა და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში სდებდა ბრალს.

სასამართლო გამოძიების დასრულების შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებელმა ნიკელა ზემოთ აღნიშნული მუხლებისგან მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვა-ტარებასა და პოლიციელისთვის გაწეულ წინააღმდეგობაში დაადანაშაულა, ამასთან ერთად კი, მას 160-ე მუხლიც (მფლობელის ნებართვის გარეშე, სხვის სამფლობელოში უკანონოდ შეღწევა) მიუყენა. პროკურორი ამ შემთხვევაში, კერვალიშვილისა და მისი თანამზრახველის მიერ თევზაძეების სახლში თვითნებურად შესვლას გულისხმობდა. საბოლოოდ, სახელმწიფო ბრალმდებელმა ნიკელას, 8 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯა მოითხოვა.

31 მარტს, საღამოს 5 საათისთვის, უზენაეს სასამართლოში ყველა, ნიკელასთვის გამოტანილი განაჩენის გამოცხადებას ელოდა, მაგრამ მოსამართლე თამაზ ილიაშვილმა (როგორც აღმოჩნდა, ორივე მხარისთვის ფრიად მოულოდნელად), განაჩენის გამოცხადების ნაცვლად, განჩინება გამოიტანა და საქმე კვლავ სასამართლო ძიებაში დააბრუნა. ამის მიზეზად, მოსამართლემ დაზარალებულის – თევზაძის ხელახალი დაკითხვის აუცილებლობა დაასახელა.

განსასჯელის, ისევე, როგორც პროკურატურის მიერ, იმავე მკვლელობაში ბრალდებული – აწ გარდაცვლილი ილია მიქელთაძის (თავლია) ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა თავდაპირველად, საქმის გამოძიებაში დაბრუნებასთან დაკავშირებით გაოცება გამოხატეს, თუმცა, ბოლოს, ისინიც მოსამართლის პოზიციაზე დადგნენ. *„სახელმწიფო ბრალმდებელმა კერვალიშვილს, ისევე, როგორც ილია მიქელთაძეს, სრულიად ახალი – 160-ე მუხლი მიუყენა. ამის თაობაზე, სასამართლოს აქამდე არ უმსჯელია, დაზარალებული თევზაძისთვის შესაბამისი შეკითხვები არ დაუსვამს და მტკიცებულებები არ მოუპოვებია. ამის გარეშე, კოლეგია*

ნიკელა – ავთანდილ კერვალიშვილი

აღნიშნული მუხლით განსასჯელთა ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა“, – აღნიშნეს მათ ჩვენთან საუბრისას.

საქმე 2001 წლის 10 ივნისს, პოლიციისგან ძებნილი, ძმები თავღიებისა (ილია და კობა მიქელთაძეები) და ნიკელას აყვანის ფაქტს ეხება. იმ დღეს, სამტრედიაში, წინსვლის ქუჩაზე მცხოვრებ გაგუების სახლთან იმერეთის შს მთავარი სამხარეო სამმართველოს, სამტრედიის შს რაიგანყოფილების თანამშრომლები შს სამინისტროს სპეცრაზმელთა თანხლებით გამოცხადნენ. როგორც გაირკვა, პოლიციამ გაგუების ოჯახში ძებნილთა ყოფნის შესახებ შეიტყო და რადგანაც მათ განსაკუთრებით ძნელად დასამორჩილებელ დამნაშავეებად იცნობდნენ, საგანგებოდ მომზადებულებმა სახლს ალყა შემოარტყეს. უმცროსი თავღიას (კობა) აყვანა უხმაუ-

სასამართლო კოლეგია,
თავმჯდომარე თამაზ ილიაშვილი

როდ მოახერხეს, დანარჩენი ორი დამნაშავის შემთხვევაში კი, საქმე გართულდა: თავღიამ და ნიკელამ პოლიციელთა მოსვლის შესახებ შეიტყვეს და შეიარაღებულები, ილია მიქელთაძის ცოლშვილთან ერთად, გვერდით მცხოვრები თევზაძეების ოჯახში გადავიდნენ.

როგორც ამბობენ, მაშინ დილის 5 საათი იყო. თევზაძეების ოჯახის ყველა წევრს ეძინა. სახლში ცოლ-ქმრის გარდა, ხანში შესული ბებია და მცირეწლოვანი შვილიშვილიც იმყოფებოდნენ. ოჯახის უფროსი — თამაზ თევზაძე ადრეც აღნიშნავდა და ახლაც ამბობს, რომ შეიარაღებული თავღია და კერვალიშვილი, მის სახლში უნებართვოდ შევიდნენ. თუმცა, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებისგან განსხვავებით, ამჟამად აღნიშნავს: *„არ უთქვამთ, რომ პოლიციისგან იძებნებოდნენ, არც შემოსვლის ნებართვა უთხოვიათ, მაგრამ სტუმართმოყვარე კაცი ვარ და რომელიმეს უარს როგორ ვეტყოდი? გარეთ როგორ გავუშვებდი შინ შემოსულ ხალხს? პოლიციისთვის ძებნილები იყვნენ, მაგრამ ჩემთვის — სტუმრები“.*

სახელმწიფო ბრალმდებელმა თევზაძის ამ ჩვენებას უცნაური და არასერიოზული უწოდა. *„დაზარალებულმა თევზაძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ის ავთანდილ კერვალიშვილს ბავშვობიდან იცნობდა, თითქმის ერთად იზრდებოდნენ და მასთან განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ცხადია, თევზაძე კერვალიშვილით დაინტერესებულია და დღეს მის დახმარებას ცდილობს, თორემ, დილის 5 საათზე, საწოლში მწოლიარე, მძინარე ხალხს რომ ავტომატებით შეიარაღებულები თავს წაადგებიან, ვის გაუხარდება და სტუმართმოყვარეობაზე ვინ იფიქრებს?! თევზაძეს თუ დავუჯერებთ, მიქელთაძისა და კერვალიშვილის მას კი არ შეშინებია, არამედ პირიქით, მათთვის კინაღამ პურმარილი გაუშლია,“* — აღნიშნა პროკურორმა ნინო ჟღენტმა.

სასამართლოზე ხელმეორედ დაკითხვისას, თამაზ თევზაძემ ისიც დასძინა, რომ ნიკელას ხელში არანაირი იარაღი არ სჭერია, თავღია კი პოლიციელებს, ოთახიდან დაჭრილი ავთანდილ ბოლქვაძის გაყვანას ეხვეწებოდა:

თამაზ თევზაძე:

„მიქელთაძე და კერვალიშვილი გაიმახოდნენ — შემოდით და დაჭრილი გაიყვანეთო, — მაგრამ პოლიციელები არა და არ შემოდიოდნენ. დაჭრილმა ისიც გვითხრა: გარეთ არ გახვიდეთ, მოგკლავენ, ეზო პოლიციელებითაა სავსე, 500-მდე კაცია მოყვანილიო. ილია მიქელთაძემ ფანჯრიდან სნაიპერი მართლაც შენიშნა და მის დანახვაზე ისტერიკა დაემართა. ჯერ ნერვიული ტირილი დაიწყო, მერე სიცილი აუვარდა, ბოლოს კი, სიმღერაზე გადავიდა. კერვალიშვილი მიხვდა, რომ ილია ცუდად იყო და მას დამშვიდება დაუწყო. კიდევ ერთხელ დაუძახა მიქელთაძემ პოლიციელებს: დაჭრილი ცუდადაა და გაიყვანეთო, — მაგრამ ამჯერადაც რომ არ მიიღეს ზომები, გაბრაზდა, ეზოში გასასვლელი კარი გააღო და ორჯერ გაისროლა, არ დამინახავს — დამიზნებით თუ ჰაერში. სროლები გარედანაც ისმოდა. შიგნიდან ვყვიროდით: სახლში ბავშვები არიან და ნუ ისვრითთქო, — მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ, გასროლის ხმა მაინც გაისმა. ამის კვალი — ორი ნატყვიარი, ჩემი სახლის სამზარეულოს ფანჯრის მინაზეც დაფიქსირდა.

ვხედავდით, რომ დაჭრილის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. არადა, გარეთ გასვლა მეც და ჩემს ცოლსაც გვეშინოდა, რადგან ამ შემთხვევამდე სამი თუ ოთხი თვით ადრე, მეზობელ სოფელ ილორში საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ერთ-ერთ ოჯახში შეფარებული დამნაშავის ასაყვანად მისულმა პოლიციელებმა სახლის პატრონის შვილი მოკლეს. რაღაც მომენტში, იმ ბიჭს ფანჯრიდან გაუხედავს, სნაიპერმა კი მას მაშინვე ესროლა და დამნაშავის ნაცვლად, ის მოკლა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტიც გაგვახსენდა და უფრო დავშინდით. ბოლოს, გამოსავალი რომ აღარ იყო და დაჭრილი, სიკვდილის პირამდე გახლდათ მისული, გადავწყვიტე, ის როგორმე გარეთ გამეყვანა. დაჭრილს რომ მივახოხიალებდი, არავინ მეხმარებოდა. კერვალიშვილს მაჯები სტკიოდა და მითხრა: ხელში ვერაფერს ვიჭერ, ვერ დაგეხმარებიო...“

პოლიციელი სიკვდილს ვერ გადაურჩა, თავღია და ნიკელა კი სამართალდამცავებს მაინც ჩაჰბარდნენ. თევზაძის თქმით, ჩაბარებაზე თავღია ნიკელამ დაიყოლია. ავთანდილ ბოლქვაძის განზრახ მკვლელობაში სახელმწიფო ბრალმდებელმა აწ გარდაცვლილი ილია მიქელთაძე დაადანაშაულა, თუმცა ამ უკანასკნელის ინტერესების დამცველი ადვოკატი მის გამართლებას მოითხოვდა და დღემდე ამ პოზიციაზე რჩება. საბოლოო სიტყვას ბრალდებებთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო იტყვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 45 წლის ნიკელა ქუთაისელი, ცოლშვილიანი და ადრე სამჯერ ნასამართლევია. პირველად ის ხულიგნობისთვის გაასამართლეს, მეორედ — ქურდობისთვის, ხოლო მესამედ ადამიანის მკვლელობისათვის მოიხადა სასჯელი. ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.
ყურადღება! მხოლოდ 10 აპრილამდე ფასდაკლება 50% საოფისე პროგრამებზე
მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.
შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

გრიცკო ისევ დუმილის უფლებას იყენებს

გიორგი სანაიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა განსასჯელის – გრიგოლ ხურცილავას დაკითხვა მოითხოვეს, მაგრამ მკვლელობაში ბრალდებულმა ისევ დუმილის უფლება გამოიყენა და ჩვენების მიცემაზე სასამართლოს უარი განუცხადა.

26 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე პროკურატურის თანამშრომლებმა აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ექსპერტების დასკვნა წარმოადგინეს. დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან – გიორგი სანაიას საცხოვრებელი ბინიდან აღებული დნმ-ი (დეზორიბონუკლეინისმჟავა – გენეტიკური კოდის მატარებელი) არც გრიგოლ ხურცილავას და არც პირველი ეჭვმიტანილის – დავით გელაშვილის დნმ-ს არ ემთხვევა. რაც შეეხება ლუდის ბოთლზე დაფიქსირებულ თითის ანაბეჭდებს, ექსპერტები აცხადებენ, რომ ის გრიგოლ ხურცილავასია.

სხდომაზე ასევე გამოქვეყნდა ერთ-ერთი მოწმის – მამული წერეთლის ჩვენებაც, რომლის მიხედვითაც მკვლელობის ღამეს, გიორგი სანაიასთან ერთად, დაახლოებით დილის 5 საათამდე უცნობი მამაკაცი იმყოფებოდა. მამული წერეთელი გიორგი სანაიას საცხოვრებელ ბინასთან ახლოს მდებარე ავტოსადგურის დარაჯი გახლავთ. ■

34 წლის ქალს 4-წლიანი თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ 34 წლის ლალი ღლონტის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი საჩივრები განიხილა. პროკურატურა ლალი ღლოტს მცირეწლოვანი ბავშვის, გაუფრთხილებლობით მკვლელობაში ადანაშაულებს.

ბრალდების თანახმად, 1999 წლის 29 მარტს, თბილისში, დაახლოებით დღის პირველ საათზე, ლალი ღლონტი აწ გარდაცვლილი მამის კუთვნილ, „გაზ 24-10“ მარკის ავტომანქანას მართავდა. მას მართვის მოწმობა არ ჰქონდა. ზუგდიდისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩების გადაკვეთასთან, მოძრაობის წესები დაარღვია, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ტროტუარზე ავარდა. ლალი ღლოტი მანქანით ჯერ ხეს დაეჯახა, შემდეგ კი, ფეხით მოსიარულე, მცირეწლოვან თამარ ცუცქირიძეს. ბავშვი მაშინვე საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ის იმავე დღეს გარდაიცვალა.

ლალი ღლოტის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ჩადენილი დანაშაულისთვის – გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, მოსამართლის განაჩენის თანახმად, სასჯელის მოხდა ღლონტს გადაუვადდა, იმის გამო, რომ მას მცირეწლოვანი – 1 წლის და 4 თვის შვილი ჰყავს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელი მან მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოიხადოს, როცა ბავშვს 5 წელი შეუსრულდება.

დაზარალებულმა, დაღუპული ბავშვის მამამ – ნოდარ ცუცქირიძემ განაჩენი ჯერ საოლქო სასამართლოში, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ნოდარ ცუცქირიძის თქმით, ლალი ღლოტი ცდილობს, სასჯელის მოხდა საერთოდ აიცილოს თავიდან, სასამართლომ კი ასეთი გადაწყვეტილებით მას ამის საშუალება მისცა. დაზარალებულმა ღლონტის დაუყოვნებლივ დასჯა მოითხოვა, მაგრამ მისი მოთხოვნა არც ერთმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

საკასაციო პალატის განჩინების თანახმად, მსჯავრდებულისთვის სასჯელის გადავადებას კანონი ითვალისწინებს, რის გამოც განაჩენი ძალაში უნდა დარჩეს. ■

დამნაშავეს 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

„გზის“ წინა ნომერში, ზესტაფონელი, ადრე ორჯერ ნასამართლევი ჯუმბერ ხათაშვილის საქმის შესახებ მოგითხრობდით, რომელიც ამჯერად მეგობრის დედის – ცისანა ემანულიძის მკვლელობისთვის გაასამართლეს. როგორც გაირკვა, ხანში შესული ქალი მან ქურდობის კვალის დაფარვის მიზნით, ხელებით მოახრჩო, ხოლო როცა დარწმუნდა, რომ ეს უკანასკნელი მოკვდა, სახლის გაქურდვა განაგრძო. სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას ჯუმბერ ხათაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო და აღნიშნა, რომ დანაშაული მან კი არა, ცისანა ემანულიძის შვილმა – თამაზ ემანულიძემ ჩაიდინა. მსჯავრდებულის თქმით, დედასთან მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, ბოლოს, მისი გაქურდვაც განიზრახა და მოკლა კიდეც. „წინასწარი გამოძიებისთვის აღიარებითი ჩვენების მიცემა თავად თამაზ ემანულიძემ მაიძულა მუქარით,“ – დასძინა ხათაშვილმა.

მისი ასეთი ჩვენება არც სახელმწიფო ბრალმდებელმა გაიზიარა და არც სასამართლომ. პროკურორმა სასჯელის ზომად 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, რაც სასამართლო კოლეგიამ სავსებით დაადასტურა. ■

თავდამსხმელებმა მამა-შვილი ჩაცხრილეს

31 მარტს, გვიან ღამით, სოფელ არცევში მცხოვრები საბაშვილების ოჯახს 7 შეიარაღებული და ნიღბიანი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. როგორც გაირკვა, თავდამსხმელებს სახლიდან ფულისა და ძვირფასეულობის გატაცება უნდოდათ.

ბოროტმოქმედებს, რომლებიც ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები, მამა-შვილმა – გურამ და შალვა საბაშვილებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. თავდამსხმელებმა ისინი ჩაცხრილეს. მამა-შვილი ადგილზე გარდაიცვალა. სახლში იმ დროს, მცირეწლოვანი ბავშვებიც ყოფილან, ბოროტმოქმედებმა თურმე ისინიც არ დაინდეს – სცემეს.

ამის შემდეგ დამნაშავეებმა მთელი სახლი გაჩხრიკეს, რის შედეგადაც იქიდან 3.000 ამერიკული დოლარი, 650 ლარი და ძვირფასი ნივთები გაიტაცეს. იქაურობა საჩქაროდ დატოვეს და მიიმალნენ.

ბოროტმოქმედები ჯერჯერობით არ დაუკავებიათ. შემთხვევის ადგილიდან პოლიციელებმა „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მასრები და ტყვიის გულები ამოიღეს.

მოკლული გურამ საბაშვილი 65 წლის გახლდათ, ხოლო მისი ვაჟი, შალვა – 38-ის. სოფელი არცევი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარეობს და სამართალდამცავები არ გამორიცხავენ, რომ ბოროტმოქმედთა შორის ოსი კრიმინალებიც იყვნენ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. რეკ პირველი მართალი, საქართველოს მეფე იყო.
2. ვინსენტ ვან გოგმა თავი რევოლვერით მოიკლა.
3. ვატიკანში შობადობის კოეფიციენტი ნულის ტოლია.
4. მიხეილ გორბაჩოვი ახალგაზრდობაში კომბაინერად მუშაობდა.
5. ბოლნისის რაიონის სოფელ ტაშტიყულარს ადრე ძეძვნარიანი ერქვა.



6. „ვემსახურები მას, ვინც გასამრჯელოს მომცემს," — ამბობდა ლეონარდო და ვინჩი.
7. სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ეგვიპტური პირამიდები თეთრი ფერის იყო.
8. იდო, ვოლაპიუკი, ნოვიალი, ოკუიდენტალო, ინტერლინგვა, ესპერანტო — ეს ხელოვნურ ენათა ჩამონათვალია.
9. სიტყვა „შრამი" გერმანული ენიდან მომდინარეობს და ქართულად ხმლით მიყენებულ ჭრილობას ნიშნავს.
10. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის (ყოფილი პიონერთა სასახლის) შენობა თავის დროზე რუსეთის მეფის ნაცვალს ეკუთვნოდა.
11. საბჭოთა მფრინავ ალექსეი მარესიევს მტრის 11 თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებული. უკანასკნელი შვიდი თვითმფრინავის ჩამოგდებისას მას ფეხების ნაცვლად პროთეზები ჰქონდა.
12. იტალიელი პოეტი ტორკვატო ტასო აღორძინების ეპოქის უკანასკნელი მოღვაწე იყო. იგი დევნის მანიით იყო შეპყრობილი.
13. დეკაბრისტების ჩამოხრჩობისას საერთო თოკი გაწყდა, რის გამოც ჯალათებს ხელმეორედ მოუწიათ სამი სიკვდილმისჯილის ჩამოხრჩობა.
14. „ჩემს ცხოვრებაში ყოფილა მომენტები, როდესაც გულის სიღრმეში ფეხბურთის მომგონს ვაგინებდი," — ჰყვებოდა დავით ყიფიანი.
15. ქვესკნელის უბნელეს ნაწილს ბერძნულ მითოლოგიაში ტარტაროსი ერქვა.
16. პირველი საბჭოთა ტანკი 1920 წელს გამოვიდა და სახელად „თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხანაგი ლენინი" ერქვა.
17. სტენდალმა სიცოცხლეში ვერც კრიტიკოსთა აღიარება მოიპოვა და ვერც პოპულარობა მკითხველთა შორის.
18. ჟერარ დეპარდიეს თქმით, ამერიკაში წარმატებით არასოდეს სარგებლობდა ფრანგული წარმოების ორი პროდუქტი: ფრან-

ავთო მარგველაშვილი

უნივერსალური ექიმი

ამქვეყნად ბევრი კეთილი და პატიოსანი კაცი ცხოვრობს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ მეგულება ნიკოლოზ არაბიძისნაირი ალალი და ხათრიანი. არცაა გასაკვირი: ცხონებულ მამამისს ჩიტო ერქვა, დედამისს მარგალიტა და თვითონაც ისეთი კეთილია, რომ მოფერებით ჩიტოგვრიტომარგალიტოვიჩს ეძახიან. საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ქალაქის გზას გაუყვა და მასწავლებლების რჩევით სამედიცინო ინსტიტუტს მიადგა. ჩაბარა და დაამთავრა კიდეც, ცოლიც ქალაქელი ითხოვა და ბინაც მიიღო, მაგრამ არც მამაპაპისეული ფუძე დაუკარგავს და ცდილობს, ზაფხულობით მაინც ჩაიყვანოს ცოლ-შვილი დასასვენებლად. თვითონ სად სცალია? ამოდენა ქირურგიული განყოფილება აბარია საავადმყოფოში. ისე ოსტატურად აკეთებს ოპერაციებს, გეგონებათ, ჭრა-კერვის სპეციალური კურსები აქვს გავლილიო. მაგრამ მაინც ახერხებს ხანდახან შაბათ-კვირას სოფელში ჩარბენას. ერთხელაც, გაემგზავრა ჩვენი ექიმი თავისი მანქანით სოფელში და ისეთი ამბები ჩამოიტანა იქიდან, ვფიქრობ, მართლა ღირს დასაწერად:

— ჩავედი თუ არა, ვიფიქრე, ეზოს ხელს შევავლებ-მეთქი, — ჰყვება ჩიტოგვრიტოვიჩი, — მაგრამ ვინ მაცალა? ბიძაშვილმა სუფრა გააწყო და პირდაპირ თამადად მიკრა თავი. ხელი ჩავიქნიე — ხვალ მაინც მივხედავ საქმეს, დღეს კი წავუქეიფებ მონატრებულ ნათესავებთან-მეთქი, — მაგრამ ესეც ვინ მაცალა?..

მშვიდობა დავლოცეთ და მშობლების სადღეგრძელოც მივაყოლეთ. წამოდგა სუფრის ერთი წევრი და მორიდებით მეუბნება:

— სიტყვას რომ არ მოჰყოლოდა, არ შეგაწუხებდი, მარა შენ თვითონვე ახსენე მშობლების სიყვარული და ნუ მეტყვი უარს! მამაჩემს სოკო ამოუვიდა ფეხზე და იქნებ, მირჩიო რამე!..

— ჩაშუშე ზეთში და ხახვში! — გადაიხარხარა ჩემმა ბიძაშვილმა. ყველას გაგვეცინა, იმ კაცის გარდა და მივხვდი, რომ ქამა სოკოსთან არ უნდა გვქონოდა საქმე. მანქანის აფთიაქიდან სტრეპტოციდის მალამო ამოვიღე და წავყევი. ნახევარ საათში უკანვე მოვბრუნდი და თამადობა გავაგრძელე. ტრადიციის თანახმად დედამამიშვილების სადღეგრძელო უწევდა და მე რა უფლება მქონდა, არ მეთქვა? მოკლედ, უტკბილესი და-ძმები დავულოცე სუფრის წევრებს და მეორე წამოდგა:

— შენს კეთილ გულს ვენაცვალე, თავადაც ბრძანე, რა ტკივილია დედამამიშვილი. ჰოდა, გამყევი კარი-ყურეში, ჩემს ძმას ლურსმანი შეერჭო ბეჭში...

— დაანებეთ ამ კაცს თავი! მე გაგატან „პლოსკოს" და ამოაძვრე ის ლურსმანი! — იყვირა მასპინძელმა.

— ლურსმანს რა უნდოდა ბეჭში? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— ზურგს იფხანდა ფიცრით და..

რა უნდა მექნა? წავყევი, ჭრილობა სპირტით დავუმუშავე და მალამოც დავადე. სუფრასთან მობრუნებულმა გავავსე დიდი ბოკალი, გავიფიქრე: ახლა მეუღლეები რომ ვადღეგრძელო, ვიღაცას ორსული ცოლი აღმოაჩნდება და აბორტის გაკეთებას მომთხოვს-მეთქი, — ამიტომ ხერხს მივმართე და პირდაპირ ხსოვნის სადღეგრძელო ვთქვი.

— აუჰ! რომ იცოდე, ჩიტოვიჩ, რა კაცი წაგვექცა, — ცრემლი მოადგა ჩემს ბიძაშვილს.

— ვინ?

— ვინ და, კოწია რომ იყო ობოლაძე, გაღმასოფლელი, ის მოკვდა.

— მაგას რა ვუთხარი! — შევიცხადე კაცი, რომელიც საერთოდ ვერ გავიხსენე.

— ჰო, მსხალზე ადიოდა და კიბე

ჩაუტყდა. კი იყო ოთხმოცდამეოთხეში. ხვალაა დასაფლავება და დღესვე უნდა წაგიყვანო ბოლო პანაშვიდზე – ისეთი თვალებით შემომხედა ბიძაშვილმა, მივხვდი, რომ უჩემოდ არაფრით დაასაფლავებდნენ კოწია ობოლაძეს.

– თუ დამპატიჟეთ, თქვე მამაცხონებულებო, კი შემარგეთ ორი ჭიქა, რას დამახეტიალებთ ღობე-ყორეს?! ექსკურსიაზე კი არ ვარ ჩამოსული!.. – მაგრამ არაფერმა გაჭრა და წავედით ჩემი მანქანით.

ჭიშკარში ფეხი შევდგით თუ არა, ერთი 20 კაცი გამოცვივდა – არიქა, ნიკოლოზ ექიმი მოვიდაო!..

– მგონი, არაა ეს კაცი ჯერ „კაი მკვდარი“ – ვეუბნები ბიძაშვილს. – სად მომიყვანე, შენ შეგირცხვა ნამუსი! – მაგრამ კიბე რომ ავიარე და გაწყობილი სასახლე დავინახე, მივხვდი რომ ბეწვზე „დავაგვიანე“.

– შეხედე, კოწია, ჩემმა ტირილმა თბილისამდეც ჩააღწია და ჩიტოს ბიჭიც ჩამევიდა შენთან! – მომატირა ცოლმა, – არა, იგი კი არა, მეორე, ექიმი რომაა, – ისე დააკონკრეტა ქალმა, თითქოს კოწიას ეკითხოს – რომელიო?

– როგორ გინდოდა ფეხბურთის ყურება, მარა იმ დილას მოგინდა მსხლის ჭამა მაინცდამაინც, – სიტყვა გააგრძელა რძალმა.

– არ დაგწყდეს, ძმაო, გული! მაინც არ იყო დენი, – ესტაფეტა კოწიას დამ განაგრძო. – ეს კაცი იქნებოდა საყურებლად წასული: ბავშვობიდან ისე უყვარდა ფეხბურთი, რომ ერთი ფანჯარა აღარ გვქონდა მთელი, მაგის წყალობით და ეგი მოგიყვება ყველაფერს...

ტირილი შეწყდა და ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ვდგავარ შუა „ზალაში“ და ყველა მე მელოდება. სიცილს ძლივს ვიკავებ. ბიძაშვილი მიხვდა, რა შარშიც ჩამაგდო აქ მოყვანით და შეეცადა, შევეთამამებინე:

– რა ვქენით, ჩიტოვიჩ, წავაგეთ, ხომ?

– კი, – „ავქვითინდი“ სახეზე ხელაფარებული, – 2:1 წავაგეთ.

– უი, უი, უი!.. – ამყვა ჭირისუფალი.

– კალაძე არ თამაშობდა? – იკითხა კოწიას ვაჟმა.

– არა. არ ჩამოსულა, – ვაგრძელებ იძულებით.

– გოლი ვინ გაიტანა ჩვენგან? – არ ცხრებოდა მამამკვდარი.

– კობიაშვილმა გაათანაბრა, მაგრამ ბოლო წუთებზე ისევ გაგვიტანეს, – ძლივსღა წარმოვთქვი და ოთახიდან გავვარდი. ისეთი ტირილი ატყდა, რომ ვეღარ გავიგე, კოწიას გლოვობდნენ თუ საქართველოს ნაკრების წაგებას. წამოსვლა დავაპირე, მაგრამ სუფრასთან მიგვიწვიეს და იქაც მათამადეს.

შუაღამე იქნებოდა შემოსული, ჭირისუფლებს ბოლო სადღეგრძელო – „დღევანდელ დღეს გაუმარჯოს, ხვალინდელი უკეთესი ყოფილიყოს“ რომ ვუთხარი და თავზე კოწიას ორივე ვაჟიშვილი დამადგა. ერთს პირსახოცი და საპონი უჭირავს ხელში, მეორეს – სამართებელი და საქაფავი ჯაგრისი:

– თუ ვინმე გარდაიცვლებოდა სოფელში, მამაჩემი იყო ყველას გამპატიოსნებელი და ეს საქმე სხვამ არავინ იცის. ექიმი კაცი ბრძანდები, მაგარი გული გაქვს და პატივი უნდა გვცე.

ქვაც ავაგდე და თავიც გამეტებით შევუშვირე, მაგრამ უკან არ იხევენ – ასე წვერგაუპარსავს ხომ არ დავასაფლავებთო?!

– რა უჭირს, თუ ძმა ხარ? პასპორტის სურათს შეუმოწმებენ, თუ რა? – ვეხვეწე, მაგრამ ვერაფერი გავახერხე და პარიკმახერობაც ვიკისრე.

ხან იმ საცოდავს გავუჭერი ლოყა და ხან მე ავითალე თითი, მაგრამ როგორც იქნა, მოვრჩი და შინისკენ გამოვწიეთ. ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, მეზობელი ცოლ-ქმარი დავინახე ჭრაქით ხელში, იმდენი ხანი მელოდნენ ჭიშკართან, უარს როგორ ვეტყოდი?.. მაკე ძროხა გვყავს, მუცელს იტკივებს და გაგვისინჯეო... ყვირილის თავი აღარ მქონდა და დასხედით-მეთქი. კარი გავუღე. ბოსელში შევედით, ფონენდოსკოპი, რა თქმა უნდა, არ მქონდა, არც არავის აღმოაჩნდა სამეზობლოში და ღვინის გადასაღები ძაბრი დავადე ძროხას მუცელზე.

– ეგ არა, ექიმო, ეგ ხარია, – მითხრა მასპინძელმა და მეც მეორე საქონელზე გადავედი. რა უნდა გამეგო ან რა უნდა მომესმინა? მაგრამ რაიმე პასუხის მიცემა აუცილებელი იყო და მეც იმედიანი დიაგნოზი შევარჩიე:

– არაფერია საგანგაშო, ბავშვი მოძ... უჰ!.. ხბო მოძრაობს, ჯანმრთელი დაიბადება-მეთქი.

იმ ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ისეთი პურმარილი გააწყვეს, რომ ჩვენი ტკბილი „მრავალჟამიერი“ ალბათ დილამდე ესმოდა კოწია ობოლაძის ჭირისუფალს გაღმა სოფელში...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

გული ღვინო და ფრანგული ფილმები.

19. შესაბამისი, შესაფერისი, სათანადო – ეს სიტყვები ლათინურად ერთი სიტყვით გამოითქმის: „კომპეტენტური“.

20. მოსკოვში კატები ბიზანტიის იმპერიიდან მოხვდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ერთი კატა ზრდასრული ცხვრის ფასი ღირდა. კატების მიერ თაგვების დაჭერის უნარი კი, სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი.

21. 1890-იან წლებში ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში ერთი ირლანდიური ოჯახი ცხოვრობდა. მისი წევრები სისხლისსამართლებრივი დანაშაულობებით იყვნენ ცნობილნი. მათი გვარი ხულიგანი გახლდათ.



22. ხოჭო არლეკინის სხეულზე უამრავი ტკიპა პარაზიტობს. ხოჭოს სხეულზევე ბინადრობს პატარა ფსევდომორიელი, რომელიც ამ ტკიპებზე ნადირობს.

23. „ხედავთ, როგორი ქაოსი და უწესრიგობაა? ბერძნული, არაბული, ინდური, სპარსული, ლათინური და სლავური ფუძეები, ღმერთები, ქალღმერთები, ვარსკვლავები, პლანეტები, ქალაქები, ქვეყნები, გვარები და ყველაფერი ეს უმეტესად რაიმე განსაკუთრებული წესრიგისა და ღრმა ანალიზის გარეშე!“ – ყოველივე ამას ალექსანდრ ფერამანი მენდელეევის ცხრილის შესახებ ამბობდა.

24. 1300 წელს, როცა დანტე ალიგიერი ფლორენციის პრიორად აირჩიეს, გველფების პარტია ორ ბანაკად, „თეთრებად“ და „შავებად“, გაიყო. 1302 წელს შავებმა გაიმარჯვეს და როდესაც დანტე რომში იმყოფებოდა, კოცონზე დაწვა და ქონების კონფისკაცია დაუსწრებლად მიუსაჯეს. ამ დროიდან დანტემ მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო. საბოლოო თავშესაფარი რავენაში პოვა, სადაც თავადი გვიდო ნოველო და პოლენტა მფარველობდა.

25. ვახტანგ კოტეტიშვილის (ვახუშტი კოტეტიშვილის მამის) გადასახლების შემდეგ, მის ოჯახში სტუმრობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ოჯახს სტუმარი მაინც არ მოჰკლებია. კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი მათ ყოველ კვირა დღეს მოინახულებდა ხოლმე და შორიდანვე დაიძახებდა: „კოტეტიშვილებო, როგორა ხართ, ჩემებო, კარგებო, საყვარლებო, ჩემი ვახტანგის შვილებო!“.

■

«ცოტა რომ დათბეზა, აუცილებლად ნავალ გაგრაში ჩემი შვილის საძებნელად...»

თბილისის ერთ ძველ უბანში, კერძო ეზოს რკინის ჭიშკარზე ასეთი წარწერაა: „ჯემალ, შვილო, მოდი სახლში, ყველაფრის გარეშე, ყველაფერი აქ დაგხვდება. სიცოცხლეე, მოდი, გთხოვ. დედა.“ იქვე მითითებულია ტელეფონის ნომერიც. როდესაც წვიმა თუ მზე ნაწერს გაახუნებს, ძველის ადგილს, ახალი წარწერა იკავებს და ასე გრძელდება 10 წლის განმავლობაში... 80 წლის დედა, ძალბატონი თამარ გოცირიძე იმედით აღვსილი ელოდება შვილის დაბრუნებას. ის ახლა, თავის მეორე შვილთან — ლალისთან ერთად ცხოვრობს.

მარი ჯაფარიძე

— ქალბატონო თამარ, რატომ გაქვთ ასეთი წარწერა ჭიშკარზე?

— ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. მე პრფესიით ექიმი გახლავართ. თბილისში დავიბადე და გავიზარდე. შემდეგ მიმავლინეს გაგრაში, სადაც ექიმ-კურორტოლოგად ვმუშაობდი. სწორედ ამის გამო, მთელი ოჯახით საცხოვრებლად იქ გადავედით. ჯემალი ჩემი უფროსი შვილია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მან გაგრაში გაზის სამსახურში დაიწყო მუშაობა; უმცროსი — ლალი 9 წლის რომ გახდა, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში გადმოვიყვანე სასწავლებლად. მეც აქ გადმოვსახლდი. ჩემს შვილებს შორის ასაკობრივი სხვაობა 20 წელია, ამიტომ, ამ დროს ჯემალი უკვე ჩამოყალიბებული მამაკაცი იყო და დამოუკიდებლად ცხოვრება შეეძლო. მე კი თბილისსა და გაგრას შორის ვიყავი გაბმული და არც ერთ შვილს უყურადღებოდ არ ვტოვებდი. შემდეგ დაიწყო აფხაზეთის ომი. ამ დროს, მე თბილისში ვიმყოფებოდი. ჯემალი — გაგრაში. მას ჰყავდა ცოლი (ჩემი რძალი ბელორუსია) და ერთი მცირეწლოვანი შვილი, გიორგი. ომამდე რამდენიმე ხნით ადრე, ცოლს უთქვამს ჯემალისთვის: ცუდი სიზმარი ვნახე, შესაძლოა, მამაჩემი ძალიან ცუდად იყოსო, — და მშობლის მოსანახულებლად გომელში გამგზავრებულა. ასე აღმოჩნდა ჩემი შვილი სრულიად მარტო ომის ქარცეცხლში.

ჯემალ გოცირიძე

— იბრძოდა?

— არა, არ უომია, რადგან სულ იმას ამბობდა — აფხაზებიც ისევე მიყვარს, როგორც ქართველებიო. თან ორმოც წელს კარგა ხნის გადაცილებული იყო და მობილიზაციასაც არ ექვემდებარებოდა.

— თუ არ იბრძოდა, ომის დაწყებისთანავე რატომ არ დატოვა გაგრა?

— ვინ იცოდა, ომი რა შედეგით დამთავრდებოდა?! სახლს არ ტოვებდა. კერძო სახლი გვქონდა, მშვენივრად მოწყობილი და ცდილობდა, მტრისგან დაეცვა. იქიდან დეპეშებს გვიგზავნიდა, გვეკონტაქტებოდა; კარგად ვარ და მალე თბილისში ჩამოვალო, — გვატყობინებდა. გაგრა 1992 წლის ოქტომბერში დაეცა. თვის ბოლო რიცხვებში ზედიზედ ორი დეპეშა მივიღეთ. ერთით გვითვლიდა — მოვდივარ, — მეორეში კი გვწერდა — ცოტა შევფერხდი, კარგად ვარ, მალე ჩამოვალო.

— რა მოხდა შემდეგ?

— შემდეგ, მცირე ბარგი მოუგროვებია და თავის მეგობართან, ოთარ რეხვიაშვილთან ერთად ენგურის ხიდზე გადმოსვლა უცდია. იქ აფხაზი და ჩეჩენი მესაზღვრეები მდგარან და გაუჩერებიათ. არ უშვებდნენ. შეკამათებულან. ჯემალს ბარგი იქვე დაუტოვებია და გამოქცევა უცდია. ამ დროს წამოსწევიან მესაზღვრეები და თავში ავტომატის კონდახი ჩაურტყამთ. ამის შემდეგ, ჯემალის შესახებ აღარაფერი ვიცით...

— ეს ამბავი ვინ შეგატყობინათ?

— 1993 წლის მაისში გადავწყვიტე, გაგრაში წავსულიყავი და შვილი მომეძებნა. წავედი კიდეც.

— როგორ გაბედეთ იქ წასვლა?

— მე ეროვნებით რუსი გახლავართ, გვარად პარფიონოვა. თანაც მაშინ, უკვე 70 წელს გადაცილებული ვიყავი, ამიტომ პრობლემა არ უნდა შემქმნოდა. თუმცა, რუსულს სრულყოფილად თითქმის ვერ ვფლობ... საზღვარზე რომ გადავდიოდი, მკითხეს — სად მიდიხარო? — ვუპასუხე: შვილის მოსაძებნად მივდივარმეთქი. თვითონ, მესაზღვრეებმა მიმიყვანეს ჩემს სახლში. იქ ვნახე მეზობელი, სომეხი კაცი, სერგო, რომელმაც საზღვარზე მომხდარი შემთხვევის შესახებ მიამბო. ღამით იქ დავრჩი. დილით მილიციელები დამადგნენ თავზე. ჩაცმაც არ მაცალეს, ფეხშიშველი, ნახევრად ჩაცმული გამომიყვანეს შინიდან და ბუნკერში ჩამიყვანეს, სადაც შვიდმა-რვა აფხაზმა დაკითხვა მომიწყო... თბილისიდან რომ მივდიოდი, ბევრმა ლტოლვილმა უბის წიგნაკში ჩამიწერა თავისი მისამართი. მთხოვდნენ, მათი საცხოვრებელი ბინების მდგომარეობა გამერკვია. ეს წიგნაკი რომ ნახეს, შარი მომდეს, — შემოგზავნილი აგენტი ხარო. აბა, 70 წლის ქალის აგენტობა ვის გაუგონია?!.

— შეურაცხყოფა ხომ არ მოუყენებიათ?

— არა, ფიზიკურად არ შემხებიან. მხოლოდ დამცინავად მელაპარაკებოდნენ. თავიდანვე ვუთხარი — რუსი ვარ-მეთქი. ერთი აფხაზი კი, მხოლოდ ქართულად მელაპარაკებოდა. მე ისე ვიქცეოდი, თითქოს კარგად ვერ ვფლობდი ქართულს. მხოლოდ ჩემს მშობლიურ ენაზე ვპასუხობდი. ბოლოს მკითხა: კი, მაგრამ სად დაიბადეო? — საქართველოში-მეთქი... ქართულად მხოლოდ ეს სიტყვა წარმოვთქვი. რისთვის ხარ ჩამოსულიო? —

ლალი

მკითხა – შვილს ვეძებ-მეთქი. მაგიდაზე უზარმაზარი, ქაღალდის გრაგნილი იდო, რომელზეც დაკარგული, დაღუპული და დახვრეტილი ქართველების სია ცალ-ცალკე ჰქონდათ ჩამოწერილი. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მილიციელი კარგად იცნობდა ჩემს ჯემალს. სიაში რომ მის გვარს ეძებდა, სახეზე სულ ჭირის ოფლი გადასდიოდა. მისმა მეგობარმა ეს შენიშნა და უთხრა:

– Ты что, дурак, за грузина переживаешь – Нет, я переживаю из-за золотого человека... – უპასუხა მან. შემდეგ გამომიშვეს, თბილისამდე რის ვაივაგლახით ჩამოვაღწიე.

— ამის შემდეგ ჯემალის შესახებ არავითარი ცნობა არ მიგიღიათ?

ლალი:

– ყველგან ვეძებთ დღემდე, გაზეთებშიც გამოვაქვეყნეთ მისი ფოტო, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც შევიტანეთ განაცხადი, მაგრამ – უშედეგოდ. შემთხვევით გავიგე, რომ ოთარ რეხვიაშვილი თბილისში იმყოფებოდა. ეს ის ადამიანია, ვისთან ერთადაც ჯემალი საზღვარზე გადმოდიოდა. ამ ადამიანის კვალს ვერსად მივაგენით. შემდეგ, ერთმა კაცმა მითხრა: ისეთი ფიზიკური მონაცემების კაცი, როგორიც შენი ძმა იყო, ადლერში დადის, ოღონდ – შეშლილიაო... მაშინვე გავემგზავრე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სულ სხვა პიროვნება ყოფილა... ჯემალს გაგრაში კორეელი მეგობარი ჰყავდა. ადლერში ეს პიროვნება ვნახე. მიამბო იმის შესახებ, რომ 1992 წლის შემოდგომაზე, ჩემი ძმა ადლერში ყოფილა ჩასული, შემდეგ ისევ გაგრაში დაბრუნებულა. ფული არ ჰქონდა, რომ თბილისამდე ჩამოსულიყოო, – მითხრა მან.

ჯემალი ნათესავებთან ერთად

— როგორ ფიქრობთ — ჯემალის კვალი რატომ გაქრა?

ლალი:

– მე ვფიქრობ, რომ ის საზღვართან დახვრიტეს...

ქალბატონი თამარი:

– არა, არა, ლალი, ამას ნუ ამბობ! ეგ მეც მითხრა რამდენიმე ადამიანმა, მაგრამ არ ვიჯერებ. ჯემალი ცოცხალია და ის აუცილებლად დაბრუნდება.

— როგორ ფიქრობთ, მაინც რატომ არ გამოჩნდა ამდენი ხნის განმავლობაში, თუ ის ნამდვილად ცოცხალია?

ქალბატონი თამარი:

– მე ექიმი ვარ და კარგად ვიცი, რომ როდესაც ადამიანს თავში აქვს ტრავმა მიყენებული, შესაძლოა, მას მეხსიერებამ უმტყუნოს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის სახლს ვერ აგნებს. ჭიშკარზე წერილებს სწორედ იმიტომ ვწერ, რომ აქ თუ გაივლის, წაიკითხოს და სახლი იცნოს... დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი ცოცხალია. შარშან ზაფხულში, როდესაც ლალი შვებულებით დასასვენებლად გაემგზავრა, ჩემთან სტუმრად მოვიდა ჯემალის ძველი მეგობარი. მე მას ვუთხარი: ჯემალი სახლში მოდის, მაგრამ ვერ გვცნობს-მეთქი... მან ორი მაგნიტოფონი მოიტანა და სხვადასხვა ოთახში დადგა. რამდენიმე დღეში, ერთ ფირზე ჩაწერილი იყო ჯემალის ხმა. მე მეძახდა რუსულად: Мама! Мама! მეორეზე კი, მხოლოდ Ой , Ой, იყო ჩაწერილი. ჩემი ყურით მოვისმინე!.. ახლა ჯანმრთელობა შემერყა. ცოტა რომ დათბება, გამოვკეთდები და აუცილებლად წავალ გაგრაში ჩემი შვილის მოსაძებნად.

— ჯემალის ცოლ-შვილი სად არის?

– ისინი გომელში ცხოვრობენ. 2 წლის წინ ბავშვი ჩამოვიყვანეთ ჩვენთან და მივესიყვარულეთ. რძალი სულ მწერს წერილებს, ბავშვის ამბებს გვატყობინებს...

ეს კიდევ ერთი ნაღვლიანი ამბავია, რომელიც ამ სასტიკი ომის შედეგია. დედის გული ძნელად იჯერებს შვილის უბედურებას. ღმერთმა ქნას, დედის ალღომ გაამართლოს და, დაკარგული შვილი საღ-სალამათი და უვნებელი დაუბრუნდეს!.. თუ ვინმეს რაიმე ინფორმაცია გაქვთ ჯემალ გოცირიძის შესახებ, გთხოვთ, დაგვიკავშირდით: ოჯახისთვის სულ მცირე ცნობასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს... ■

ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო, ეს ნიშნავს, რომ მონაწილე ხარ მისი.

ჟან ჟაკ რუსო

ორატორის უდიდესი ღირსებაა, არა მარტო თქმა იმისა, რაც საჭიროა, არამედ უთქმელობაც იმისა, რაც საჭირო არაა.

ციცერონი

არ არის რა იმაზე უფრო სირცხვილი, რომ იყო უსარგებლო საზოგადოებისათვის და თავისთვის, გეყოს გონება მხოლოდ იმისათვის, რომ არაფერი აკეთო.

ბლეზ პასკალი

ყველაზე მძიმე დანაკარგი – დაკარგული დროა.

ჟორჟ ლუი ლეკლერკ ბიუფონი

შთაგონების და შრომის გარეშე
პირუტყვი ცხოვრობს ყველა მხარეში...
კაცის სკამზე კი ის მინდა დავსვა,
ვინც უპატრონებს საკუთარ თავსა.

ანდრე მარი შენიე

რა ლამაზადაც არ უნდა ილაპარაკოს ადამიანმა, თუ ის ბევრს ლაპარაკობს, ბოლოს მაინც სისულელეს იტყვის.

დიუმა

შვილის სიყვარული ქათამმაც იცის. მთავარია, კაცად გაზარდო.

მაქსიმ გორკი

ცუდად დასაბუთებული ან ხელაღებით უარყოფა, ნიშნავს საკუთარი უვიცობის ან გონებრივი შეზღუდულობის აღიარებას.

ჟელტუხინი

თათია ხაბურზანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბარში მღერის. მის მოსასმენად ყოველ საღამოს, უამრავი უცხოელი მიდის. თათიას ჯგუფს „ქენდი“ („ტკბილი გოგონა“ — ინგლ.) ჰქვია. როცა ეს „ბენდი“ ყალიბდებოდა, მის წევრებს უნდოდათ, „თათია“ დაერქმიათ. თათიამ იუარა... ახალგაზრდა მომღერალს ბარში შევხვდი, უფრო სწორად — იქ აღმოვაჩინე. „ნალს“ ბარი პირობითად შეიძლება ვუწოდოთ — სინამდვილეში ეს ე.წ. პაბია — თამბაქოს კვამლით, ლუდის ქაფითა და უცხოური მუსიკით. თათიამ სიმღერა რომ დაამთავრა, დაველაპარაკე. გულღია მოსაუბრე აღმოჩნდა. მართალია, ძალიან დაღლილი ჩანდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით მიამბო თავისი ცხოვრების შესახებ.

ლიფი სცენაზე მეოცნებე, ბარის მომღერალი სტუდენტი

ლელა ჭანკოტაძე

— ბავშვობიდან ვმღეროდი. ჩემი ოჯახი ძალიან მუსიკალურია. დედა პროფესიით მასწავლებელია, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, მაგრამ კარგად მღერის. ჩემი ნათესავები — როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან — სუფრას რომ მიუსხდებიან, მათ მოსმენას არაფერი სჯობს. ახლობლებს შორის, პროფესიონალი მომღერალი არ გვყავს, მაგრამ ყველანი კარგად ვმღერით. მე მუსიკალურ გიმნაზიაში ვსწავლობდი, შემდეგ — მუსიკალური ტექნიკუმი დავამთავრე. სკოლაშიც ფრიადოსანი ვიყავი. ჩემი მშობლები ფიქრობდნენ, რომ კონსერვატორიაში ჩავაბარებდი და მუსიკოსი გავხდებოდი, მაგრამ მე სურვილი გამიჩნდა, მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან სპეციალობას დავუფლებოდი. ახლა მეორე კურსზე ვარ. მინდა, მომღერალი იურისტი ვიყო. ძალიან საინტერესო სინთეზი გამოდის...

— როდის გაგიჩნდა სურვილი, რომ ბარში გემღერა?

— პირველად, ეს იდეა დაახლოებით ორი წლის წინ გამიჩნდა. გია ფეიქრიშვილი — მერაბ სეფაშვილის გიტარისტი, ჯგუფს აყალიბებდა და სოლისტს ეძებდა. მან გაიგო ჩემ შესახებ და დამირეკა. მომისმინა, მოვეწონე და რეპეტიციები დავიწყეთ. ჯგუფის ჩამოყალიბება ძალიან შრომატევადი საქმე აღმოჩნდა. დღეში 6-7 საათი ვმეცადინეობდით. ძალიან დამეხმარა ის, რომ კარგად ვიცი ინგლისური: სიმღერების ტექსტებს სმენით ვიმახსოვრებდი და ინტერნეტში ძებნა აღარ მიხდებოდა. ერთი სიტყვით, ვემზადებოდით იმისთვის, რომ ბარში გვემღერა. მაგრამ ჩვენი სურვილის ასრულება იოლი არ იყო. პეროვსკაიაზე ყველა რესტორანს ჰყავდა ჯგუფი. იმისათვის, რომ სამსახური მიიღო, სხვა ჯგუფებს ბევრად უნდა აჯობო. ეს საკმაოდ რთულია, რადგან რესტორნებში არცთუ ისე ურიგო ჯგუფები მუშაობენ. ყოველმა მათგანმა იცის, რომ ბევრი უნდა იშრომოს, რათა სამუშაო არ დაკარგოს. ასეთია პეროვსკაიას ბარ-რესტორნების დაუწერელი კანონი. უფრო სწორად — მგლური კანონი... ხუთკაციანი „ბენდი“ ვართ. ყველანი თავიდანვე დარწმუნებულები ვიყავით საკუთარ შესაძლებლობებში, მაგრამ არ გვქონდა იმის გარანტია, რომ დავმკვიდრდებოდით, შეგვიყვარებდნენ... ახლა უკვე ბევრი შემოთავაზება გვაქვს. შრომაც დაგვიფასდა და გაგვიმართლა კიდეც.

— შენი მშობლები იოლად დაგთანხმდნენ ამ არჩევანზე?

— მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა ის, რომ ბარში ვიმღერებდი. გეთანხმებით, ცუდად ჟღერს — ეს გოგო ბარში მღერისო, — რომ იტყვიან, მაგრამ რეალობა სულ სხვანაირია. ერთხელ, დედაჩემს მოვკიდე ხელი და ბარში წამოვიყვანე. მას ის კი არ ეთაკილებოდა, რომ ბარში ვიმღერებდი — უბრალოდ, ეშინოდა, რამე არ შემმთხვეოდა... რომ გაიცნო ჩემი „ბენდის“ წევრები, დამშვიდდა. ახლა მამაჩემი საქართველოში არ არის, გერმანიაშია წასული. უმამობა არ მიგრძნია. შემიძლია ვთქვა, რომ ოთხი მამა მყავს: ჩემი მუსიკოსები ჩემზე ზრუნავენ, ხშირად შენიშვნასაც მაძლევენ, მეჩხუბებიან კიდეც. მე არც რესტორანში ვმღერი და არც კაფეში — ვმღერი პაბში, სადაც სულ სიგარეტის სუნი და ისეთი ბუღი დგას, რომ შეიძლება დაიხრჩო. პაბში უნდა დალიო კარგი ლუდი ან მაღალი ხარისხის სასმელი. პაბს უხდება ინგლისური მუსიკა, რომელსაც ევროპელი ხალხი უსმენს... რეპ-

ამ მუსიკას ქართველებიდან, უმეტესად, უფროსი თაობა უსმენს, ტინეჯერებისთვის კი, მიუღებელია

ერტუარში გვაქვს ლათინურამერიკული მუსიკაც. ამ მუსიკას ქართველებიდან, უმეტესად, უფროსი თაობა უსმენს, ტინეიჯერებისთვის კი, მიუღებელია. მე ალტერნატიულ მუსიკას ვუსმენ და ძალიან მომწონს. ვუსმენ ბლუზსაც. ბლუზი მარტივი მუსიკაა, ძალიან სექსუალური, ინტიმური და მხიარული.

— ქართულ მუსიკას არ უსმენ?

— ქართული მუსიკა ჩემია და მას ვერაფერს შევადარებ. ერთხელ, ბარში უცხოელებს ვუმღერეთ — „შენ დაგეძებ დილაა თუ ბინდია...“ იშვიათია შემთხვევა, როცა ბარში ბევრი ქართველი იყრის თავს. როცა ასეთი რამ ხდება, გვეუბნებიან ხოლმე: მაგრები ხართ, მაგრამ ერთი ტკბილი, თბილი ქართული სიმღერა გვიმღერეთო... ქართველებს ქართული სიმღერები განსაკუთრებით გვიყვარს. ამიტომაც არის, რომ მე და ჩემს „ბენდს“ უმეტესად, უცხოელი მსმენელი გვყავს.

— როგორი მსმენელები არიან უცხოელები?

— ძალიან უკომპლექსო ვარ — სხვანაირად ბარში ვერც ვიმღერებდი. ასეთები არიან უცხოელებიც. კონტაქტში იოლად შემოდიან — არა აქვს მნიშვნელობა, გიცნობენ თუ არა, მაინც გესალმებიან. თუ დაინახეს, რომ სახე ოდნავ მომეღუშა, მაშინვე ცდილობენ გამაცინონ...

— როგორი ანაზღაურება გაქვს?

— ბარის კვალობაზე, ნორმალური ანაზღაურებაა, მაგრამ ეს თანხა ჩვენთვის მაინც ძალიან ცოტაა...

— უცხოელები ფულს არ გაძლევენ ხოლმე?

— ერთ-ერთი ქვეყნის ელჩმა, რომელიც გიჟდება ჩემს სიმღერაზე, პირადად მე 500 დოლარი მაჩუქა. ერთ-ერთი სერიოზული კომპანიის პრეზიდენტმა, რომელიც ექვსთვიანი კონტრაქტით იყო ჩამოსული საქართველოში, გვთხოვა, ერთი საათით მეტხანს გვემღერა და 200 დოლარი გადაგვიხადა. ფულს, რა თქმა უნდა, „ბენდის“ წევრები შუაზე ვიყოფთ ხოლმე. ასეთი შემთხვევა იშვიათია. მუსიკოსებისთვის ფულის მიცემა ქართულ რესტორნებშია მიღებული; ქართველები სიმღერას ისე არ შეუკვეთენ, თუ ფული არ გადაიხადეს, უცხოელებს კი, ასეთი რამ არ სჩვევიათ. მათ იციან — რადგან ბარში ვმღერით, ეს ჩვენი სამუშაოა, რომელშიც ბარის მეპატრონეები გვიხდიან ხელფასს.

— ალბათ, ძალიან დატვირთული ხარ...

— დილით ადრე ვდგები და ვარჯიშს ვიწყებ. დავრბივარ, ვცურავ. ვარჯიში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგჯერ დილით ადგომა მიჭირს, რადგან ბარიდან შინ რომ მივდივარ, ყურები სულ მიგუგუნებს და დიდხანს ვერ ვიძინებ ხოლმე. ისეთი დღეებიც არის, როცა საერთოდ არ ვწვები, რადგან სამეცადინო მაქვს. უნივერსიტეტში ისე ვერ წავალ, თუ მომზადებული არ ვარ. ჩემს ლექტორებს ვერ ვეტყვი: ბარში ვმღერი და ამიტომ, საგანი ვერ მოვამზადე-მეთქი. ვინც მაინც შეიტყო ჩემი სამსახურის შესახებ, გაოცებას ვერ მალავდა... სამწუხაროდ, იმის საშუალება არა აქვთ, რომ მოვიდნენ და მომისმინონ: „ნალში“ საკმაო სიძვირეა, აქ შემოსვლა ყველას არ შეუძლია... ზოგჯერ, დედა-ჩემის მოსწავლეები მოდიან ხოლმე ჩემს მოსასმენად. ცხადია, ყველას აინტერესებს, როგორია გოგო, რომელიც ბარში მღერის... ბარი ჩემთვის დასვენებისა და განტვირთვის საშუალებაცაა. როცა საშინლად დაღლილი ვარ, ან თავს ცუდად ვგრძნობ, შევაღებ თუ არა ბარის კარს, ყველაფერი მავიწყდება. არანაირი უფლება არ მაქვს, მსმენელს ვაგრძნობინო ჩემი უგუნებობა, რადგან რა დროს გაატარებს აქ მოსული სტუმარი — ეს მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული. მინდა — ავამღერებ, მინდა — ავაცეკვებ და თუ მინდა — ავატირებ კიდეც...

ასეთები არიან უცხოელებიც. თუ დაინახეს, რომ სახე ოდნავ მომეღუშა, მაშინვე ცდილობენ გამაცინონ...

— სიმღერის გარდა, სხვა ჰობი თუ გაქვს?

— ვხატავ ავანგარდისტულ სტილში, თანაც ძალიან კარგად. ლექსებსაც ვწერ. უამრავი ლექსი მაქვს. ხშირად მეუბნებიან: შენი ლექსების კრებული გამოეციო, — მაგრამ ლექსებში ჩემს შინაგან სამყაროს ისე ვაშიშვლებ, რომ მინდა, მხოლოდ მე მეკუთვნოდეს... ლექსს ჯერ სიზმარში ვხედავ, დილით კი — ვწერ.

„მზემ აირეკლა ანარეკლი
მომზისფრო,
არ ვიცი, იქნებ, ვეღარც მომისწრო
და მაინც,
რა ლამაზი ხარ...“

— რაზე ოცნებობ?

— დედაჩემის ოცნება ყოველთვის ის იყო, რომ მე დიდ სცენაზე მემღერა. ახლა ეს ჩემი ოცნებაცაა... ■

როგორია ჩვენში უცხოპლანეტელი შთამომავალი?

უცხოპლანეტელები ჩვენ შორის უკვე კარგა ხანია ცხოვრობენ – ირწმუნება ცნობილი ბრიტანელი უფოლოგი (ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მკვლევარი) ჯონ პოუპი. ვინც ამ ჰიპოთეზას დაიჯერებს, ბუნებრივია, იმითაც დაინტერესდება, თუ როგორ შეიძლება დავადგინოთ – იყო თუ არა უცხოპლანეტელი მის წინაპრებს შორის, ან ახლა თუ ჰყავს აღნიშნული წარმოშობის ნათესავები ან ახლობლები. პოუპი ამის დადგენის გზასაც გვაკარნახობს...

„ადამიანთა მოდგმის სულ ცოტა, 45-50-% ჰიბრიდია — უცხოპლანეტელებისა პირველყოფილ, ან შუა საუკუნეებში მცხოვრებ, ან კიდევ ჩვენს თანამედროვე ადამიანებთან შეჯვარების შედეგად გაჩენილი, — ამტკიცებს პოუპი. — სტუმრები შორეული კოსმოსიდან ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ 30-40 ათასი წლის წინ იყვნენ ჩამოსულები. სწორედ მათ შთამომავალთა მიერაა შექმნილი ეგვიპტელთა, შუმერთა, მაიასა და აცტეკთა უძველესი ცივილიზაციები. და თუმცა უძველესი დროიდან მოყოლებული, უცხოპლანეტელებსა და დედამიწის ბინადართ საერთო შვილები უჩნდებოდათ, დღესაც იჩენს თავს ის მახასიათებლები, რომელიც კოსმოსიდან ჩამოსულთა შთამომავალთ გამოარჩევს“.

მაშ ასე:

ინტელექტი. პოუპის მტკიცებით, „უცხოთა“ შთამომავალთ ახასიათებს საუკეთესო გონებრივი მონაცემები. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, – ირწმუნება იგი, – რომ ყველა გენიოსი, რომელი დროისა და ერის შვილიც არ უნდა იყოს იგი, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა გამოჩენილი მოღვაწე, აგრეთვე – მკურნალი, შემლოცველი, ჯადოქარი, შამანი და ექსტრასენსი (პირველ რიგში, ისეთი დონის წინასწარმეტყველები, როგორებიც იყვნენ ნოსტრადამუსი და კეისი), უდავოდ, სხვა – უფრო მაღალგანვითარებული ცივილიზაციების წარმომადგენელთა შთამომავალია. ასეთი ადამიანები არსებობდნენ და არსებობენ ყველა ქვეყანაში, თუმცა ისინი ცოტანი არიან – სულ რამდენიმე ათეული, ასეულ ათასებს შორის“.

თვალები. უცხოპლანეტელთა შთამომავალთ ჩვეულებრივ, ლურჯი, ნაცრისფერი ან ფოლადისფერი თვალები და მომნუსხველი მზერა ახასიათებთ. დედამიწის „სუფთა“ ბინადართ კი, მკვლევარის აზრით, თვალები იმთავითვე მწვანე, შავი ან მუქი ყავისფერი ჰქონდათ (ასევე – ღია ყავისფერი, რომელიც იშვიათად გვხვდება). სხვადასხვა ფერის თვალები, მით უმეტეს თუ მას წვრილი წერტილებიც აქვს, იმაზე მიუთითებს, რომ თქვენს წინაპრებს შორის უცხოპლანეტელი იყო.

ხელები. ძირძველ დედამიწელთ ხელის კვადრატული მტევნები და მოკლე თითები აქვთ; ამასთანავე, მამაკაცებს ხელებიც და თითებიც – ზოგს საკმაოდ უხვადაც – ბალნით აქვთ დაფარული. უცხოპლანეტელთა შთამომავალთ ე.წ. „მუსიკალური“ – გრძელი ხელები, თლილი თითები და მოვარდისფრო, გამჭვირვალე ფრჩხილები ახასიათებთ. ადამიანთა მოდგმას უმეტესად, ღია ყავისფერი ან ღია მელნისფერი ფრჩხილები აქვს.

ალნაგობა. დედამიწის მკვიდრი მამაკაცები ჩვეულებრივ, საშუალო სიმაღლის ან საშუალოზე დაბლები, ჩასკვნილები, დაკუნთულები, ფიზიკურად ძლიერები, მხარბეჭიანები და ამტანები არიან. ბევრ მათგანს მხრები, ზურგის ზედა ნაწილი და დუნდულებიც კი, ბალნით აქვთ დაფარული, რაც აშკარა ატავიზმია, რომელიც წინაპრების – მაიმუნებისაგან შემორჩათ. ქალები ასევე საკმაოდ ფერხორციანები, ამტანები და მკერდსავსენი არიან. რაც შეეხება უცხოპლანეტელებს – მათ გაცილებით ნატიფი კონსტრუქცია ახასიათებთ: მაღლები, დახვეწილფიგურიანები, გამხდრები არიან; სუსტად აქვთ განვითარებული კუნთები; მიდრეკილნი არიან წელის ტკივილისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებისკენ; როგორც წესი, არ გამოირჩევიან ამტანობით და უმეტესად, გონებრივი შრომისკენ იჩენენ მიდრეკილებას. ხმაც, ჩვეულებრივ, საკმაოდ დაბალი, მეტყველება კი – მკაფიო და დახვეწილი აქვთ. დედამიწის მკვიდრნი უმეტესად, მაღალი, წვრილი ხმითა და ძნელად გასარჩევი მეტყველებით გამოირჩევიან.

მიმოიხედეთ ირგვლივ – იქნებ, თქვენ გვერდით მართლაც ბევრი „უცხოპლანეტელი“ დააბიჯებს? ჩაიხედეთ სარკეში და დააკვირდით საკუთარ თავს – რამდენი ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ უცხოპლანეტელი წინაპრები გყავდათ?.. ■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„მგზი“, „ჯუჯელი“,
„მეგაკომი“ – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.
რაიონები – 0,65 ლ.

დაივიწყეთ ტკივილი „მუვ ფრი“-სთან ერთად

რა მტკივნეულია! ვინ იფიქრებდა, რომ ჩვეულებრივი ხელის ჩამორთმევაც კი ასეთ ტანჯვად იქცეოდა? ვერაფრით ვახერხებ ჩაის ჭიქის სახელურს მოხერხებულად მოვკიდო ხელი. დილით კი გაღვიძებისას, თითები საერთოდ არ მემორჩილება...

რა ახდენს სახსრების დაზიანების სწორედ ამ ფორმის დაწყების პროვოცირებას, ექიმებისთვის დღემდე გაუგებარია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ზოგიერთ ადამიანს რევმატოიდული ართრიტის მიმართ გენეტიკური მიდრეკილება აქვს. ასეთ შემთხვევაში ეს დაავადება შესაძლოა დაემართოს ბავშვსაც და მოხუცსაც, ხოლო უფრო ხშირად, აქტიური ასაკის ქალბატონებს, რომელთა თითქმის ნახევარი, დიაგნოზის დასმიდან პირველი ხუთი წლის მანძილზე ინვალიდდება.

დაავადების დასაწყისში, როგორც წესი, ადგილი აქვს შემაწუხებელ ტკივილებს, შეშუპებას, დილაობით ხელის მტევნებისა და სხივ-მაჯის სახსრების შებოჭილობას. ამ გამოვლინებების პროვოცირება სტრესულ სიტუაციას ან მწვავე ინფექციურ დაავადებებსაც შეუძლიათ. დროთა განმავლობაში, ამ პროცესს შესაძლოა დაემატოს ტერფები, კოჭ-წვივის, მუხლის, იდაყვის სახსრები, აგრეთვე ხერხემლის კისრის ნაწილი. ეს ნიშნები შეიძლება ადვილად აგვერიოს სახსრების სხვა დაავადებების სიმპტომებში, ამიტომ ზუსტ დიაგნოზს მხოლოდ ექიმი-რევმატოლოგი ადგენს ანალიზების საფუძველზე.

მოსალოდნელია დაავადების აქტიური პროგრესირება, დაზიანებულ სახსარში მოძრაობის უნარის სრულ დაკარგვამდეც კი, ამიტომ არ შეიძლება დროის დაკარგვა და სერიოზული მკურნალობის დაწყებას ნუ გადადებთ. მეტად მნიშვნელოვანია, კომპეტენტურ ექიმს მიმართოთ, რომელსაც მშვიდად მიენდობით, რადგან ამ დაავადებასთან ბრძოლა არაერთი წლის მანძილზე ერთად მოგიწევთ.

სამწუხაროდ, რევმატოიდული ართრიტის საბოლოოდ განკურნება შეუძლებელია, ამიტომ მკურნალობის ძირითადი მიზანია – დაავადების მსვლელობის შეჩერება და პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. საჭიროა ტკივილის მოხსნა ან შემცირება მაინც, ანთებითი პროცესების შეჩერება, გამწვავებისა და გართულებების თავიდან აცილება. სახსრების გარდა, დროთა განმავლობაში შესაძლოა, ასევე, შინაგანი ორგანოები დაზიანდეს, რევმატოიდული ართრიტი ხომ ორგანიზმის სისტემურ დაავადებას წარმოადგენს.

დაავადების მისაღებ ფარგლებში შეკავებისთვის, მედიკამენტებით კომპლექსური თერაპია (ექიმ-რევმატოლოგის მიერ ინდივიდუალურად შერჩეული პრეპარატების ყოველდღიური უწყვეტი მიღება) გამოიყენება. რაც უფრო მეტად შეგაწუხათ დაავადებამ, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს წამლების მოქმედება და მაშასადამე, მკურნალობისგან უფრო მეტი გვერდითი მოვლენებიცაა მოსალოდნელი. ამიტომ, პაციენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რევმატოლოგს მისი ორგანიზმი დაწვრილებით აქვს შესწავლილი და საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტების გვერდითი მოვლენების კომპენსირებას შეძლებს.

თანამედროვე მედიცინა ხშირად აწყდება იმას, რომ სახსრების დაავადების სამკურნალოდ მხოლოდ აბები და ნემსები ხშირად საკმარისი არ არის. სულ უფრო პოპულარული ხდება სხვადასხვა, მუდმივად განახლებადი ფიზიოთერაპიული მეთოდების გამოყენება, აგრეთვე მკურნალობის არატრადიციული მეთოდებისაც. ამგვარი მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება კომპანია „შიფ“-ის ჩვენში უკვე პოპულარული, ახალი ნატურალური პრეპარატი „*მუვ ფრი*“, რომელიც მრავალგზის აპრობირებულია, მხარს უჭერს და მის გამოშვებას აფინანსებს **ამერიკის ართრიტის ფონდი**. პრეპარატ „*მუვ ფრი*“-ში შემავალი კომპონენტები პროტეოგლიკანების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ხელს უწყობენ დაზიანებული შემაერთებელი ქსოვილის (ხრტილი, სისხლძარღვები და სხვ.) აღდგენას.

პრეპარატი „მუვ ფრი“ გამოიყენება არა მარტო რევმატოიდული ართრიტის, არამედ ისეთი ძვალ-სახსროვანი დაავადებების მკურნალობისთვის, როგორებიცაა: ართროზი, სპონდილიტი, სპონდილოართრიტი, ოსტეოქონდროზი; ტრავმები, პოსტტრავმული მდგომარეობები; ნევრალგიები, ფიბრომიალგიები.

„*მუვ ფრის*“ შეძენა შესაძლებელია მხოლოდ კომპანია „ჯეოვიტში“, ხოლო მისი გამოცდილი სპეციალისტები უფასო კონსულტაციებს გაგიწევენ და თქვენთვის ოპტიმალურ მკურნალობას შეგირჩევენ.

მის: ილია ჭავჭავაძის 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი,
კომპანია „ჯეოვიტი“,
ტელ/ფაქსი: 29-20-91;
899-10-99-20
(სამუშაო საათები 10-დან 18
საათამდე, შაბათ-კვირის
ჩათვლით)

ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!

®

„მგლისხახიანი“ და „კურდღლისტუჩა“ ბავშვების შესახებ ალბათ ნებისმიერ ადამიანს სმენია, მაგრამ ცოტას თუ უნახავს ამ მანკით დაბადებული ახალშობილი. სამწუხაროდ, ხშირად, მშობლები მათზე უარს ამბობენ. ასეთი ახალშობილები ბავშვთა სახლებში საცხოვრებლად არიან განწირულნი...

დიღმის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოში ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებაში მანკიანი ბავშვების უამრავი ფოტოსურათია. ეს განყოფილება ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც შედეგიანი ოპერაციები ტარდება. გვესაუბრება განყოფილების გამგე, ნინო ხვედელიანი.

რა იწვევს თანდაყოლილ მანკს

ლელა ჭანკოტაძე

— ჩვენთან მოჰყავთ ბავშვები, რომლებსაც თანდაყოლილი მანკი აქვთ. უმეტესად, ეს არის ტუჩის ნაპრალი — ხალხში „კურდღლის ტუჩს“ რომ ეძახიან — და სასის ნაპრალი — ე.წ. „მგლის ხახა“. ნაპრალები სხვადასხვა სახის არის: ცალმხრივი, ორმხრივი, ნაწილობრივი და ა.შ. გარდა თანდაყოლილი მანკებისა, ჩვენთან მოჰყავთ ბავშვები, რომლებსაც სიმსივნე აქვთ პირის ღრუში. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ასეთი ბავშვების მშობლები იმყოფებიან. ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა იმის გამო, რომ ბავშვი თანდაყოლილი მანკით დაიბადა, მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ... თავიდან, როცა ეს განყოფილება გაიხსნა, მოზრდილები და ბავშვები ერთად იყვნენ. ამ კლინიკის ხელმძღვანელი დედაჩემი, მარიამ გრიგალაშვილი გახლდათ. მან ბავშვების განყოფილება ცალკე გამოყო. ახლა კათედრის გამგე და კლინიკის ხელმძღვანელი ზურაბ ვადაჭკორიაა. პირველი პაციენტები, ჩვილ ბავშვთა სახლიდან იყვნენ. მათთან დღესაც მჭიდრო კონტაქტი გვაქვს.

— ე.ი. მანკიან ბავშვებს მშობლები ტოვებენ ხოლმე?

— რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, სამშობიაროებში არასწორ ინფორმაციებს ფლობენ, მშობლებს ეუბნებიან: თქვენს შვილს „კურდღლის ტუჩი“ აქვს, ის ვერ ილაპარაკებს, ვერ შეჭამს და სხვა ამგვარი... უნდა ვთქვათ — მანკი, სახის ნაპრალი, და არა — „მგლის ხახა“ ან „კურდღლის ტუჩი“... წელიწადში, ასეთი მანკით დაავადებული 5-7 ბავშვი ჩვილ ბავშვთა სახლიდან მოჰყავთ ჩვენთან. ესენი ის ბავშვები არიან, რომლებზეც მშობლებმა უარი თქვეს. იყო შემთხვევა, როცა ახალგაზრდა გოგონამ გააჩინა ბავშვი ხახის ნაპრალით. ამ გოგონას საშვილოსნო ამოჰკვეთეს, ე.ი. მომავალში, ის ბავშვს ვეღარ გააჩენდა, მაგრამ შვილი მაინც დატოვა... ოპერაციის შემდეგ, ბავშვი მშობლებმა მოინახულეს და წაიყვანეს... ახლა უკვე დიდია. ცოტა ხნის წინ დამირეკა და მელაპარაკა.

— რატომ იბადებიან ბავშვები ხახის ან ტუჩის ნაპრალით? რა იწვევს ასეთ პათოლოგიებს?

— ასეთი პათოლოგიები გენეტიკურად გადადის. პრობლემას ართულებს დაბინძურებული ეკოლოგიური გარემო. ამ დაავადებამ განსაკუთრებული ძალით იფეთქა ჩერნობილის ატომური ელეტროსადგურის ავარიის შემდეგ.

— თუ არის საკმარისი ერთი ოპერაცია ასეთი მანკის მოსაცილებლად?

— შესაძლებელია, ერთი ოპერაციაც საკმარისი იყოს. როცა რთული და დიდი ნაპრალებია, კორექტირება რამდენჯერმე სჭირდება. ოპერაცია ერთიდან სამ საათამდე გრძელდება ხოლმე. საკმაოდ რთული ოპერაციაა, რომლის შემდეგაც ერთი ნაკერი რჩება. ზოგს უფრო მეტად ემჩნევა — ყველა ორგანიზმი ხომ ინდივიდუალურია. ზოგს, პლასტიკური ოპერაციაც რომ გაიკეთოს, უხეში ნაწიბური მაინც დარჩება.

— რამდენი წლის უნდა იყოს ბავშვი, ამ ოპერაციის გადატანა რომ შეძლოს?

— ტუჩის ნაპრალზე ოპერაცია კეთდება სამი თვის ასაკში, ხოლო ხახის ნაპრალზე რომ გაკეთდეს ოპერაცია, ბავშვი ორწლინახევრის მაინც უნდა იყოს. ასეთ ბავშვებს დარღვეული აქვთ მეტყველება. ცხვირისმიერ ბგერებს გამოსცემენ. ოპერაციის შემდეგ, აუცილებლად სჭირდებათ ლოგოპედი. საერთოდ, ეს ბავშვები თხუთმეტი წლის ასაკამდე, ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ამის შემდეგ, მოზარდი უკვე სრულფასოვანი და სრულყოფილი ადამიანია.

— თქვენი დაკვირვებით, მანკიანი ბავშვის მშობელი, ადრე თუ გვიან, ალბათ მაინც ეგუება მის ნაკლს თუ უბრალოდ, აიძულებს საკუთარ თავს, რომ შვილი უნდა მიიღოს ისეთი, როგორიც დაიბადა?

— როგორც წესი, მშობლები შეძრწუნებულები არიან. მაგრამ სამი თვის განმავლობაში, სანამ მათი შვილი საოპერაციო გახდება, ისინი ბავშვს იმდენად ეჩვევიან, რომ ნაკლს ვეღარც ამჩნევენ, თავიანთ შვილზე უფრო ლამაზი აღარავინ ჰგონიათ... სამშობიაროში სულ სხვაგვარი მდგომარეობაა: ბევრჯერ მივსულვარ, ამიხსნია მშობლისთვის, რომ სამი თვის შემდეგ, ოპერაციას გავუკეთებთ, ხოლო ახლავე რომ გავუკეთოთ, ბავშვი დაიღუპება-მეთქი, მაგრამ მშობელი ვერ დამითანხმებია. ოღონდ ეს ნაკლი მოვაცილოთ და თუნდაც დაიღუპოსო, — ასეთია ბევრის შეხედულება... თუ მაინც დავაჯერებთ, როცა სამი თვის შემდეგ მოჰყავთ, მაშინ უკვე სულ სხვაგვარად აზროვნებენ. ოპერაციის შემდეგ, რაიმე რომ გაურთულდეს, ხომ მოგვკლავენ!.. სამწუხარო ის არის, რომ ხშირად, ამ მანკს სხვა დაავადებაც ახლავს თან. ამიტომ ყველანაირად გამოკვლეული ბავშვი შეგვყავს ხოლმე საოპერაციოდ.

— ალბათ გახსოვთ ყველაზე რთული ოპერაცია, რომელიც თქვენ გაგიკეთებიათ და წარმატებით დასრულდა.

— გვყავდა ბავშვი, რომელსაც ჰიდროცეფალიაც ჰქონდა, მხედველობა კი — ძალზედ დაქვეითებული. მშობლებს დაუფარავად გავანდე ჩემი შიში. იმდენად

დიდი იყო ნაპრალი, რომ არ მეგონა, თუ ამ მძიმე ამოცანას გავართმევდით თავს. მაინც გავუკეთეთ ოპერაცია. ორი ოპერაცია დასჭირდა. მხოლოდ პატარა ნაწიბური დარჩა ცალ მხარეს. გარკვეული დროის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ეს ბავშვი ჩვილ ბავშვთა სახლში ჩააბარეს, რადგან ბევრი სხვა ნაკლიც აღმოაჩნდა...

— ხომ არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ოპერაციის შემდეგ, ნაკერი გაიხსნას?

— საერთოდ არ მახსოვს, რომ ტუჩის ნაკერი გახსნილიყოს. სასაზე უფრო შეიძლება, რომ გაიხსნას. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ცალი მხარე მშვენივრად გაკეთდა, მაგრამ მეორე მხარეს რომ ვკერავდით, პირველი ნაკერი გაიხსნა. ყოფილა აგრეთვე შემთხვევა, როცა მშობელმა ოპერაციის შემდეგ, კარგად ვერ მოუარა ბავშვს... ერთი ბავშვი ჩვილ ბავშვთა სახლიდან შემოიყვანეს. ოპერაცია შედეგიანი რომ აღმოჩნდა, მშობლებს შევატყობინეთ. მათ ნახეს თავიანთი შვილი და წაიყვანეს. საშინლად განიცდიან, რომ თავის დროზე, ჩვილ ბავშვთა სახლში დატოვეს, შვილის წინაშე დამნაშავეებად გრძნობენ თავს... ბავშვი გამართულად ლაპარაკობს, რაც დიდი ბედნიერებაა...

— თუ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მანკით დაავადებული ბავშვების რაოდენობის შესახებ?

— ერთადერთი შემიძლია გითხრათ, რომ აღრიცხვა გვაქვს რეგიონების მიხედვით. მათ შორის ლიდერობს აჭარა, შემდეგ მოდის კახეთი და რაჭა. აჭარის ასეთ ცუდ მაჩვენებელს ვაბრალებთ ქორწინებებს ნათესავებს შორის, რაც იქ დაშვებულია. აღსანიშნავია, რომ საერთოდ, როგორც ცნობილია, ბოლო წლებში, შობადობა შემცირდა, მაგრამ მანკიანი ბავშვების რაოდენობა არ შემცირებულა. ჩვენ პაციენტი არ მოგვკლებია.

— როგორი შედეგებით მთავრდებოდა ეს ოპერაციები წლების წინ და როგორ მთავრდება ახლა? თუ შეიმჩნევა რაიმე პროგრესი?

— ყბა-სახის ქირურგი და ამ საქმის ფუძემდებელი საქართველოში, ალექსანდრე ედიბერიძე გახლდათ. დედაჩემი ამბობდა ხოლმე: ედიბერიძის ბადალი ქირურგი მეორე არ იყოო... რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ოპერაციები დაიხვეწა. ჩემი სტუდენტობის დროს, ასეთი მძიმე ოპერაციები ადგილობრივი ანესთეზიით კეთდებოდა. წარმოიდგინეთ, ეს რა საშინელება იქნებოდა... ახლა, საერთო ნარკოზით კეთდება და ექიმის სამუშაოც ამის წყალობით, ცოტა შემსუბუქებულია.

— წინასწარ თუ შეიძლება იმის დადგენა, რომ ბავშვი ასეთი ნაკლით დაიბადება?

— ექოსკოპია ადგენს ამ ნაკლს, მაგრამ — მხოლოდ ორსულობის ბოლო თვეებში, როცა უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. თუმცა აუცილებელია, აქვე ვთქვათ: ადამიანებმა უნდა გაიაზრონ, რომ გაცილებით მძიმედ დაავადებული ბავშვებიც იბადებიან, ვიდრე ამ მანკით დასნეულებულები. თანაც ეს ნაკლი ოპერაციის შედეგად დაძლეულია. რა თქმა უნდა, თუ მანკი გენეტიკურია, ის, შეიძლება ბევრჯერ განმეორდეს. მაგალითად, ამ დღეებში ჩემთან მოსული იყო ქალი, რომელსაც თავის დროზე, ტუჩის ნაპრალი ჰქონდა; გაუჩნდა შვილი ორმხრივი სასის ნაპრალით — მძიმე და რთული მანკით. მაგრამ ოპერაციის შემდეგ, ეს ბავშვი ჩვეულებრივი, ჯანმრთელი და უნაკლო იქნება. მხოლოდ პატარა ნაწიბური დარჩება სახეზე — ეს არის და ეს... აქ უამრავი ისეთი ბავშვიც მოჰყავთ, რომელმაც ავტოავარიის შედეგად მიიღო საშინელი დაზიანებები. ერთ ჩვენს პაციენტ ბიჭს ქსოვილების ისეთი დეფექტი ჰქონდა, რომ მთლიანად მისი აღდგენა ვერ მოხერხდა. სამი თვე რეანიმაციაში იწვა. მისი სახის ნაფლეთები და ქსოვილები ავარიის შემდეგ, ბალახსა და ტალახში იყო აზელილი და ბავშვი სერიოზული ინფექციის საფრთხის წინაშე იდგა. ჩვენგან დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს, კანი რომ გაეწმინდათ. გვქონდა შემთხვევა, როცა მგლისგან დაკბენილი ბავშვი შემოიყვანეს. ზოოპარკში ორი წლის ბიჭს მგელმა ხელში ჩაავლო და დაკბინა. მაგრამ საბედნიეროდ, ქსოვილები არ ამოაჭამა. ბავშვი გადარჩა...

— ალბათ დაცემის შედეგად ბევრი, კბილებჩამტვრეული ბავშვიც მოჰყავთ თქვენთან სამკურნალოდ, არა?

— თოვლი რომ მოვიდა, ბევრი ასეთი ბავშვი მოიყვანეს. იყო შემთხვევა, როცა ბავშვს ყბა მთლიანად ჰქონდა მოტეხილი... ზედა ყბის მოტეხილობა ზოგჯერ ქალის ძვლის მოტეხილობასთან ერთად გვხვდება. ეს უკვე უმძიმესი შემთხვევაა და, რა თქმა უნდა, საბედისწეროდ მთავრდება. განსაკუთრებით მძიმე გადასატანია ყველა ის შემთხვევა, როცა ბავშვს სიმსივნე აქვს. პირის ღრუში ავთვისებიანი სიმსივნე ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს. გვყავდნენ ორი, სამი თვის ასაკის პაციენტები, რომლებსაც ღრძილზე ან ძვალზე ჰქონდათ ავთვისებიანი სიმსივნე... ჩვენს განყოფილებაში, წესით, ბავშვი არ უნდა დაიღუპოს, რადგან ასეთი მძიმედ დაავადებული ბავშვები რეანიმაციაში გადაგვყავს. ჩვენ მხოლოდ ისეთ პაციენტებს ვღებულობთ, რომლებსაც კეთილთვისებიანი სიმსივნეები აქვთ...

— თუ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ ოპერაციებს ნაწილობრივ მაინც აფინანსებს?

— არის ასეთი პროგრამა. ოპერაციებს მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. თუმცა, თითოეული ოპერაციიდან ექიმს სულ ოთხი ლარი ეკუთვნის... ■

ოპერაციამდე და...

ოპერაციის შემდეგ

პროფესია ჰკარნახობს ადამიანს ცხოვრების სტილს

დიდი ხანი არ არის, რაც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ მაია მწარიაშვილი დაინიშნა. ამ საკადრო ცვლილების შემდეგ კითხვა — თუ ვინ მფარველობს ახალ თავმჯდომარეს და ვინ ეხმარება კარიერის შექმნაში, ბევრს აწვალებს. როგორც მაია ამბობს, მას საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნამდე, არანაკლებ სერიოზულ საჯარო სამსახურში მოუწია მუშაობა. უფრო სწორად, ისეთ სამსახურში, რომელიც პრეზიდენტს ხელისგულზე უდევს. მაია მწარიაშვილი ნუგზარ საჯაიას კადრად მოიაზრებოდა და მისი რეკომენდაციით, უშიშროების საბჭოში სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურში ერთ-ერთ მიმართულებას კურირებდა. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ბავშვობაში კოსმონავტობაზე მეოცნებე გოგონას ძალიან მალე უფრო შორს გაფრენას უწინასწარმეტყველებენ. რას გვეტყვის თვითონ მაია, ვინ დგას მის ზურგს უკან და როგორ აპირებს, უხელმძღვანელოს იმ უწყებას, რომელიც კორუმპირებულობის თვალსაზრისით მოწინავე რიგებში დგას?

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და მინისტრებზე შეყვარებული მისი ქალიშვილი

ნანა ქიბიმაური

— ქალბატონო მაია, ალბათ ძალიან იღბლიან ადამიანად თვლით თავს, მართლაც წარმატებული კარიერა გაიკეთეთ...

— სიმართლე გითხრათ, ჩემი კარიერა სულ სხვაგვარად წარმომედგინა. ბავშვობაში კოსმონავტობაზე ვოცნებობდი, მერე იურისტობამ გამიტაცა. 1991 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი. ადვოკატობა მინდოდა. წითელ დიპლომზე ვამთავრებდი უნივერსიტეტს და ბოლო კურსზე სამეცნიერო მუშაობაზე ვფიქრობდი, მაგრამ მაშინდელი იუსტიციის მინისტრის, ჯონი ხეცურიანის შემოთავაზებამ — ჩავმდგარიყავი საჯარო სამსახურში, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. ახალკურსდამთავრებულს ისეთი განცდა მქონდა, დედამიწა მეპატარავებოდა, არადა, იუსტიციის სამინისტროში კორექტორად მიმიღეს. იერარქიულად ჩემს შემდეგ მხოლოდ დამლაგებელი იდგა. ერთ-ერთ გაფართოებულ თათბირზე, როდესაც მინისტრმა შეკითხვა დასვა — მითხარით ვინ რას აკეთებთო? — გულწრფელი განცხადება გავაკეთე: არაფერს-მეთქი. აი, იმ დღის შემდეგ, დავალება დავალებაზე მოდიოდა. გადამიყვანეს კონსულტანტად, შემდეგ უფროს კონსულტანტად, მერე მთავარ კონსულტანტად, განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად და ა.შ. რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიაშიც მომიწია მუშაობა. იმ პერიოდში რამდენჯერმე მიმიწვიეს უშიშროების საბჭოში და რამდენჯერმე შევხვდი ნუგზარ საჯაიას. ბატონმა ნუგზარმა, უშიშროების საბჭოში გადასვლა შემომთავაზა. თედო ნინიძეს (მაშინ უკვე ის იყო იუსტიციის მინისტრი) უთქვამს, მაია ზედმეტად პრინციპული ადამიანია და ძალიან გაგიჭირდებათ მასთან ერთად პოლიტიკის კეთებაო. ბატონმა ნუგზარმა უპასუხა თურმე: პოლიტიკას აქ ჩვენ ვაკეთებთ, მე კარგი თანამშრომელი მჭირდებაო. ჩემი და ჯემალ გახოკიძის თანამდებობრივი სტატუსის საკითხი ერთ დღეს გადაწყდა.

— სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებიც ძირითადად, საჯაიას კადრებით არის დაკომპლექტებული. ვისაც ერთი სკოლა გაქვთ გავლილი, ერთმანეთთან საერთო ენის გამოძებნა არ გაგიჭირდებათ.

კობამ 8 მარტი მიულოცა და მასთან დარეკვის უფლება მისცა. მას შემდეგ ხშირად ჭორაობენ ტელეფონით

— ნუგზარ საჯაიას სკოლა ბევრმა ადამიანმა გაიარა. დარწმუნებული ვარ, ყველას ერთი ამოსავალი პრინციპი აქვს — ეს არის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. ეს გვაერთიანებს ჩვენ და ამიტომ არ გვიჭირს ერთმანეთთან საერთო ენის მოძებნა. ხუთი წელი ვიმუშავე უშიშროების საბჭოში და ის უშიშროების საბჭო, რომელიც ნუგზარ საჯაიამ ჩამოაყალიბა, ერთ-ერთი ყველაზე არაკორუმპირებული, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული სამსახური იყო და ასეთად რჩება.

— მაგრამ სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით სასამართლოებზე...

— მაინც მგონია, რომ პირველი რიგის კორუფცია, უფრო, სხვა სფეროებშია სა-



...გარდაცვლილის ოჯახის შემდეგ, ეს ამბავი ყველაზე დიდი უბედურება ჩვენთვის იყო

ძებნი. ძალოვან უწყებებში და სასამართლოში მეორე რიგის კორუფციაა, მაგრამ ეს უფრო მწვავედ აღიქმება, რადგან მოსახლეობას უშუალო შეხება სწორედ ამ უწყებასთან აქვს. ეს პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. და მისი გადაწყვეტის გასაღები სახელმწიფო მოწყობის ფორმაში დევს. მართალია, მოსამართლეს სხვა მოხელეებთან შედარებით მაღალი ხელფასი აქვს, მაგრამ ეს არ არის ის სტანდარტი, რაც სასამართლო უწყებაში კორუფციის აღმოფხვრის საფუძველი იქნება. მოსამართლეთა მექრთამეობაზე ან სხვა დარღვევებზე მტკიცებულების მოპოვება ძალიან ჭირს...

— მაგრამ აკაკი გოგიჩაიშვილი ამას წარმატებით ახერხებს...

— ახერხებს, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ფარული კამერით მოპოვებული მასალა არ არის მტკიცებულება. მოსამართლეც ისევე არის კანონით შეზღუდული, როგორც ნებისმიერი მოქალაქე. რაც არ უნდა მწვავე იყოს „60 წუთის“ მიერ მოპოვებული მასალა, მე, როგორც მოსამართლეს, არა მაქვს უფლება, მტკიცებულებად მივიღო ის, რაც კანონით დადგენილი ფორმის დარღვევითაა მოპოვებული.

— საოლქო სასამართლო, შუალედური რგოლის ფუნქციას ასრულებს და დროის გაჭიანურების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა. დიდი საქმეები, როგორც წესი, მაინც უზენაესში მიდის.

— მე მგონია, რომ სასამართლო არის ის დაწესებულება, რომელიც პოლიტიკისგან შორს უნდა იდგეს. ჩემი აზრით, სასამართლოს უფრო სოციალური ფუნქცია აკისრია. რაც არ უნდა ლამაზად ჟღერდეს ფრაზა: „დაე აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც დაიღუპოს მთელი სამყარო“ — მე მაინც ვფიქრობ, არავის სჭირდება ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც სამყაროს დაღუპავს. მოსამართლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველაზე ლამაზი ფრაზის პირდაპირი გაგებითა და ცხოვრებაში გამოყენებით, მხოლოდ და მხოლოდ საპირისპირო შედეგს მივიღებთ. ამიტომ ვფიქრობ, სასამართლოებმა ყოველთვის უნდა განჭვრიტონ მოსალოდნელი შედეგები და ამ განჭვრეტისას მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით იხელმძღვანელონ. სასამართლოთა ინსტანციურობა გარკვეულწილად, საქმეთა განხილვის გახანგრძლივებას ნიშნავს, მაგრამ ზედა ინსტანციის არსებობა მართლმსაჯულების ობიექტურად და უშეცდომოდ განხორციელების ერთ-ერთი პირობაც გახლავთ.

— მაგრამ შეიძლება, საქმე უზენაესამდეც არ მივიდეს. თქვენთვის არასოდეს შემოუთავაზებიათ ქრთამი?

— ჩემთან არავინ მოსულა ასეთი წინადადებით. მგონია, ვერც მომავალში უნდა გარისკონ. შემიძლია გითხრათ, რომ „შეკვეთებს“ საერთოდ ვერ ვასრულებ.

— ძალიან ხშირად, ქალებს, რომლებიც საჯარო სამსახურში არიან და წარმატებულ კარიერას აღწევენ, მეუღლე არ უდგათ გვერდით. რატომ? ძალაუფლების მოყვარული ქალი ცოლის როლს ვერ ეგუება?

— ბევრ ქალს ვიცნობ, რომელიც თანამდებობასაც და მეუღლის მოვალეობასაც ერთმანეთს ძალიან კარგად უთავსებს. ჩემს შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო. მე და ჩემი მეუღლე თანაკურსელები ვიყავით. ვმეგობრობდით და ვიფიქრე, ეს იქნებოდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რაზეც შეიძლებოდა ოჯახის შექმნა. ახლა უკვე ვიცი, რომ მეგობრობა სხვა რამეა, ოჯახური ურთიერთობები კი — სხვა. და ის, ვინც ამ ყველაფერს ერთმანეთში აურევს, მეგობარსაც დაკარგავს და ვერც მეუღლეს შეიძენს. გიასთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ჩემი შვილი — ლოლა შეიძლება ითქვას, რომ გიჟდება მამაზე. გია თავს უხერხულად გრძნობდა, რომ მის გამო ჩემი კარიერა შეფერხდა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ჩემი დაწინაურება გულწრფელად გაუხარდა.

— რატომ შეფერხდა მის გამო თქვენი კარიერა და რატომ გაეყარეთ ერთმანეთს?

— გიას ძალიან მძიმე ამბავი შეემთხვა: პროკურატურაში მუშაობდა. ახალი თანამშრომელი მიიღეს. მათ შორის მომხდარი, ჩემთვის უსაფუძვლო და გაუგებარი კონფლიქტის შედეგად, ის ახალგაზრდა ბიჭი დაიჭრა და ოპერაციის მიმდინარეობისას გარდაიცვალა. გია თვითონ ჩაჰბარდა პოლიციას. მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი ჩემი ოჯახისათვის. მერწმუნეთ, გარდაცვლილის ოჯახის შემდეგ, ეს ამბავი ყველაზე დიდი უბედურება ჩვენთვის იყო. გიამ უკვე მოიხადა სასჯელი. ყველა ადამიანს თავისი ტრაგედია აქვს და ტრაგედიის სენსაციად ქცევა არ არის სწორი. ეს საქმე საოლქო სასამართლოში დასრულდა და როდესაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ამაყი ვიყავი იმით, რომ საოლქოში ვერავინ იტყოდა, რომ თუნდაც სატელეფონო ზარით შევაწუხე ვინმე მაშინ, როდესაც ჩემი ოჯახის წევრის საქმე იხილებოდა.

— თქვენი სტატუსის მქონე ქალი, თანაც სულ მამაკაცების გარემოცვაში... ალბათ დიდხანს არ მოგიწევთ მარტო ყოფნა...

ფლორიდაში დასვენების დროს (მარცხნიდან პირველი)

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელ შტატს ეკუთვნის ძალაძი ვაშინგტონი ადმინისტრაციულად?

ა) ვაშინგტონს;
ბ) ნებრასკის;
გ) არც ერთს.

2. რას უწოდებენ მსოფლიოში ალმასსა და გრილიანტს?

ა) მარადისობის ნამსხვრევს;
ბ) ცვრის ნამს;
გ) ქალწულის ცრემლს.

3. ვინ ასრულებს მანანას როლს მხ/ფ „მანანაში“?

ა) ნანული სარაჯიშვილი;
ბ) მარინა კახიანი;
გ) ხათუნა იოსელიანი.

4. სადაური იყო წარმოშობით დედა ტერეზა (აგნეს გოაჯიუ)?

ა) იტალიელი;
ბ) ალბანელი;
გ) ესპანელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— ჩემი სტატუსის მქონე ქალისთვის მართლაც პროვოკაციული შეკითხვაა. მართალია, სულ მამაკაცთა გარემოცვაში მიწევს ყოფნა და მათთან მეგობრობა საკმაოდ კარგად გამომდის, მიმაჩნია, რომ მამაკაცები უფრო კარგი მეგობრები არიან, ვიდრე ქალები. იდეალური მამაკაცის შერჩევა კი ყოველთვის ძნელია.

— ახლა ლოლაზეც გვითხარით რამე...

— რა გითხრათ, ლოლასთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება. სულ მენატრება და არასოდეს ვუწყრები. ძალიან თბილი ბუნების ბავშვია. ლოლა სულ მინისტრებზეა შეყვარებული. ჯერ ვალერი ხაბურძანია უყვარდა, ასე ამბობდა: არ შეიძლება, ნინომ სხვა ვინმე იპოვოს და ვალერის ცოლად მე გავყვეო?.. მერე, პანკისის ოპერაციის დროს, ვალერი კახური ქუდით ნახა და ძალიან არ მოეწონა... ახლა კობა ნარჩემაშვილზეა შეყვარებული. კობამ 8 მარტი მიულოცა და მასთან დარეკვის უფლება მისცა. მას შემდეგ ხშირად ჭორაობენ ტელეფონით. როგორც თვითონ ამბობს, სიზმარშიც ხშირად ხედავს კობას და თუთიყუშსაც კი, დიდი სიყვარულის ნიშნად, მისი სახელი დაარქვა. ერთი უბის წიგნაკი აქვს ლოლას, პირველ გვერდზე წერია „მთავრობა“: და სიაა ჩამოწერილი, რომელიც, რა თქმა უნდა, ნარჩემაშვილით იწყება. ვფიქრობ, ბავშვს მამის ნოსტალგია აქვს და ამას თავისებურად გამოხატავს. მე და ლოლას ძალიან გვიყვარს ყვავილები და ახალი წელი.

ზოგჯერ ბავშვობის გახსენებას ვცდილობ და ვერ ვიხსენებ

ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც დაბადების დღეზე 35 წითელი ვარდი მივიღე საჩუქრად. 8 მარტსაც იმდენი ყვავილი მქონდა, თავი მკვდარი მეგონა. ახალ წელს კი, ნაძვის ხის მორთვას ლოლას არ ვანებებ და თოვლის ბაბუას ისევე ველოდები, როგორც 30 წლის წინ.

— ყვავილებით განებივრებული ქალი ალბათ კომპლიმენტებითაც იქნებით განებივრებული.

— სამსახურში კომპლიმენტს არავინ მეუბნება. ასე სჯობს. იმიტომ, რომ თუ მხოლოდ ისე აღგიქვეს, როგორც ქალი, როგორც საჯარო მოხელე ვერასოდეს „შედგები“. პროფესია ჰკარნახობს ადამიანს ცხოვრების სტილს, თუნდაც ჩაცმულობას. თბილისში საღამოს კაბა არასოდეს ჩამიცვამს. ამის უფლებას თავს მხოლოდ უცხოეთში ვაძლევ.

— საქმიან მივლინებაში საღამოს კაბებიც მიგაქვთ ხოლმე?..

— დეპარტამენტში მუშაობის დროს, მართლაც, მივლინებით მიწევდა ხოლმე უცხოეთში ჩასვლა. ახლა ჩემი დღის რეჟიმი იმდენად დატვირთულია, ზოგჯერ ბავშვობის გახსენებას ვცდილობ და ვერ ვიხსენებ. უკვე გამოვიმუშავე ის, რომ დღევანდელი დღით ვიცხოვრო. წარსულზე ფიქრით და მომავალზე ოცნებით ხომ დღევანდელ დღეს კარგავ.

— როგორც გავიგე, სპორტითაც იყავით გატაცებული. არც ამისთვის გრჩებათ დრო?

— ამბობენ, რომ საკმაოდ კარგად ვცურავ. წყალში ხტომით და ცხენოსნობით ვიყავი გატაცებული. ვთამაშობდი კალათბურთს, უნივერსიტეტის ნაკრების კაპიტანიც კი ვიყავი. წყალში ხტომის დროს და კონკურში (ცხენით ბარიერის აღება) ბევრი ტრავმა მაქვს მიღებული. ცხენის გარეშეც ბევრჯერ ამიღია ბარიერი. პერიოდულად დილაობით დავრბოდი ხოლმე. სამწუხაროდ, ახლა ამის დრო აღარ მრჩება.

— როგორც ამბობენ, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეობა ტრამპლინია და თქვენ უფრო დიდი თანამდებობისთვის გამზადებენ...

— ასეთი მზა რეცეპტები, როგორც წესი, არ არსებობს. ის მოვალეობა, რაც გაკისრია, პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა შეასრულო. ადამიანისთვის ყველაზე მძიმე განცდა — მოუხდელი ვალია. ერთი რამ ვიცი: თუ ადამიანს აქვს რაიმის მიღწევის სურვილი — აუცილებლად მიაღწევს. ■

ლელა ჯიყაშვილი

„ვაშა არ დაკარგულა — ის ბიჭად მოკვდა...“

რაჭაში. 1975 წ.

„თქვენ ყველანი, ქაღალდის შემაწუხებელნი, სუფთა იდიოტები ხართ. რამდენი ბალღამია ამ მიწის ქერქის ქვეშ, რამხელა მძორი ყარს... „ქართული სული!“ სად არის — ჰაერში? ღრუბლებში? ნამში?

ნიადაგი, მიწა, მიწისქვეშეთი — ყველაფერი საბედისწერო, მღვრიე ვნებებითაა გაჟღენთილი. არაფერი ამ სიღრმეში არ შეცვლილა რადამისტისა და მედეას შემდეგ.

ამ ქერქის ქვეშ ისევ ბალღამი დუღს, ალბათ, მთელი დედამიწის ქვესკნელიც ასეთი გენიის სამყოფელია.

— მაგრამ რა მშვენიერი, ჰაეროვანი, თვალისმხიბვლელი მცენარეები იზრდებიან ამ საშინელებიდან!

განა ეს სასწაული არ არის!

განა ეს ხილვა სიცოცხლედ არ ღირდა?“

ასე ამთავრებს გურამ ასათიანი თავის შესანიშნავ ქმნილებას, რომელსაც „სათავეებთან“ ჰქვია. მე ამ სიტყვებით მინდა დავიწყო და გიამბოთ გურამ ასათიანზე, კაცზე, რომლის ცხოვრება და შემოქმედება პირდაპირი პასუხია ზემოთ მოტანილი ამონარიდის ბოლო კითხვაზე. ეს პასუხია — ღირდა!

ყოველგვარი კომენტარის გარეშე შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს გურამ ასათიანის ცხოვრებიდან, გაცოცხლებულს მოგონებებში მის შესახებ.

მანანა ჟიჟოძე, *მწერლის ქვრივი:*

— გურამ ასათიანი 1928 წლის 12 აგვისტოს დაიბადა თბილისში. ბავშვობაში ლექსებს წერდა:

„წელს ნაადრევად მოვიდა თოვლი
და ზამთრის ქარმა ცივად დაბერა...
რაღომ ეშვება ჩუმად ფოთოლი,
ან ეს ხეები რამ დაბერა?!„

ომის დროს, ინტელიგენციის ოჯახის ბავშვები დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდნენ. ერთხელ, გურამი დასასვენებლად დაბა ცემის ბავშვთა სანატორიუმში გააგზავნეს. იქიდან იწერებოდა: „მამას ჩამოტანილი პური გუშინ ღამით გავათავეთ. ბევრს ვკითხულობ. ამინდი ცუდია, ლექსების წერაში არ მიწყობს ხელს, როცა გცივა, მუზა არ მოდის. მზიან დღეში ნაძვებში გახვალ, ვარდის ბუჩქთან უსმენ ნიავის ნაზ შრიალს და აბნევ დილის ცვრებად ქაღალდზე მარგალიტებს (ყალბ თუ ნამდვილ მარგალიტებს, სულერთია). ლადო ასათიანის ამბავი გავიგე. ისე გარდაიცვალა, რომ მამაჩემმა ვერ ნახა და ვერა. ჩემს „ბასანოშკებს“ დინგები ძალიან დიდი აქვს. ისე, რომ წინდები მისველდება და მიჭუჭყიანდება. დილით, როცა ცვარია, სულ მელუმპება ფეხის ცხვირები. იძულებული ვარ, მამაჩემის „პარახოდები“ ჩავიცვა, მაგრამ მაშინ სულ „ნოტებზე“ უნდა ვიარო. ახლა, ჩემი თხოვნაა, მალე ჩემი დაკერებული ფეხსაცმელები ჩამომიტანეთ, მამას თეთრ ფეხსაცმელებთან ერთად, თორემ ეგენი მხოლოდ „კულტურული“ სეირნობის დროს გამომადგება. მამაჩემის ფეხსაცმელებს უკან გამოგატანთ. კვების საკითხი ასეა: ყველაფერი ნორმაზე რომ ჭამო, საშა ქუთათელივით გამოვიყვლინთები. მე და გოგი (ყუფარაძე) ვახერხებთ ორი ნორმის ჩაყლაპვას. ბუნება მშვენიერია: აქეთ ტყე, იქით ტყე, შუაში ვარ მათი ტყვე“.

თვითონ იყო ისეთი სულის, როგორზეც წერდა ხოლმე. სიკვდილზე მოჰყავდა ციტატები საინტერესოდ. მას სწამდა სიცოცხლის. იმეორებდა ხოლმე:

„ერთი ნამი სიცოცხლისა
თუ სინათლის მომცემია,
უსინათლოს და უგრძნობელს
სიუკუნეს მირჩევნია„.

მე რომ გურამს გავყევი, მძიმედ იყო ავად. მაშინ ამბობდნენ, ციროზი აქვსო. ყოველ დილით, რომ გაიღვიძებდა „ღმერთო, გათენდაო!“ — შესძახებდა. უხაროდა გათენება, ისე უყვარდა სიცოცხლე. ამიტომაც სწყუროდა ყველაფერი: კარტსაც თამაშობდა, ქეიფობდა კიდეც... რჩეული მეგობრები ჰყავდა, სულ მათთან უნდოდა ყოფნა. წერდა: „ხანგრძლივი



ცოლ-შვილთან ერთად

დროის განმავლობაში არ ვიყავით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვიქნებით“, მადლად და სასწაულად უნდა მივიღოთ ის, რაც ყოფნაა... სულ სხვაზე ფიქრობდა – სხვის ბედნიერებაზე. სიურპრიზების მოწყობა იცოდა. ჩემმა ქალიშვილმა რომ იქორწინა და ქორწინების სახლიდან მოვედით, მთელი სადარბაზო ხვიარა ვარდებით დაგვხვდა მორთული. წყნეთში წასულა და იქიდან ჩამოუტანია ვარდები. ნანი ბრეგვაძის დღეობაზე ყოველთვის ვიყავით დაპატიჟებულნი. ერთ-ერთ დაბადების დღეზე გურამმა დაიქირავა ამწე, მიაყენა ნანის ფანჯარას ყოფილ პლეხანოვის პროსპექტზე, ფანჯარაზე დაუკაკუნა და ისე გადასცა ვარდების თაიგული იუბილარს. ნანი გაოცებული დარჩა. არაჩვეულებრივი, დიდი სიყვარული მაჩვენაო... 1978 წელს გამოიძახეს და ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“ ჩააბარეს. თანაც მოსთხოვეს – პარტიაში უნდა შეხვიდეო. არ უნდოდა, შესულიყო. მე ვუთხარი: შედი პარტიაში და გამოიყენე კეთილი საქმეებისთვის-მეთქი. მართლაც, ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მის ხელში „ლიტერატურნაია გრუზია“ ავანგარდისტული გახდა. იქ იბეჭდებოდნენ ავტორები, რომლებსაც რუსეთში არას დიდებით არ დაბეჭდავდნენ ცენზურის გამო: გოლდსმანი, კუდიმოვა, ლეონოვიჩი, რასადინი... რუსი მწერლებისათვის საქართველო შემოქმედებით მუზად იქცა. „ლიტერატურნაია გრუზიას“ ერთ-ერთი წამყვანი რუბრიკა სპეციალურად საქართველოსა და რუსეთის კულტურისადმი იყო მიძღვნილი. თავისი ავანგარდული ხასიათითა და პოზიციით, ჟურნალი პოპულარული გახდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში და მრავალი მოკეთე და მკითხველი გაუჩნდა.

ხუტა გაგუა, ლიტველი მწერალი მარგინკუსი, გურამ ასათიანი, გურამ დოჩანაშვილი. ვილნიუსი. 1978 წ.

გურამი თავის ნაშრომებში ცდილობდა, ანალიზი ისე შეეტანა, რომ მხატვრული ელფერი მისცემოდა. მისი ნაწერები ესეებს ჰგავდა.

მისთვის წერა წვალებისა და ტანჯვის ტოლფასი იყო, იმიტომ, რომ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. მიაჩნდა, რომ წერის უფლებას მოპოვება სჭირდებოდა: „რომ დავწერ, სამჯერ უფსკრულში უნდა ჩავეკიდო დაღუპვამდე. სამჯერვე თუ გადავურჩი სიკვდილს, მხოლოდ მერე მაქვს დაწერის უფლება...“

ბოლოს, მძიმედ გახდა ავად. იცოდა თავისი მდგომარეობის შესახებ. ერთხელ ვახტანგ ფიფიამ იშოვა რაღაც აპარატი, რომლითაც გვინდოდა, მკურნალობა ჩაგვეტარებინა. მაშინვე მიხვდა, რომ ამაო იყო ყველაფერი... ის 8 თვე, საავადმყოფოში რომ იწვა, ზეიმივით გავატარეთ. მოდიოდნენ მეგობრები, ახლობლები, თუკი ვინმეს შეხვედრია... შედიოდნენ შეშფოთებულები, მასთან ურთიერთობის შემდეგ კი, თითქოს გახარებულნი გამოდიოდნენ, იმდენად ამშვიდებდა თავისი განწყობით მნახველებს. მიუხედავად იმისა, რომ უძლეველ სენთან შეგუებული იყო, მარცხზე მაინც ფიქრობდა და წერდა: ამ მკაცრ დროში, როცა ყველაფერი დაპყრობილია პრაქტიციზმით, ვინღა იფიქრებს, ვინღა ატირდება, ვინღა მოიცლის ვაჟაფშაველას ნიბლია ჩიტისათვისო?!. ზოგჯერ კი გაიხსენებდა ლუკრეციუსის სიტყვებს: სიკვდილს არაფერი აქვს საერთო ჩვენთან – როცა ჩვენ ვარსებობთ, სიკვდლი არ არის, როცა ის დგება, ჩვენ აღარ ვართო... ის ფიქრობდა, რომ სიკვდილი სიცოცხლის თანამგზავრია და სიცოცხლე დღითი დღე გვაჩვევს, გვარიგებს ამ აზრთან. ამბობდა – ჩვენ გვინდა, თვით სიკვდილი სიცოცხლისათვის გამოვიცნოთო... ამ რწმენით წავიდა. 54 წლისა გარდაიცვალა. ლევანმა (შვილმა) თქვა: მამა არ დაკაცებულა – ბიჭად მოკვდაო.

ლევან ასათიანი, *შვილი:*

– მახსოვს, ტოლსტოის „ომი და მშვიდობას“ ვკითხულობდი. ოდნავ ნასვამი, საოცრად გალაღებული (სილაღე მისი ხასიათის ერთ-ერთი არსებითი თვისება იყო), თვალებანთებული მოვიდა და გაუხარდა, გატაცებული რომ ვიყავი ამ რომანით. გამაოცა, იმდენად მკაფიოდ ახსოვდა ამ ნაწარმოების საუკეთესო ეპიზოდები. მელაპარაკა, ნატაშა როსტოვასა და ანდრეი ბოლკონსკის სულიერებაზე, ადამიანურობაზე... მეხსიერება ხომ ნიჭიერების ერთ-ერთი არსებითი თვისებაა... გურამ ასათიანმა სიკვდილს დასცინა. სარეცელს მიჯაჭვული ჰყვებოდა სხვადასხვა საინტერესო ამბავს, მუშაობდა, ხუმრობდა, გატაცებით უყურებდა მსოფლიო ჩემპიონატის ფეხბურთის მატჩებს. ცრემლები ყარა, ისე იხარხარა ჩაპლინის „დიდი ქალქის ჩირაღდნების“

მმობლებთან – თინა ჭიჭინაძესა და ლევან ასათიანთან ერთად

პორტუგალიაში, ლისაბონის ლიტერატორთა სამიტზე. 1977 წ.

ყურების დროს, — ასეთი კინოსურათი არ გადაღებულა და მგონია, ვერც ოდესმე გადაიღებენო. საოცარი სიმხნევე, სტოიციზმი და სილაღე გამოამჟღავნა სარეცელზე მიჯაჭვულმა. ბატონი ჯუნა მიქატაძე მოვიდა საავადმყოფოში გურამის სანახავად. ნასვამი იყო. პალატაში დიდხანს არ გაჩერებულა, აივანზე გავიდა. მეც გავყევი. ოდნავ ბარბაცებდა. ლევან! ლევან! — მეძახის გურამი, — მაგრად მოჰკიდე ხელი, თორემ გადავარდება და ხალხი იფიქრებს, გალაკტიონს გადაჰყვაო...

გურამ ლორთქიფანიძე, *მსახიობი:*

— გურამ ასათიანი ჩემზე უფროსი იყო ერთი წლით, ასეთი ცინცხალი გონების კაცი მე არ მინახავს. კრიტიკოსი იყო, მაგრამ აბა, თუ გაულანძღავს ვინმე?! ისეთი სტილი ჰქონდა, კაცს ისიც კი ესიამოვნებოდა, თუკი გააკრიტიკებდა ხოლმე. ტაქტიანი იყო და იმიტომ. ყვავილს ნისკარტი შეახოო, — ხომ გაგიგონიათ? შეახო — კი არ მიადო! აი, ასე ფრთხილად ეხებოდა გურამ ასათიანი მწერალს. ყველა მწერალი მისი მეგობარი იყო. სასცენო განყოფილების გამგე იყო კინოსტუდიაში. რამდენიმე ფილმიც გააკრიტიკა, თანაც ისე პროფესიონალურად, როგორც კინოკრიტიკოსმა... იცით, როგორი იუმორის გრძნობა ჰქონდა?! — ერთხელ დიდ ტალავერში იდგა, ვეხუმრე: „Лиса и виноград"-მეთქი... გაეცინა. მითხრა: ნახე, შენ რა გიქნაო!.. გავიდა დრო. ერთხელ ვთქვი: ნახეთ, რა როლი ვითამაშე — ნამდვილი ტოტო ვარ-მეთქი! გურამმა მიპასუხა: ტოტო არა, შენ ტო ხარო... არა უშავს, ტოტოს ნახევარი ვიყო-მეთქი... ღამეები არ ეძინა — მუშაობდა. მთელი დღე მეგობრებთან იყო. უყვარდა ქაღალდის თამაში. თითები გაყვითლებული ჰქონდა სიგარეტის კვამლისგან. მოგება კი არ უნდოდა — თვითონ თამაში მოსწონდა. ფული რომ აღარ გვქონდა და დავამთავრებდით თამაშს, თვითონ დაგვაფინანსებდა, ოღონდ კი თამაში გაგვეგრძელებინა. ავად რომ გახდა, სანახავად მივედით მე და გურამ ბარნოვი, ცოცხალი თევზი მივუტანეთ. მაშინაც კი გვეხუმრა: პეპოები ხართ, ამ დილაუთენია ცოცხალი თევზი, საიდან მოიტანეთო?!.

დიმიტრი გათიაშვილი, *კინორეჟისორი:*

— გურამ ასათიანი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო. რომანტიკული კაცი, მიწაზე კი არ დადიოდა — ცაში დაფრინავდა. სულ მიკვირდა, როდის ასწრებდა ამდენი ეკითხა. დღე მეგობრებთან იყო ან ლექციებს კითხულობდა. რამდენჯერ მინახავს, ღამეც არ ეძინა. გამოვიდოდა ქუჩაში, შეხვდებოდა ვინმეს, ესაუბრებოდა. მე რომ მეგონა — ახლობელს ელაპარაკებოდა, თურმე სულ უცნობს აჩერებდა ქუჩაში... სხვათა შორის, გალაკტიონსაც სჩვეოდა უცხოებთან საუბარი... თვითონ გურამი იყო პოეტი და იმიტომ ესმოდა ასე კარგად პოეზია. ზოგი მსახიობი კითხულობს ლექსს და არ ესმის, რას კითხულობს, კეკლუცობს... გურამ ასათიანმა კი, პირდაპირი არსი იცოდა ლექსის. მარტო ქართული ლექსები კი არ იცოდა — რუსულიც, ფრანგულიც, იტალიურიც. ერთხელ მკითხა, — იტალიის რენესანსის დროინდელ ფილოსოფოსებს იცნობო? ვუპასუხე: ერთი, პიეტრო პომპინაცი ვიცი-მეთქი. — თუ იცი, ეგ ლექსებსაც რომ წერდაო?.. საიდან გაიგო, სად მოიძია, არ ვიცი... „ლეჩკომბინატში" იწვა. ჯანსულ ჩარკვიანს უთხრა: კაცო, რანაირად მოახერხა დიმამ ამ ფილმის გადაღებაო („არასერიოზული კაცი")?! ვუთხარი: ჩვეულებრივი ფილმია-მეთქი — მას კი მოეწონა... მახსენდება, პირველად რომ გავიცანი ახლოს. ბაკურიანში ვიყავით, ფესტივალი ტარდებოდა. ირაკლი ნანეიშვილმა გამაცნო. სუფრასთან მოვიწვიეთ, გვითხრა: „ვერ დავლევ — ჩემს ბიჭს შევპირდი, თხილამურებით გასეირნებმეთქი". ლევანიც იქ იყო, მაშინ 10-12 წლისა იქნებოდა. ეხვეწა ირაკლი: სხვა დროს ასეირნეო. არ დაიშალა. ისე მოხდა, რომ სწორედ იმ დღეს მოიტეხა ლევანმა ფეხი... ეჰ, გურამ ასათიანთან ერთად სუფრასთან ყოფნა უბრალო რამე არ იყო. ხან გოეთეზე საუბრობდა, ხან — ვაჟაზე...

აქ ნათქვამი მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც გურამ ასათიანზე უამრავ ადამიანს შეუძლია გაიხსენოს. რეზიუმეს ვერ დავურთავ — ამდენად ვერ გავკადნიერდები. თუ მკითხველში იმის სურვილი აღვძარით, რომ მეტი შეიტყოს გურამ ასათიანის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე, მის მრავალმხრივ შემოქმედებას გაეცნობა და სრულ პორტრეტსაც მაშინ დაინახავს.

■

ჯეონეთი GEONET
სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ინტერნეტ სერვისი
- მომსახურება ინტერნეტ ბარათებით - 10/20 ლარი
- ინტერნეტი კარიერის და დეპოზიტის გარეშე - 8 00 50 50; 771 772
- გამოყოფილი ხაზები (Leased Lines)

ვებ ჰოსტინგი

სერვერების განთავსება

სისტემური ინტეგრაცია

სერთიფიცირებული სატელეფონო ბავშვური ოპერატორის სამეულებით
- აკრიფეთ: 47 21 25

მომსახურება სატელეფონო ბარათებით - 10/20 ღირ
- აშშ, კანადა, რუსეთი - 0.43 ლარი

ღესი უფრინველს ქ. 3
47 21 25 ☎ 92 21 25
www.geonet.ge

გოგონებს ლამის საბავშვო ბაღის ასაკიდანვე უნერგავენ, რომ ისინი აუცილებლად ადრეულ ასაკში უნდა გათხოვდნენ. ზღაპრები, როგორც წესი, საქორწინო ზეიმით მთავრდება, მაღაზიის ვიტრინებში საოცნებო სადეიდოფლო ტანსაცმელია გამოფენილი, ქუჩაშიც ხშირად ჩაიქროლებენ ხოლმე შთამბეჭდავი საქორწინო კორტეჟები... ყველაფერმა ამან კი, შესაძლოა, ბავშვს ქორწინებისადმი არასწორი, ზედაპირული, ქარაფშუტული დამოკიდებულება ჩამოუყალიბოს. პატარა გოგონა სულ მალე, ქალიშვილობის ასაკს აღწევს და ახლობელ-ნათესავებიც აქტიურდებიან: ზოგი რჩევას სჯერდება, ზოგი კი, უშუალო კანდიდატსაც ურიგებს. საბოლოო ჯამში კი, ამ აქტიური „დამუშავების“ წყალობით, შესაძლოა, გოგონამ მოუფიქრებელი, ნაჩქარევი ნაბიჯი გადადგას და მსუბუქი გრძნობის გაჩენისთანავე, ცოლად გაჰყვეს პირველივე შემხვედრს. ასეთ სტიქიურ ქორწინებას კი, იშვიათად, რომ ბედნიერი მომავალი ჰქონდეს.

დედოფალი და კონკია, ანუ ზღაპარი პირიქით

ოცნება ახდა: ქალი გათხოვდა. მაგრამ სად არის დაპირებული ბედნიერება?

ნაჩქარევ გადაწყვეტილებას იმედგაცრუება ახლავს თან

„ჩემ ირგვლივ ყველა გათხოვდა,“ — ფიქრობს გოგონა და თანატოლების ხვედრიც ეხარბება. ასეთი განწყობის ფონზე კი, იგი სულ იოლად დგამს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს და ვინც პირველი შესთავაზებს ხელსა და გულს, მიჰყვება მას. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ასეთ დაუფიქრებელ ქორწინებას იმედგაცრუება და ზოგ შემთხვევაში, დეპრესიაც მოჰყვეს. მტკიცე ხასიათის ქალებს იმის უნარი შესწევთ, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყონ. სუსტი და უსუსური ქალები კი, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გარშემო მყოფთა აზრს, ქმარზე გულის აცრუების მიუხედავად, მაინც განაგრძობენ მასთან თანაცხოვრებას.

თუ ოჯახურ თანაცხოვრებას არ მოაქვს სიხარული, მშვენიერ დედოფალ-პატარძალზე მხოლოდ მოგონებები რჩება. ქალს არა აქვს სტიმული, მოუაროს თავს და ქმარს მოაწონოს თავი. სექსისადმი ინტერესიც ეკარგება და აღარც საკუთარი ბუდის კეთილმოწყობაზე ფიქრობს. როგორც წესი, ქალი ასეთ დროს სუქდება (მას ხომ ერთი სიამოვნება — გემრიელად ჭამაღა დარჩა!). ოჯახის წევრებთან ჩხუბი და კამათი ცხოვრების ნორმად იქცევა. ყველაფერი კი, შესაძლოა სულ სხვაგვარად ყოფილიყო, საპატარძლოს გათხოვება ასე რომ არ ეჩქარა.

რატომ თხოვდება ქალი?

თუ გათხოვება აკვიატებულ იდეად გადაგექცათ, ყოველი შემთხვევისათვის, იმაზე მაინც დაფიქრდით, თუ რას ელით კონკრეტულად მისგან? არცთუ ისე იშვიათად, ქალები ქორწინების მეშვეობით, რაღაც გარკვეული პრობლემების გადაწყვეტას ცდილობენ, ოღონდაც, ხშირ შემთხვევაში, ისინი პარტნიორებს არასწორად ირჩევენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით თვალში საცემია ადრეული ქორწინებები. ახალგაზრდები ცდილობენ, თავი დააღწიონ მშობლების მეურვეობას, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ არც მორალურად და არც მატერიალურად მზად არ არიან, ახალ ოჯახში შექმნილი ყოფითი და მატერიალური პრობლემების ფონზე, ილუზიები იფანტება და უძღები შვილები (გოგონებიც და ბიჭებიც) კვლავ მშობლების ფრთის ქვეშ დაბრუნებაზე იწყებენ ფიქრს. ვინც ქორწინების მეშვეობით საკუთარი მატერიალური პრობლემების გადაწყვეტას ფიქრობს, კარგად უზრუნველყოფილი ქმრის არჩევა, მისთვის საკმარისი არ არის. თქვენი მომავალი მეუღლე უნდა იყოს ვაჭარ-მეცენატის ტიპი, რომელსაც საკუთარი ქველმოქმედებით ტკბობის უნარიც ექნება განვითარებული. ოღონდაც, წინასწარ გაფრთხილებთ, ასეთ ქორწინებაში ქალებს ოჯახში ყოველთვის მეორეხარისხოვანი როლი ელით. მან კი, ვისაც თავის გვერდით ძლიერი მამაკაცის ხილვა სურს, არჩევანი დიდი სიფრთხილით უნდა გააკეთოს, რადგან ხშირ შემთხვევაში, მამაკაცის სიტყვა და საქმე ძალზედ განსხვავდება ერთმანეთისაგან. გაფრთხილდით, თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსი არ შეგრჩეთ ხელში. იმ შემთხვევაში, კი, როცა ქალი თავადაა დაჯილდოებული ლიდერის თვისებებით და ოჯახშიც გემის კაპიტნობა სურს, პარტნიორად მან აუცილებლად რბილი და დამთმობი ხასიათის ყმაწვილი უნდა აირჩიოს. ასეა თუ ისე, როცა გათხოვებას დააპირებთ, დაფიქრდით იმაზე, რომ ქორწილი ბედნიერი დასასრული კი არა, მთელი ცხოვრების დასაწყისია. ნაჩქარევი, არასწორად გაკეთებული არჩევანის შემთხვევაში კი, წინ დიდი უსიამოვნება გელით.

ქორწილი ერთი დღე გრძელდება, რომლის შემდეგაც გამოპრანჭული დედოფალი შესაძლოა, კონკიად იქცეს. ამიტომ სერიოზულად მიუდექით საკითხს და გააცნობიერეთ, რომ ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ზეიმი არ არის. მისი უმეტესი ნაწილი ჩვეულებრივი, სადაგი დღეებისაგან შედგება. მზად ხართ კი თქვენ შრომითი გმირობისათვის, თქვენი ახლობლების საკეთილდღეოდ? ■

ღვინის დაწურვის ნარჩენი	ღობე	... ფული, ... სული	ბავშვის კბილი	ჩვილის წარმოქმნილი სიგყვა	შეწევით დაწყებული ახალი სტრიქონი	ლითონი	რა იშლება გაზაფხულ
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
წყლის ორომ	„ჯერ მწარე ... კვლავ ტკბილი“	მიმართვა ინგლისელისადმი	ამერიკელების მეტსახელი	სხვადასხვა ჭია	ქრისტიანული რიტუალური მცენარე	მრგვალი შენობა, სადაც გაჩდიან კლოუნები	უსარგებლო შრომა ანუ წყლის...

ოჰ, ყველაფერი ხომ ჩემი ბრალია!

ხშირად ქალები უმიზეზოდ საკუთარ თავს იდანაშაულებენ ყველაფერში

ფსიქოლოგების აზრით, ნევროზი, რომელიც საკუთარი ბრალეულობის შეგრძნებითაა გამოხატული, თანამედროვე ქალების ნამდვილ უბედურებად იქცა. ბუნებრივია, დამნაშავის კომპლექსი ყველა ქალს არ აწუხებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს ბევრად უფრო განვითარებული აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა (მშობლების, შვილების, ქმრის, ახლობლების, მეგობრების და თანამშრომლების წინაშე), ვიდრე მამაკაცებს. უმნიშვნელო ცოდვა მათ მიუტევებელი ცოდვის ხარისხში აჰყავთ. მსგავს თვითგვემას პიროვნებისათვის ძალზედ არაკონსტრუქციული შედეგები მოაქვს და ძალზედ ურთულებს მას ცხოვრებას. ბრალეულობის შეგრძნების მიღმა, დაფარულია საკუთარი პიროვნებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ზოგ შემთხვევაში, აგრესია საკუთარი თავის მიმართ. ეს კი, საკმაოდ სახიფათოა!

ისინი მშობლები არიან, თქვენ – შვილები და არა პირიქით

არავინ დაობს იმაზე, რომ მშობლებს (განსაკუთრებით ხანში შესულებს) პატივისცემით უნდა მოეპყრათ და მათ ცხოვრება შეუმსუბუქოთ. მაგრამ ხშირად, ქალები ზედმეტად მეურვეობენ მშობლებს, ალარც ოჯახის შექმნაზე ფიქრობენ და არც კარიერაზე. იმას კი ვერ ხედებიან, რომ ჰიპერმეურვეობას მოხუცებისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. დამეთანხმებით, არავის სიამოვნებს, თვით ძალზედ ხანში შესულ ასაკშიც კი, საკუთარი უძლურებისა და უფუნქციობის გამჟღავნება. უმჯობესია, ჭარბი მზრუნველობის ვნებები დაიცხროთ და უპირველეს ყოვლისა, გაარკვიოთ ის, თუ რეალურად რა სახის დახმარება სჭირდებათ თქვენს მშობლებს.

სულაც არ არის აუცილებელი სამსახურიდან შინ (ან თუ ცალკე ცხოვრობთ, მშობლების სახლში) თავ-პირის მტვრევით დაბრუნება, რათა დახედოთ მათ. ზოგჯერ შეგიძლიათ ტელეფონით შეეხმიანოთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ მომთხოვნი მშობლები გყავთ, გახსოვდეთ: მათ ხომ იმიტომ გაგაჩინეს, რომ საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით გეცხოვრათ?

რას ელის ქმარი თქვენგან?

ზოგიერთი ქალი განსაკუთრებულად მტკივნეულად განიცდის იმას, რომ არ შეუძლია იყოს იდეალური მეუღლე. მათ სურთ, ერთდროულად იყვნენ არაჩვეულებრივი საყვარლები, მზრუნველი ძიძები, ერთგული მეგობრები და ფსიქოთერაპევტები. ამ ტიპის ქალებს ვურჩევდით, დაინტერესებულიყვნენ იმით, თუ სინამდვილეში რა სურთ მათ ქმრებს, ანუ როგორია მათი აზრი კარგი ცოლის თაობაზე. ჩამოათვლევინონ ქმარს მისი იდეალის სამი ძირითადი თვისება მაინც. იქნებ, თქვენ ეს სამივე თვისება გაქვთ? ხოლო თუ საკუთარი თავით ქმრის დაინტერესების აუცილებლობას იგრძნობთ, მიხედეთ თავს. კარიერა, ინტერესების სფერო, საკუთარი წრე – ყოველივე ეს თქვენს ინდივიდუალობას წარმოაჩენს და მეუღლის თვალშიც უფრო საინტერესო პიროვნებად წარმოჩინდებით.

ბავშვს უნდა ჰქონდეს შეცდომის უფლება

როცა დამნაშავის კომპლექსს, სამაგალითო დედობისაკენ ლტოლვის სურვილიც ემატება, ქალი წარმოუდგენლად მძიმე ტვირთს იღებს საკუთარ თავზე – იგი პასუხისმგებლობას კისრულობს შვილების ნებისმიერ საქციელზე. ბუნებრივია, ამას ყველაზე უკეთ შვილები გრძნობენ და ისინი ხშირად დედის გრძნობების პროვოცირებას ახდენენ. გამუდმებით დამნაშავის კომპლექსით შეპყრობილი დედით მანიპულირება ხომ არც ისე რთულია; როცა დედა საკუთარი შვილის ყოველი შეცდომისათვის პასუხისმგებლობას თავად იღებს, ამით იგი დათვურ სამსახურს უწევს ბავშვს, რადგან მას დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას ართმევს. აღზრდის ასეთმა მეთოდმა შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგამდე მიგიყვანოთ და ხელში უნებისყოფო, ეგოისტი შვილი შეგრჩეთ.

მეგობრები და თანამშრომლებიც გაგიგებენ

ასეთი ქალები მეგობრების წინაშეც ხშირად თავს დამნაშავედ გრძნობენ. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, შინ დაბრუნებულებს, როცა მეგობრები ტელეფონზე უსაგნო ლაქლაქს გაუბამენ, იმისიც კი ერიდებათ, რომ საკუთარი დაღლილობის შესახებ უთხრან მათ. როცა ფულს სესხად სთხოვენ, სასტიკად რცხვენიათ უარის თქმა, მიუხედავად იმისა, რომ ფული არა აქვთ. არც სხვისი შვილის დატოვებაზე ამბობენ უარს და ამის გამო, შესაძლოა, საკუთარი საქმეც კი გადადონ. როცა ეს აუცილებელია, ნუ მოგერიდებათ უარის თქმა. ნამდვილი მეგობრები აუცილებლად გაგიგებენ. ხოლო ის, ვინც ვერ გაგიგებთ, იცოდეთ, თქვენი მეგობრობის ღირსი არ არის. ბრალეულობის კომპლექსი არც თქვენს სამსახურებრივ კარიერაზე აისახება .დადებითად. თქვენი გაუთავებელი ბოდიშებით და ყველას ცოდვის, საკუთარ თავზე აღებით, ვერც უფროსის თანაგრძნობას და მადლობას დაიმსახურებთ. ფილოსოფოსმა ვიქტორ ფრანკმა ბრძანა: „ადამიანს აქვს უფლება, იყოს დამნაშავე!“ გაითვალისწინეთ, მას აქვს ამის „უფლება“ და არა – ვალდებულება! ■

ნიავი	ხორცისა და ბოსტნეულის კერძი	იტალიის ფულის ერთეული	ცხვრისხორციანი ბრინჯის შეჭამანდი	თეთრი ნიშანი ხარის შუბლზე	ბადეში

ყოლგან-მაქანა	თევზის ჯიში	ზღაპრული ცხენი	გამის ნოგი	სტალონეს მეუღლე ჯენიფერ	შავი ფერის მგალობელი ფრინველი	ბრიუს ...	ის ურჩევნია მამულსა, რომ ... სჯობდეს მამასა

მორენა მერკვილაძე

ხარების დღესასწაული თევზით ხსნილია

მართლმადიდებლური ეკლესია ყოველწლიურად თორმეტ საუფლო დღესასწაულს ზეიმობს, რომელთაგან ერთ-ერთი ხარების დღესასწაულია, რომელიც ძველი სტილით 25 მარტს, ხოლო ახალი სტილით 7 აპრილს აღინიშნება... ხარების დღესასწაულის არსსა და მნიშვნელობაზე გვესაუბრება წმინდა დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი რაზმაძე.

— როგორც ცნობილია, ხარებით, რომელიც წმინდა მარიამმა მთავარანგელოზ გაბრიელისგან მიიღო, წმინდა ქალწულს ეხარა, რომ ის გახდებოდა მშობელი ღვთისა: „აი დაორსულდები და გაგიჩნდება ძე და მას სახელად იესოს დაარქმევ“ (ლუკა 1,31). ხარების დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა განუზომელია, რადგან ხარებით კაცობრიობა, ფაქტობრივად, მომზადდა იმისთვის, რომ ქრისტე ქმნილიყო, ანუ შობილიყო ღმერთი, რომელსაც ადამიანთა მარადიული სიკვდილისგან გამოხსნა უნდა ეტვირთა.

— ხარებისას, მთავარანგელოზი წმინდა მარიამს აუწყებს, რომ ის არის „მიმადლებული“ და „კურთხეული დედათა შორის“, როგორ უნდა გავიგოთ ეს უწყება?

— საღმრთო გადმოცემის მიხედვით, ხარებისას ღვთისმშობელი ესაიას წინასწარმეტყველების იმ ადგილს კითხულობდა, სადაც საუბარია ქალწულზე, რომელიც შობს ძეს და სახელად ემანუელს უწოდებს: „აჰა, ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე და უწოდონ სახელი მისი ემანუელ“ (ესაია 7,14). („ემანუელ“ ნიშნავს — ჩვენთან არს ღმერთი). როდესაც მარიამმა ესაიას წინასწარმეტყველება წაიკითხა, ღმერთს შესთხოვა, რომ იმ ქალწულის უკანასკნელ მოახლედ დაედგინა. სწორედ ამ დროს გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი და აუწყა: „გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკა 1,28). მთავარანგელოზის ამ უწყებით, წმინდა მარიამს ეუწყა, რომ ის იყო ქალწული, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველებას განახორციელებდა, ანუ შობდა მაცხოვარს. ამის გამო იყო წმინდა მარიამი კურთხეული დედათა შორის. მთავარანგელოზის უწყებით ღვთისმშობელი არის ასევე მიმადლებული. ე.ი. ის, ვისზეც მოწყალებაა ღვთისა. მაგრამ ყოველივე ეს, წმინდა ქალწულისთვის ცხადი ხდება მაშინ, როდესაც მთავარანგელოზის სიტყვებით შემკრთალ ქალწულს, რომელიც ფიქრობს — თუ რას უნდა ნიშნავდეს ასეთი მოკითხვა, მთავარანგელოზი კვლავ აუწყებს: „ნუ გეშინია მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღვთისა და აჰა ესერა შენ მუცლადიღო და ჰშვე ძე და უწოდო სახელი მისი იესო. ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს...“ (ლუკა 1,30-31).

— ე.ი. ხარება უკვე მოხდა, მაგრამ „ახალი აღთქმის“ მიხედვით, ღვთისმშობელი ხარებაზე თანხმობას, მხოლოდ იმის შემდეგ განუცხადებს, როდესაც ქალწულობის აღთქმის ქვეშ მყოფ წმინდა ქალწულს მთავარანგელოზი გაბრიელი აუწყებს, რომ მის წიაღში წმინდა ნაყოფის ჩასახვა სულიწმიდის მიდგომით მოხდება. შეეძლო თუ არა ღვთისმშობელს, რომ არ მიეღო ხარება, ანუ ის, რაზეც მთავარანგელოზი გაბრიელი ეზრახებოდა?

— რადგან ღვთისმშობელი გახდა რჩეული ჭურჭელი ღვთისა და მასზე იყო ღვთის ნებულობა, ის წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ღმერთის ნებას. მაგრამ რაკი წმინდა მარიამს ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული, მთავარანგელოზის უწყებით გაკვირვებულია და ბუნებრივ კითხვას აძლევს: „ვითარ მე იყოს ეს ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვიცი“ (ლუკა 1,34). ამ კითხვით მარიამი არა ურწმუნოების გამო, არამედ გონივრულად იძიებს, თუ როგორ აღესრულება ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი ეს საიდუმლო, — უმამაკაცოდ შობა, რომელიც კაცობრიობამ არ იცოდა. ხოლო როდესაც მთავარანგელოზმა განუმარტა — თუ რა გზით მოხდებოდა ჩასახვა, ღვთისმშობელმა თავისი ნება ღვთის ნებას დაუმორჩილა. ის პასუხობს: „აჰა მხევალი უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“ (ლუკა, 1,38). ამ სიტყვების შემდეგ მთავარანგელოზი გაბრიელი განეშორა მას, ხოლო ქალწულ მარიამზე სულიწმიდა გადმოვიდა და მის წიაღში ჩაისახა წმინდა ნაყოფი. აქედან გამომდინარე, ხარება არა მარტო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი ხარების, არამედ უფალ იესო ქრისტეს ხორცშესხმის, მისი განკაცების დღესასწაულიცაა.

— რატომ აღინიშნება ხარების დღესასწაული 7 აპრილს?

— რაკი ხარების დროს, იესო ქრისტეს ხორციელად ჩასახვაც მოხდა, ხარების სადღესასწაულო აღნიშვნა შობიდან უკან, ცხრა თვის გადათვლითაა დადგენილი.

— როგორ აღნიშნავს მართლმადიდებლური ეკლესია ხარების დღესასწაულს და როგორ უნდა მიეგებოს მორწმუნე მას?

— მორწმუნე ადამიანი უპირველესად უნდა ჩასწვდეს ამ დღესასწაულის არსს და მნიშვნელობას. ამასთანავე, უნდა დაესწროს ღვთისმსახურებას, რომელიც ხარების დღესასწაულზე ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში საგანგებოდ აღესრულება და რომლის დროსაც წმინდა ეკლესია უდიდეს მოვლენას განადიდებს. მორწმუნე ადამიანმა საეკლესიო დღესასწაულის დღეს თავი უნდა შეიკავოს აუცილებელი, გადაუდებელი საქმეების გაკეთებისგან და ეს დღე მთლიანად უნდა მიუძღვნას უფალს, რაც სასულიერო ლიტერატურის კითხვით, ლოცვით, მოწყალების გაცემით და ავადმყოფების მონახულებით უნდა გამოხატოს. მორწმუნეს არც ხარების დღესასწაულის მცირე სამარხვო სუფრით აღნიშნა ეკრძალება, მაგრამ სადღესასწაულო სუფრა არ უნდა გადაიზარდოს ღრეობაში.

— რატომ არის ხარების დღესასწაული თევზით ხსნილი და აუცილებელია თუ არა ხარების დღესასწაულის დღეს თევზის ხმევა?

— როდესაც დიდი საუფლო დღესასწაული დიდი მარხვის დროს ემთხვევა, ყოველთვის ხსნილდება თევზით, რადგან ადამიანმა არა მარტო სულიერი, არამედ

ფიზიკური სიხარულიც შეიგრძნოს. აქედან გამომდინარე, ხარების დღესასწაულზე თევზის ხმევას არანაირი რელიგიური დატვირთვა არა აქვს. ამიტომ ამ დღეს თევზის მიღება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

— ყველა საუფლო დღესასწაულს, მათ შორის ხარების დღესასწაულსაც აქვს „ტროპარი“ და „კონდაკი“, რომელიც დღესასწაულის დღეს იკითხება. აუცილებელია თუ არა, მორწმუნემ წაიკითხოს სადღესასწაულო „ტროპარი“ და „კონდაკი“ და შეიძლება თუ არა მათი შინ წაკითხვა?

— „სადღესასწაულო ტროპარი“ წარმოადგენს მცირე საგალობელს, რომელიც განადიდებს აღნიშნულ დღესასწაულს. რაც შეეხება „კონდაკს“ — იგი არის მცირე ზომის საგალობელი, რომელიც გადმოსცემს დღესასწაულის არსს. სასურველია, რომ ადამიანმა საეკლესიო დღესასწაულის დღეს წაიკითხოს შესაბამისი „ტროპარი“ და „კონდაკი“, რომლის წაკითხვაც შინ, დღის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. ■

მორენა მერკვილაძე

რატომ უნდა ვიცხოთ დიდმარხვის დროს ნაკურთხი ზეთი?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ზეთის კურთხევის საიდუმლოსთან დაკავშირებით. ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე გვიპასუხებს, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ქვლივიძე.

— რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ზეთის ცხებამ ადამიანზე მაკურნებლად იმოქმედოს?

— როდესაც იესო ქრისტეს განკურნებას სთხოვდნენ, მაცხოვარი პირველად ეკითხებოდა — სწამდა თუ არა მისი. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში კი, ადამიანს ყოველგვარი სნეულებისგან კურნავდა. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ნაკურთხი ზეთის ცხებამ მაკურნებლად იმოქმედოს, სიწმინდეს უპირველესად რწმენით უნდა მივეახლოთ, ანუ გვქონდეს რწმენა, რომ უფალი აუცილებლად შეგვეწევა.

— არიან ადამიანები, რომლებიც მეტ-ნაკლებად იცავენ საეკლესიო წესებს, მაგრამ არ ჰყავთ სულიერი მოძღვარი. შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ადამიანმა ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსასრულებლად, მიმართოს ნებისმიერ საასულიერო პირს?

— როდესაც ადამიანს არ ჰყავს სულიერი მოძღვარი და შეიტყობს, რომ რომელიმე ტაძარში აღესრულება ზეთის კურთხევის საიდუმლო, წინასწარ უნდა მივიდეს იმ ტაძრის მოძღვართან და თავისი სულიერი მდგომარეობა გააცნოს. მისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოძღვარი გადაწყვეტს, სცხოს თუ არა ნაკურთხი ზეთი. მაგრამ მორწმუნე ადამიანს აუცილებლად უნდა ჰყავდეს სულიერი მოძღვარი, რომელიც სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვაში დაეხმარება.

— შეიძლება თუ არა ნაკურთხი ზეთის ცხება სულიერად დაავადებულთათვის?

— სულიერად დაავადებული ადამიანისთვის, ნაკურთხი ზეთის ცხება, არათუ შესაძლებელი, აუცილებელიცაა, რადგან სულიერად დაავადებულები, ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

— სცხებენ თუ არა ნაკურთხ ზეთს, მომაკვდავ ადამიანს?

— მომაკვდავი ადამიანისთვის ნაკურთხი ზეთის ცხება არათუ შესაძლებელი, აუცილებელიცაა, რადგან ზეთის კურთხევის საიდუმლოს საშუალებით ადამიანი ამა სოფლიდან გასვლის დროსაც განსაკუთრებულ, მადლისმიერ შემწეობას მოიპოვებს,რაც მის სულს ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს დაეხმარება.

— რა ასაკიდან შეიძლება ბავშვისთვის ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულება?

— თუ ბავშვი ჯანმრთელია, მას ზეთის კურთხევის საიდუმლოში მონაწილეობა არ უნდა მივაღებინოთ იმ ასაკამდე, სანამ არ დაიწყებს აღსარების ჩაბარებას. მაგრამ თუ განსაკუთრებული შემთხვევაა, ე.ი. ბავშვი ძალიან დასნეულებულია, შეიძლება ნაკურთხი ზეთი ჩვილ ბავშვსაც ვცხოთ. ბუნებრივია, ბავშვი მონათლული უნდა იყოს მართლმადიდებლური წესით.

— შეიძლება თუ არა ნებისმიერ დროს ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულება? თუ არსებობს დღეები, როდესაც ეს საიდუმლო არ აღესრულება?

— დიდმარხვის დროს, ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში საგანგებოდ აღესრულება ზეთის კურთხევის საიდუმლო, რომელშიც სრულიად ჯანმრთელი ადამიანებიც ღებულობენ მონაწილეობას.

— რა დანიშნულება აქვს დიდმარხვის დროს ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულებას?

— როგორც ვიცით, ნაკურთხი ზეთის ცხების დროს, ხდება დავიწყებული და გაუცნობიერებელი ცოდვების მიტევება, რასაც ნებისმიერი ადამიანი საჭიროებს. გარდა ამისა, სულიერი და ხორციელი უძლურება, მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს აწუხებს, ამიტომ სრულიად ჯანმრთელად თავს ვერავინ ჩათვლის. აქედან გამომდინარე, დიდმარხვის დროს ზეთის კურთხევის საიდუმლოში მონაწილეობით, ადამიანს სულიერი და ფიზიკური უძლურებისგან განკურნების საშუალებაც ეძლევა. ამასთანავე, დიდმარხვის დროს, ადამიანი განსაკუთრებულად ზრუნავს სულიერებაზე, ნაკურთხი ზეთის ცხება კი, სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვის განმტკიცებაში ეხმარება. საბოლოოდ კი, ადამიანი სრულყოფილად განწმენდილი ხვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ■

*„გზის“ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ სალონ D.K.-ში „D.J. ბუკლეს“ მორიგი სტუმარი კრივში მსოფლიო ჩემპიონი — **გიორგი კანდელაკი** იყო, რომელსაც გულშემატკივრებად მეგობარი და შვილი — პატარა თარაშიკო მოჰყვნენ. დარბაზში იმდენმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომ სკამების ჩამატებამაც ვერ უშველა და ბევრს ფეხზე მოუწია დგომა. ყველას გვეგონა, რომ გიორგი კანდელაკთან შესახვედრად უმეტესად ვაჟები მოვიდოდნენ, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, დარბაზში გოგონები ჭარბობდნენ და მათზე მეტადაც აქტიურობდნენ. მკითხველთა ფართო წრის დაინტერესების გამო, გადავწყვიტეთ ცნობილ ადამიანთა ეს შეხვედრები უფრო ვრცლად გავაშუქოთ და კერპისა და მისი თაყვანისმცემლების დიალოგის ყველაზე საინტერესო მომენტების ჩანაწერი შემოგთავაზოთ.*

რინგზე დაღვრილი ცრემლები, «შეთხზული» ჰიმნი და მომავალი შერკინება სანდერსთან

ნათია ქივიძე

— გიორგი, რა განწყობა გეუფლებათ, როდესაც გულშემატკივრებს ხვდებით ხოლმე?

— მათთან შეხვედრა ყოველთვის მიხარია. მით უმეტეს, როცა მომავალ თაობას ვხვდები. ბედნიერი ვარ, რომ რაც დრო გადის, უფრო კარგი თაობა მოდის.

— ცნობილი ფაქტია, რომ მუჰამედ ალის, ბავშვობაში ველოსიპედი წაართვეს, რის გამოც მან კრივზე სიარული გადაწყვიტა. რამ განაპირობა თქვენი მოკრივეობა?

— ბავშვობაში ზაფხულობით ვიკრიბებოდით და ბიჭები ერთმანეთს ვეჩხუბებოდით ხოლმე. მამაჩემს ოცნებად ჰქონდა, რომ მოკრივე გამოვსულიყავი და მიმიყვანა კრივზე. შემატყო, რომ ძალიან ზარმაცი ვიყავი, ამიტომ ერთი კვირის შემდეგ, პირველი „კონტრაქტი“ დამიდო: თუ მთელი კვირის განმავლობაში კარგად ვივარჯიშებდი, კვირის ბოლოს, სათევზაოდ ან სანადიროდ წამიყვანდა. ეს ჩემი საყვარელი საქმიანობაა და ამის ხათრით ვვარჯიშობდი 12-13 წლამდე. მერე, რა თქმა უნდა, დავინტერესდი და სხვა თვალით შევხედე ამ პროფესიას.

— როგორი ბავშვობა გქონდათ?

— ყველაზე დიდი პრობლემა სახლიდან ჩემი გასვლა იყო. არ მიშვებდნენ ხოლმე. დედაჩემი მაგიდასთან რომ დამსვამდა სამეცადინოდ, ოთახიდან გავიდოდა თუ არა, მდინარეზე გავრბოდი. როგორც არ უნდა დავესაჯე მშობლებს, სახლიდან მაინც ვიპარებოდი.

— როდის მოიპოვეთ პირველი გამარჯვება?

— პირველი გამარჯვება მოვიპოვე ჭიათურაში. 34 კგ წონით კატეგორიაში ვიჩხუბე, 9 წლის ვიყავი. თურმე რინგზე გასვლისას ტირილი დამიწყია და ორთაბრძოლის ბოლომდე ვტიროდი. რა მატირებდა, ვერ გეტყვით.

— დღეში რამდენ საათს უთმობთ ვარჯიშს?

— დილით — ერთი საათს, საღამოს — ორ-სამ საათს. არავინ თქვას, რომ ფიზიკურ ვარჯიშს დღეში 7-8 საათს უთმობს. მთელი დატვირთვით ამდენ ხანს ვარჯიშს ვერც ერთი ადამიანის ორგანიზმი ვერ გაუძლებს.

— გოგოს გამო თუ გიჩხუბიათ?

— რა თქმა უნდა! თუმცა, როცა ამ ასაკში ვიყავი, უკვე კრივზე დავდიოდი და ჩემთან ჩხუბს ყველა ერიდებოდა...

— კარგია თუ ცუდი — ყველაფერი პირველი, დასამახსოვრებელია. თუ გახსოვთ, პირველად რომ გცემეს?

— ბავშვობაში ჩემზე 7-8 წლით უფროსი მეზობელი გავაბრაზე, რომელმაც მცემა და შინისკენ გასწია. გამოვეკიდე და ქვა ვესროლე. მომიბრუნდა, ისევ მცემა და გზა განაგრძო. ისევ გამოვეკიდე და თოვლის გუნდა ვესროლე. კვლავ მცემა. ასე გამეორდა რამდენჯერმე. მოკლედ, ვიდრე სახლამდე მივიდოდა, რვაჯერ მცემა. ავდექი და სახლის ფანჯრები ჩავუმტვრიე. მისი ბებია გამოვიდა და გამომაგდო.

— გაფინანსებთ თუ არა საქართველო?

— უცხოელებთან მაქვს ხელშეკრულება. საქართველოს ბიუჯეტთან არავითარი კავშირი არა მაქვს; არ მეხმარებიან. საზღვარგარეთ წასვლაზეც მაქვს მიღებული შემოთავაზებები, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა, როდესაც ქართველი მიყურებს და ჩემ გამო ტირის...

— რაიმე ჩვევა ხომ არა გაქვთ რინგზე გასვლის წინ?

— ახლა ვკითხულობდი გაზეთ „იდუმალების სამყაროს“, სადაც წერია: გიორგი კანდელაკი რინგზე გასვლის წინ რაღაც რიტუალს ასრულებსო. მართლაც ასეა. თუმცა, ყველაფერს ქრისტიანული წესით ვასრულებ. თანაც, სპორტსმენს ყველაფერთან ერთად თუ ბედიც არ წყალობს, ვერაფერს მიაღწევს...

— თანამედროვე კრივში ვინ იქნება თქვენთვის უხერხული მეტოქე და რა თვალსაზრისით?

— უხერხული მეტოქე იქნება გრიშკო, რადგან ჩემზე მაღალია. მაღლებთან ბრძო-

ლა ცოტა უფრო რთულია.

— ახლა გამოჩნდა პერსპექტივა, რომ შეხვდეთ კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს სანდერსს. რამდენად დიდი შანსი გაქვთ, რომ ამ ბრძოლას მოიგებთ?

— რამდენიმე წუთის წინ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ისე დამაბნია... ინტერნეტში ინფორმაცია ვნახე, რომ უდანაშაულო კაცის ცემისთვის გედავებიან, შენი მენეჯერიც თანახმაა, რომ ეს ბრძოლა ჩაიშალოს და მსოფლიო ჩემპიონობაც ჩამოგერთვასო... გული გამისკდა — კაცი, მეორე ქამარზე ვფიქრობ და თურმე პირველსაც მართმევენ-მეთქი. საპირველაპრილო ტყუილი ჩაუწერია *(იცინის)*... სანდერსთან ბრძოლის საკითხი ჯერჯერობით, მოლაპარაკების სტადიაშია. იმედი მაქვს, რომ ეს ბრძოლა შედგება, რადგან ეს ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება მეორე ქამრის ასაღებად. ამერიკაში იმისთვის ნამდვილად არ წავალ, რომ ვიღაცამ მცემოს... მჯერა, რომ გავიმარჯვებ.

— მოგვიყევით, კანადაში ხალხს საქართველოს „ჰიმნი“ რომ მოასმენინეთ...

— საქართველოს ნაკრების პირველი გასვლა იყო კანადაში. მე და ჩემი მწვრთნელი ვიყავით წასულები. რა თქმა უნდა, ფინალამდე მივედი. ფინალის წინა დღეს დამიბარეს და მითხრეს: სასწრაფოდ თქვენი ქვეყნის დროშა და ჰიმნი მოიტანეთო. არც ერთი არ მქონდა. ავდექი და დროშა დავუხატე. მალევე შეკერეს. ჰიმნი კი არ მქონდა. თუ საქართველოს ჰიმნს არ მივიტანდი, რუსეთისას გაუშვებდნენ. იმავე საღამოს, იქ მცხოვრებმა ქართველმა მოჭიდავემ ოჯახში დაგვპატიჟა. მაგნიტოფონი ჩართო და „შალახოს“ ხმა გაისმა. წამოვიღე ის კასეტა და ორგანიზატორებს ვუთხარი, ჰიმნია-მეთქი. ჩემი გამოსვლისას ჩართეს „შალახო“. ქართველი გულშემატკივრები გაოცებულები იყურებოდნენ...

როგორც კი ამინდი გამოვა, ვერის პარკში ავაშენებთ სკოლას

— ვინ არის თქვენი კერპი?

— მუჰამედ ალი.

— კრივის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიყვართ?

— ძალიან მიყვარს ჭიდაობა.

— ვისთან ისურვებდით ბრძოლას?

— თითქმის ყველა გამოჩენილ მოკრივესთან მიჩხუბია, რუისის გარდა, რომელიც ჩემი მეგობარია და მასთან ბრძოლა არ მინდა. მას ჩემს პროფესიონალურ კარიერაში დიდი წვლილი მიუძღვის — სამი წელიწადი მაფინანსებდა.

— რისი გეშინიათ?

— მეშინია ახლობლების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების: არ მინდა, რომელიმე მათგანი ავად გახდეს.

— რა არის თქვენი სუსტი წერტილი?

— არ შემიძლია საზღვარგარეთ დიდხანს გაჩერება, რადგან დიდი ნოსტალგია მაქვს ხოლმე.

— რაიმეზე თუ გწყდებათ გული?

— რა თქმა უნდა. თუ ასე არ არის და საკუთარი თავით კმაყოფილი ხარ, ვერაფერს მიაღწევ. ყოველ გაცდენილ ვარჯიშზე მწყდება გული. რასაც მივაღწიე, ძალიან კარგია, მაგრამ მეტი შემიძლია.

— თუ მოვა დრო, როცა იტყვით, რომ კრივში საკუთარი თავი ამოწურეთ?

— აუცილებლად მოვა ეს დრო. ყველა სპორტსმენი უნდა მიხვდეს, რომ აღარ შეუძლია და ვიდრე წააგებს, იქამდე უნდა დაანებოს სპორტს თავი. თუმცა, როცა კრივს თავს დავანებებ, მაინც სპორტის გარემოში ვიტრიალებ.

— მსოფლიო ჩემპიონობამ თუ შეგცვალათ შინაგანად?

— ღმერთმა დამიფაროს, რომ შევეცვალე! უბრალოდ, უფრო მომთხოვნი გავხდი საკუთარი თავის მიმართ.

— ვარიანში სპორტკლუბი გქონიათ გახსნილი...

— 18 წლის ვიყავი, როცა კრივის დარბაზი გავხსენი ვარიანის კულტურის სახლში. ვიფიქრე, რამდენიმე ბავშვს მაინც დავასაქმებდი. სულ ორი „მეშოკი“ დავკიდეთ, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, პირველ დღესვე 80 ბავშვი მოვიდა. ამის გამო გავხსენით კრივის სკოლა და „ჩემპიონი“ დავარქვით. მე დროის უქონლობის გამო იქ ყოველდღე ვერ მივდივარ, მაგრამ ზედამხედველობას ვუწევ.

— თბილისში ხომ არ აპირებთ მსგავსი სკოლის გახსნას?

— როგორც კი ამინდი გამოვა, ვერის პარკში ავაშენებთ სკოლას.

— ქართველი ხალხი სტუმართმოყვარეა. როგორ გხვდებიან ხოლმე საზღვარგარეთ?

— 1999 წელს, ჩემი მენეჯერი მელოუნი ორი თვე იყო ჩემთან სტუმრად. ხან სად წავიყვანე, ხან — სად. წასვლისას ტიროდა: არ მინდა ლონდონში, თქვენთან მაცხოვრეთო... თვითმფრინავში რომ ადიოდა მითხრა: რასაც თქვენ ჭამაში ხარჯავთ, მაგდენი რომ საკუთარ თავს მოახმაროთ, თქვენზე მდიდარი ერი არ იქნებოდაო...

— გსურთ თუ არა, რომ თარაშიკოც თქვენს გზას გაჰყვეს?

— თარაშიკო ჩემი ოცნებაა. მინდა, რომ ჩემი შვილი მოკრივე გამოვიდეს. ამის მიმართულებას აუცილებლად მივცემ. დამარტყამს ხოლმე და მეკითხება: მამიკო, ხომ მაქვს „წიწაკა ხელიო?..“

P.S. შეხვედრის ბოლოს, გიორგი კანდელაკმა თაყვანისმცემლებს შეკითხვა დაუსვა: როდის გავხდი პირველად საქართველოს ჩემპიონიო? მის კითხვას სწორად ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ლექსო ბექაურმა უპასუხა, რომელსაც მოკრივემ საჩუქრად საკუთარი ხელთათმანები გადასცა. ■

წასვლისას ტიროდა: არ მინდა ლონდონში, თქვენთან მაცხოვრეთო...

გიორგი კანდელაკი პარლამენტში რინგის მოწყობას აპირებს

ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში შევიტყვეთ, რომ გიორგი კანდელაკი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და ამ ცნობის პირველწყაროსთან გადამოწმება გადავწყვიტეთ.

მსოფლიო ჩემპიონმა თავის მშობლიურ რაიონში — გორში, მაჟორიტარულ არჩევნებში რომ იყაროს კენჭი, იცოცხლეთ, მანდატი გარანტირებული ექნებოდა, მაგრამ მოკრივე ამაზე უარს ამბობს და გორის მაჟორიტარი დეპუტატის მაძიებლობას თავის სიმამრს — ვახტანგ ყანჩაველს უთმობს, თავად კი, ერთ-ერთი პარტიის სიით ჩაებმება საარჩევნო მარათონში. შეგახსენებთ — ვახტანგ ყანჩაველი ამჟამინდელი პარლამენტის წევრია, როგორც გორელი მაჟორიტარი დეპუტატი.

ჯაბა ლეონიძე

— გიორგი, პირველი კითხვის მოფიქრებას დიდი დრო არ სჭირდება — რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა?

— მიმაჩნია, რომ ამქვეყნად ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს — პარლამენტშიც და მის გარეთაც, ის საქმე, რომელიც იცი და გეხერხება. მე პარლამენტში რომ მოვხვდები, ჩემი საქმიანობის ძირითადი სფერო სპორტი იქნება. მთელი ცხოვრება სპორტში ვარ, ვიცი, რა სჭირდება ქართულ სპორტს, რა უშლის ხელს მის განვითარებას, რა უნდა გაკეთდეს მისი აღორძინებისთვის. რაც საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გავხდი, უფრო თვალნათლივ დავინახე ქართული სპორტის პრობლემები. ცხადია, ბევრი რამ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია. პოლიტიკას კი საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრავს.

— რამდენი ხანია, რაც დეპუტატობა გადაწყვიტეთ?

— დაახლოებით 6 თვე იქნება, თუმცა, კარგა ხანია, ამაზე ვფიქრობდი. სიმართლე გითხრათ, საკმაო ხანს ვყოყმანობდი — იოლი გადასაწყვეტი არ არის ასეთ საპასუხისმგებლო საქმესთან შეჭიდება.

— რომელი პარტიის სიით იყრით კენჭს?

— ჯერ ვერ დავაკონკრეტებ. ალბათ, 1-2 თვეში ამასაც გაგიმხელთ.

— ის მაინც მითხარით, ოპოზიციურია თუ სახელისუფლებო ეს პარტია?

— ამ ეტაპზე ვერც მაგას გეტყვით, ცოტა ხანს მოცდა მოგიწევთ. თუმცა, შემოთავაზებები მქონდა, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიებისგან.

— ცხადია, ის პარტია სიის პირველ ათეულში გიჭირდებათ ადგილს...

— ათეულში ვიქნები თუ ოცეულში, ჯერ არ ვიცი. თუმცა, თუ პარტია 7-პროცენტიან ბარიერს გადალახავს, პარლამენტში მოხვედრა გარანტირებული მექნება. ე.წ. „გამსვლელ“ სიაში ნამდვილად ვიქნები.

— სპორტს და დეპუტატობას, როგორ შეუთავსებთ ერთმანეთს?

— მინდა, ახლავე ხაზგასმით და ჩემი ქომაგების გასაგონად ვთქვა, რომ მერე ათასი ჭორი არ დაირხეს: კრივიდან არ მივდივარ, ჩემი სპორტული მიზნების განხორციელებას ძველებური შემართებით ვეცდები, ყველაფერს ვიღონებ, რომ კრივის მსოფლიო კავშირის ჩემპიონის ტიტულს სხვა საკრივო ორგანიზაციათა ჩემპიონის ტიტულიც შევმატო. როგორმე მოვახერხებ დეპუტატობისა და სპორტის შეთავსებას.

— დეპუტატობას ჩვენში უამრავი პირადი სიკეთე მოაქვს — იმუნიტეტი, პოპულარობა, ბიზნესსა და სხვა საქმიანობაში თითქმის ხელშეუხებლობის გარანტიები... ამ და სხვა პრივილეგიებმა ხომ არ მოგხიბლათ?

— მე არც იმუნიტეტი მჭირდება, არც სხვა შეღავათები და არც „კრიშად“ მინდა დეპუტატობა. ჩემი პატიოსნება, ავტორიტეტი და ხალხის მართლაც უზომო სიყვარული ჩემთვის ყველაფერია და უფრო მეტიც. პოპულარობა კი, მით უმეტეს, არ მაკლია. ამას წინათ, ერთ-ერთ კლინიკაში ტრავმირებული თვალის სამკურნალოდ ვიყავი მისული. მიცნო იქ მომსახურე პერსონალმა, უზომოდ გაუხარდათ ჩემი ნახვა. დედისტოლა ქალები მეფერებოდნენ, მლოცავდნენ და თან თვალები მადლიერებისა და სიყვარულის ცრემლებით ჰქონდათ სავსე — შვილო, შენ გაიხარე, როგორც შენ გვახარებ, შენი გამარჯვებებითო! აი, იმ წუთებს, იმ სითბოს ჩემი ხალხისას, ვერანაირი იმუნიტეტი და კარგი ცხოვრება ვერ შემიცვლის. პარლამენტშიც ამ პრინციპზე დაყრდნობით ვიმოქმედებ — რაც შეიძლება მეტი კარგი საქმე გავაკეთო ჩემი ხალხისთვის... საქართველოში სპორტი ჩამკვდარია. სპორტი უნდა აღორძინდეს, ხალხს გამარჯვების რწმენა და ეროვნული თავმოყვარეობა უნდა დავუბრუნოთ, ეს კი სპორტმა უნდა გააკეთოს უპირველესად. არ შეიძლება დღენიადაგ, პრესითა და ტელევიზიით იმის ქადაგება, რომ ჩვენ, ქართველები ყველაზე სუსტები და უსუსურები ვართ მსოფლიოში, ყველგან და ყველაფერში დამარცხებისთვის ვართ განწირულები. არ არის ასე, ბატონო! მაგალითი გნებავთ? ინებეთ! მე, გიორგი კანდელაკი, ჯიშითა და მთელი არსებით ქართველი, მსოფლიო ჩემპიონი ვარ — ჩემს საქმეში პირველი, საუკეთესო ვარ მსოფლიოში და ვიდრე ამას მივაღწევდი, ვაჯობე ფრანგს, ინგლისელს, ამერიკელს, ირლანდიელს, რუსსა და სხვა, გამარჯვებულის ფსიქოლოგიით აღზრდილ უცხოელებს. ცხადია, ხვდებით, რომ ამას სატრაბახოდ და საკუთარი დამსახურებების ხაზგასასმელად არ ვამბობ. საბედნიეროდ, მარტო არა ვარ, სხვა დიდი ჩემპიონებიც გვყავს, რომლებიც ტოლს არ უდებენ ჩვენზე დიდი და ძლიერი ქვეყნების შვილებს. ეი. შეგვძლებია სხვისი ძლევა და კვლავაც უნდა შევძლოთ — აი, ამის ქადაგებაა საჭირო, ეს ხალხს გამარჯვების რწმენას მოუტანს. ვისაც გამარჯვებისა სწამს, ის უფრო მებრძოლი, მიზანდასახულია და მიზანს მიაღწევს!

— დღევანდელ პარლამენტში ბევრი ჩხუბი და აყალმაყალი ხდება, ხშირია ხელჩართული ბრძოლაც. ახალ პარლამენტში ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მაინც იქნებით, ვისზეც მუშტით თქვენი ოპონენტები ვერ გაიწევენ...

— ეგეც ჩემი ხეირი და იმუნიტეტი, არა?! ხომ ხედავთ, მე კი არ ვთხოულობ შეღავათებს, პირიქით — სპორტით მოპოვებული „იმუნიტეტით“ შევდივარ პარლამენტში. ჩხუბს რაც შეეხება, პარლამენტში ასეთი რაღაცები არ უნდა ხდებოდეს. მით უმეტეს, ხალხისა და ქვეყნის დასანახავად. ხალხის რჩეულს მეტი სიდარბაისლე და თავშეკავება მართებს. ბუნებით უკონფლიქტო ადამიანი ვარ, არაერთი დაპირისპირებული ძალა შემირიგებია ცხოვრებაში და ვეცდები, პარლამენტშიც ივივე გავაკეთო. ვინც დამიჯერებს, ხომ კარგი, ვინც არა — ისე მოვიქცევი, რომ ხალხის დასანახავად მაინც არ იქნიონ მუშტები: პარლამენტში პატარა რინგს მოვუწყობ, ჩავაცმევ კრივის ხელთათმანებს მოშუღარ დეპუტატებს და იჩხუბონ მერე, რამდენიც უნდათ. მე მსაჯი ვიქნები და წესების დაცვით მაინც ჩავატარებთ ამ ბრძოლებს... ვნახოთ, მერე — იქნებ, ერთი-ორი ახალგაზრდა დეპუტატიც ამოვარჩიო და ჩემს კრივის სკოლაში გავგზავნო დასაოსტატებლად.

■

ნათია ფსუტური

წამებული გვირგვინოსანი დემეტრე თავდადებული

1259 წელი... თბილისში, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის სასახლეში, დიდი ზეიმი იყო. დავით მეშვიდესა და რაჭის ერისთავის ასულს, გვანცა დედოფალს ძე შეეძინათ. ახალშობილს დემეტრე დაარქვეს. „იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წუერით მწყაზარ და მშუენიერ, თუალითა გრემან, ბეჭ-ბრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვ, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე...“ (ჟამთააღმწერელი).

საქართველო მონღოლთა ბატონობის მესამე ათეულს ითვლიდა. გაპარტახებული მამული, დაცარიელებული სოფლები, დანგრეული ქალაქები, დაქცეული ეკლესიები, მონღოლთა ბეგარა-ვალდებულებისაგან წელში გაწყვეტილი მოსახლეობა — აი, სურათი იმჟამინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა.

მაინცდამაინც ბედნიერი ვერც თავად დემეტრე ბატონიშვილი აღმოჩნდა. ის სამი წლისა იყო, როდესაც გვანცა დედოფალი ურდოში გამოასალმეს სიცოცხლეს. 8 თუ 9 წლის შემდეგ კი, მამაც — დავით VII (მონღოლთაგან ულუდ წოდებული) გარდაიცვალა.

მონღოლთა წესის შესაბამისად, დემეტრე ბატონიშვილი ურდოში წაიყვანეს, მბრძანებელმა მცირეწლოვან გვირგვინოსანს მზრუნველად (მეურვედ) სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. მონღოლთა კარნახით დემეტრე მეფემ ურდოშივე უბოძა მას ათაბაგობა. აბაღა ყაენმა „საქართველოს ლაშქართა საქმე და განგებაც“ სადუნს მიანდო.

ამგვარად, ათაბაგ მხარგრძელის ყოფილი ყმა, არამცთუ თავად გაათაბაგდა, არამედ მცირეწლოვანი მეფის მეურვედ და ამირსპასალარად იქცა. ესოდენ განდიდებულ მანკაბერდელს სამეფოს მართვა-გამგეობის სადავეებიც ჩაუვარდა ხელში, რამაც იგი აღმოსავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონად აქცია, რადგან ახალგაზრდა მეფე მთლიანად მისი გავლენის ქვეშ მოექცა...

მოსახლეობას კვლავ მონღოლთა მიერ დადგენილი ბეგარა-ვალდებულებანი ტანჯავდა. უთუოდ მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული, სომხური და სპარსული ისტორიული წყაროების მიხედვით, XIII ს-ის 50-იანი წლებიდან — ე.ი. დავით ულუს მეფობის დროს, საქართველოს ვილაიეთში მოქმედებდა მონღოლთა მიერ დაწესებული 14-ზე მეტი სახეობის გადასახადი. მაგრამ ქართველი ხალხისათვის ყველაზე მძიმე მაინც სამხედრო ვალდებულება იყო. მონღოლებს წესად ჰქონდათ, დაპყრობილი ქვეყნებიდან ჯანმრთელ მამაკაცთა 20%-ის ილხან ყაენთა მიერ წარმოებულ ომებში გამოყენება. ბუნებრივია, ამ ომებმა უამრავი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა, ეს კი შესაბამისად, უარყოფით გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკასა და თავდაცვითუნარიანობაზე.

დღითი დღე მძიმდებოდა პოლიტიკური ვითარება. მეფის უფლებები საკუთარ ფეოდალებთან ბრძოლაში სულ უფრო იზღუდებოდა. ადგილობრივ მთავრებს უზენაეს სიუზერენად მონღოლთა ყაენი მოევლინათ. ხშირ შემთხვევაში, დამპყრობლები ქართველი მეფის გვერდის ავლით ამყარებდნენ ურთიერთობას წარჩინებულებთან. ასეთ ვითარებაში, მეფეს ყაენის შიშით ურჩი ქვეშევრდომების დასჯის შესაძლებლობაც არ ჰქონდა.

ყოველივე ზემოთ თქმულს თან დაერთო ძლიერი სტიქიური უბედურება — კატასტროფული მიწისძვრა, რომლის შედეგად, ჟამთააღმწერლის ცნობით, „მცხეთის საყდარიცა დაიქცა“ და მრავალი ადამიანი დაიღუპა.

მონღოლთა მფარველობით ზურგგამაგრებული მანკაბერდელი, პირადი ქონების გასამრავლებლად, მარჯვედ იყენებდა მაღალ სამოხელეო თანამდებობებს. დემეტრე მეფის ათაბაგ-ამირსპასალარი სადუნი გამდიდრებისათვის არაფერს ერიდებოდა. მისთვის მლიქვნელობა, ცბიერება და ღალატი მიზნის მიღწევის ჩვეულ საშუალებად ქცეულიყო.

1278 წელს მან მეფეს თელავი, ბელაქანი (ამჟამად რაიონი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) და ბევრი სხვა ადგილი გამოსტყუა. და როცა დემეტრე მეორეს, იმავე წელს ილხანების ურდოში წასვლა მოუხდა და ყაენმა მას „ურიცხვი საფასე“ მოსთხოვა და მეფემ კი ეგზომ დიდი საფასურის გაღება ვერ შეძლო, მანკაბერდელმა ფულის გადახდა თავად იკისრა და სამაგიეროდ, ქალაქი დმანისი და მისი მიმდგომი სანახებიც მოსთხოვა. დემეტრე II იძულებული იყო შეესრულებინა ვერაგი სადუნის მოთხოვნა.

თავგასული ათაბაგ-ამირსპასალარის სიხარბეს ბოლო არ უჩანდა. აღმოსავლეთ საქართველოსათვის ამ უმძიმეს ჟამს სადუნმა ქალაქი კარი (დღევანდელი ყარსი თურქეთში) ამოიღო მიზანში და ძალზედ მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის ხელში ჩაგდებაც მოახერხა.

დემეტრე მეფემ მხოლოდ ისღა შეძლო, რომ მანკაბერდელის გარდაცვალების (1281 წ.) შემდეგ, მისი შვილისთვის — ხუტლუბუღასათვის აღარ დაუმტკიცებია ათაბაგობა. ეს თანამდებობა მეფემ მანკაბერდელის მოწინააღმდეგე, ტარსაიჭ ორბელს უბოძა, სადუნის შვილს კი, მხოლოდ ამირსპასალარობა დაუტოვა. თუმცა ეს ნაბიჯი ბოლოს, ძვირად დაუჯდა გვირგვინოსანს...

დემეტრე მეფის დაუღალავი მცდელობის მიუხედავად, მან ვერ შეძლო სამეფოს მართვა-გამგეობის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. სამართლიანად წერს აკადემიკოსი ივანე

დავით VII ულუ

ჯავახიშვილი: „დემეტრე მეორეს, საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, შემთხვევა ჰქონდა, უფრო თავისი სამხედრო სიქველე და მამაცობა გამოეჩინა, ვიდრე სახელმწიფოებრივს მოღვაწეობაში, სამოქალაქო ასპარეზზე თავისი გამჭრიახობა გამოემჟღავნებინა. მონღოლთა მომხრეობით გათამამებული დიდებულებისა და გადიდკაცებული მედროვე მოხელეების გარემოში აღმ. საქართველოს მეფეს გაბედული შინაური პოლიტიკის წარმოების საშუალება სრულებით მოსპობილი ჰქონდა“.

როგორც მონღოლთა ყმადნაფიცი სამეფოს მეთაური, ქართველთა მეფე იძულებული იყო, თავის ჯართან ერთად მონაწილეობა მიეღო დამპყრობელთა მიერ წარმოებულ ომებში. ილხანების ლაშქრობები კვლავინდებურად ხშირ და ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა. იმ პერიოდში, მონღოლთა საგარეო ომები უმეტესად, მათი მარცხით მთავრდებოდა. ასე იყო მაგალითად, 1277 და 1280 წლებში ილხანთა ურდოს მიერ ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებების დროს. მიუხედავად არაერთგზის დამარცხებისა, მონღოლები თავისას არ იშლიდნენ და 1281 წელს მათ კვლავ გააჩაღეს ომი ეგვიპტესთან.

აღსანიშნავია, რომ მაშინ დემეტრე მეორემ პირადად პირველად მიიღო მონაწილეობა ეგვიპტესთან ბრძოლაში. ყაენსა და სულთანს შორის გადამწყვეტი საომარი შეტაკება ქ. ამასიასთან გაიმართა. ამ ბრძოლაში მონღოლები სასტიკად დამარცხდნენ. ომში მონაწილე 5000 ქართველ მეომართაგან უმრავლესი, ბრძოლის ველზე დაეცა. თავად დემეტრე მეფე კი, ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობას უფრო მეტად ართულებდა საილხანოში ამტყდარი შინაომები. ამ ამბებში ქართველი მეფე უნებურად აღმოჩნდა გარეული. მონღოლთა ბატონობის ხასიათიდან გამომდინარე, მათი ყმადნაფიცი სამეფოს მეთაურს ევალებოდა, საკუთარი სპით მიეღო მონაწილეობა ყაენის ან ტახტის რომელიმე პრეტენდენტის ბრძოლაში.

1284 წელს გარდაიცვალა აბაღა ყაენი. ტახტი მისმა ძმამ – აჰმადმა დაიკავა, მაგრამ მისი ზეობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. აჰმად ყაენს აჯანყება მოუწყეს ნოინებმა და ტახტზე აბაღას შვილი – არღუნი დასვეს. აჰმადსა და არღუნს შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

აჰმად ყაენმა საშველად დემეტრე მეფეს უხმო. დემეტრე II სამხედრო ძალისა და წარჩინებულთა თანხლებით გაემგზავრა. ყაზმინთან გამართულ ბრძოლაში თათარ-ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა არღუნი დაამარცხა. ტახტი კვლავ აჰმადს დარჩა. დემეტრე მეფე სამშობლოში დაბრუნდა.

აჰმად ყაენის გამარჯვება კვლავ ხანმოკლე აღმოჩნდა. ნოინებმა ისევ შეთქმულება მოუწყვეს. ისინი დემეტრე მეორეს დაუკავშირდნენ და შეუთვალეს, რომ აჰმადს აღარ დახმარებოდა. ქართველმა მეფემ ეს მოთხოვნა შეასრულა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აჰმადი 1284 წელს ნოინებმა საბლით მოაშთეს.

თავდაპირველად, არღუნის გაყაენებამ დემეტრე მეფის მდგომარეობა წინანდელთან შედარებით გააუმჯობესა. ახალი ყაენის უპირველესი მრჩეველი და გავლენიანი ხელისუფალი ბუღა, ქართველი მეფის ახლობელი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი იყო.

დემეტრე მეორისადმი კეთილგანწყობილმა არღუნ ყაენმა მას დაუმტკიცა „ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა“.

მალე ილხანთა სახელმწიფოში პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მონღოლთა საყაენოში კვლავ აჯანყების სამზადისს შეუდგნენ. არღუნ ყაენის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება დროზე ადრე გამომჟღავნდა. მისი მოწყობის მეთაურობა ყაენის პირველ ვაზირს – ბუღას დაჰბრალდა. 1289 წლის 12 იანვარს, ის სიკვდილით დასაჯეს. იგივე ბედი ეწიათ ბუღას შვილს, მის ნათესავებს და მომხრეებს.

მონღოლთა წესის თანახმად, დემეტრე მეფისათვის სასჯელის დასადებად ბუღასთან მისი მეგობრობაც საკმარისი იყო, მაგრამ ქართველ მეფეს აჯანყებაში მონაწილეობაც დასწამეს.

ამგვარად, ქართველი მეფისა და მისი სამშობლოს ბედი მონღოლებმა ერთდროულად შეაგდეს სასწორზე: რომელი გადასწონიდა, საქართველოში ჯერ არავინ უწყოდა. უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილმა დემეტრე მეორემ სახელმწიფო დარბაზი მოიწვა. მეფემ შეკრებილ წარჩინებულთ შექმნილი ვითარება აუწყა და რჩევა სთხოვა, როგორ უნდა მოქ-

ცეულიყო – ყაენს ნებაყოფლობით ხლებოდა თუ მიუვალი მთებისთვის შეეფარებინა თავი? ხელმწიფეს მთიულეთში გადასვლა ურჩიეს.

ქართველმა ისტორიკოსმა შემოგვინახა დემეტრე მეორის მიერ ამ უდიდესი განსაცდელის წინ ნათქვამი სიტყვა. მან შეკრებილთ მოახსენა: „თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი – აჰა, ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს! – იხილეთ რამდენი სული ქრისტიანი სიკვდილსა მიეცემის და ტყუე იქნების“.

მეფემ კარგად იცოდა, რომ გამძვინვარებული ყაენი, პირადად დემეტრეს თუ ვეღარაფერს დააკლებდა, მის ხალხზე იძიებდა შურს. რაინდ გვირგვინოსანს მხოლოდ ერთი იმედიღა ასულდგმულებდა – თუ ის მონღოლთა სამსჯავროს არ დაემალებოდა, იქნებ, საქმე ამით დამთავრებულიყო: „უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს“.

მეფის სიტყვებმა წარჩინებულთ გული დაუმძიმა. ქართველ ვაჟკაცთ ტირილი არ სჩვეოდათ, მაგრამ იმჟამად, ცრემლის შეკავება ძალზედ ძნელი იყო. ის ხალხიც კი, ვინც ჩვეულებრივ, მეფე დემეტრეს სამცოლიანობისა და ეკლესიებისათვის შეწირული მიწების უკან გამოწირვის გამო ჰკიცხავდა, ახლა სევდანარევი სიამაყით უმზერდა მას...

დემეტრე II შესაფერისი ამალის თანხლებით ურდოს გაემგზავრა. ქართველი მეფე უკვე ქალაქს უახლოვდებოდა, როდესაც გზაზე ყაენის წარმოგზავნილი ნოინი შეხვდა და დაატყვევა.

მონღოლური სამართლის ნორმების თანახმად, დემეტრე მეფეს მოსთხოვეს, რომ თავადვე „აღწეროს ყოველი სამდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი“. ყაენს ეს ცნობები ქართველი გვირგვინოსნისათვის მთელი ქონების ჩამოსართმევად სჭირდებოდა. ამ ცნობების მიღების შემდეგ, არღუნ ყაენმა საქართველოში უმალ წარგზავნა ხალხი. მონღოლებმა „დემეტრე მეფის მთელი ქონება წაიღეს, ქართველი გვირგვინოსანი კი საპყრობილეში იმყოფებოდა“.

ჟამთააღმწერლის გადმოცემით, მონღოლებმა „არგნითა სცემეს მეფეს“. ამ ფაქტმა მეფის ამალის წევრთ გვირგვინოსნის გადარჩენის იმედი ჩაუსახა. ასე „ეგონა ყოველთა არღარა მოკვლა მეფისა, რამეთუ წესად აქვნდა, რა არგნითა სციან, არღარა მოაკვდინიან“.

იმედი იმედად დარჩა. ქართველი მეფის ამქვეყნიური ცხოვრების დრო უკანასკნელ წუთებს ითვლიდა.

ქართველი ისტორიკოსის ცნობით, დემეტრე მეორის საქმის ასე საბედისწეროდ წარმართვაში, გადამწყვეტი როლი ორმა პიროვნებამ – თავის დროზე, დავით მეფის მიერ მოკლული ხოჯა აზაზის შვილმა და სადუნ მანკაბერდელის ძემ, ათაბაგობაწართმეულმა ხუტლუბუღამ შეასრულეს...

ჟამთააღმწერლის მონათხრობის თანახმად, არღუნ ყაენს ქართველი გვირგვინოსნის მოკვლა ვერ გადაეწყვიტა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში გასამეფებლად მონღოლთათვის სასურველი კანდიდატურა არ ეგულებოდა. სადუნის გულბოროტმა ნაშიერმა მონღოლთა მბრძანებელს მოახსენა: „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისა, სახელით ვახტანგ და მას უბოძე მეფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს“. ვერაგმა მედროვემ ხელის ერთი დაკვრით, საბედისწერო მიმართულება მისცა მეფე დემეტრეს საქმეს.

1289 წლის 12 მარტს, მოვაკანში, დემეტრე მეორეს თავი მოჰკვეთეს. ქართველი გმირი გვირგვინოსნის ორად განკვეთილი სხეული ცის ქვეშ ეყარა. გვამს თათართა გუშაგები სდარაჯობდნენ, რათა ვერავის გაებედა ქრისტიანული წესით მისი დაკრძალვა.

დემეტრე მეფის ნეშტის სამშობლოში ჩამოტანაზე ქართველებმა იზრუნეს. აბრაჰამ კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა მონღოლთა გუშაგები მოისყიდეს. მეფის ნეშტი შუაღამისას, ფარულად გადაასვენეს.

„განგებითა ზეგარდმოთა“, დილით კათალიკოსი და მისი მღვდელი თბილისელ მეთევზეებს შეხვდნენ. ამ „თევზთა თანა იტვირთეს“ მეფის ნეშტი და მცხეთას ჩამოასვენეს.

ქართველმა ერმა გულმხურვალედ დაიტირა სათაყვანებელი მეფე. მისი ნეშტი კი, მცხეთაში „დამარხეს სამარხოსა მათთასა“. მადლიერმა შთამომავლობამ დემეტრე მეორეს თავდადებული უწოდა და მისი სახელი უკვდავების შარავანდედით შემოსა; მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი, წმინდანად აღიარა და 25 მარტს, სრულიად საქართველო თავდადებული მეფის ხსენების დღეს აღნიშნავს.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელმა შტატმა ითამაშა გადამწყვეტი როლი აშშ-ის პრეზიდენტად ჯორჯ ბუშის არჩევისას?

ა) ფლორიდის;
ბ) ტეხასის;
გ) ნიუ-იორკის.

2. ვის ეკუთვნის ჰამლეტ გონაშვილის სიმღერის ტექსტი: „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი, იაო...“?.

ა) იოსებ ნონეშვილს;
ბ) ნათელა ონაშვილს;
გ) ხალხურია.

3. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მისი ტანსაცმელი ეგრაელებმა გაიყვეს. სადაურ ეგრაელებს ერგოთ ქრისტეს კვართი?

ა) მცხეთელ;
ბ) იერუსალიმელ;
გ) ნაზარეველ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დაგვიანებული ჩეისი მისუოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13

დეა ავალიანი მკვლელობისთვის გასამართლებული ძმის — თემურის სანახავად კოლონიას ესტუმრება. მათი დიალოგიდან ირკვევა, რომ მძიმედ დაავადებული დედა ჰყავთ. დეა ძმას აუწყებს, რომ გაჭირვებული მდგომარეობიდან ოჯახის გამოსაყვანად, კერძო სახლში მცხოვრებმა დედა-შვილმა გადაწყვიტა, მეორე სართული ახალგაზრდა ქალზე — ვინმე ლონდაზე დააგირაოს. პაემნის დროს, თემური დას კანონიერ ქურდს — გიგოლას გააცნობს.

იმავე საღამოს, დეას, თავისი დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე რესტორანში ლონდა დაპატიჟებს. იქ ქალიშვილი ახალგაზრდა კაცს — გურამს გაიცნობს. წვეულების დროს, ლონდა დეას რესტორნის ერთ-ერთ კუპეში შეიყვანს, სადაც მისი საყვარელი, კაკო რამდენიმე ძმაკაცთან ერთად ქეიფობს. მისდა გასაკვირად, დეა მოქეიფეებს შორის, გიგოლას ნახავს...

— კარგი რა, გიგოლ, შენი არ მიკვირს? — ხმა მლიქვნელურად დაიწვრილა კაკომ. — ქალი თუ ერთი „გაბლატავე“, მერე „აშეინიკის“ ხელახლა შებმა არ გინდა?

— მორჩი-მეთქი! — შეუღრინა გიგოლამ კაკოს და შემდეგ ლონდას და დეას მოუბრუნდა: დაბრძანდით, ქალბატონებო.

გიგოლასა და კაკოს წინ მჯდარი ორი ახმახი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ქალებს ადგილები გაუთავისუფლა.

ლონდა სკამზე სასწრაფოდ დასკუპდა და ფეხი ფეხზე გამომწვევად გადაიდო. დეამ ცოტა კი იყოყმანა და შემდეგ მეორე სკამზე მორიდებით ჩამოჯდა.

გიგოლამ ლონდას ალმაცერად გადახედა და შემდეგ განკარგულება გასცა:

— კაცო, რაღას უდგახარ?! ამისთანა მშვენიერ ქალბატონებს ეს ლოთური სუფრა ეკადრებათ? დაუძახე ოფიციანტს, რამე ხეირიანი მოიტანოს.

კაკო მაშინვე ოფიციანტის მოსაძებნად გავარდა. ახმახები კი კარში, აქეთ-იქით, ისე ჩადგნენ, თითქოს, ჩარჩოს ამაგრებდნენ, არ ჩამოვარდესო. დეამ სუფრას ახლაღა დახედა: მასზე ერთი ბოთლი „აბსოლუტი“, ლიმონი, თხლად დაჭრილი საქონლის ენა, შავი პური და მხოლოდ ორი ჭიქა იდგა.

— თუ არ ვცდები, დღეს თქვენი დაბადების დღეა, ხომ? — ჰკითხა უცბად გიგოლამ ლონდას.

— კი. ოცდაექვსის გავხდი. ისე, ოცზე მეტს არავინ მაძლევს, — უცბად ატკარცალდა ლონდა.

— არც უნდა მოგცენ, — კბილებში უსიამოდ გამოსცრა გიგოლამ. — თქვენი სახელი?

— ჩემი?.. ლონდა. ამას კი დეა ჰქვია, — ლონდამ წითლად შეღებილი წაწვეტებული ფრჩხილი დეას კინაღამ მხარში ატაკა.

სწორედ იმ წუთში კუპეს კარი ხმაურით გაიღო და კაკო ათასნაირი საჭმელ-სასმლით დატვირთული, უზარმაზარი ლანგრით ხელდამშვენებულ ოფიციანტს შემოუძღვა. ოფიციანტმა ლანგარი მაგიდის კიდეზე მორიდებით ჩამოდგა და ყველაფრის სუფრაზე გადმოლაგება დაიწყო.

— რაც კარგი ვნახეთ, სულ აქ შემოვზიდეთ, — მლიქვნელურად შესცინა კაკომ გიგოლას და შემდეგ ისიც ოფიციანტს შეუერთდა.

გიგოლამ კაკოს ერთი კუშტად შეხედა და ისევ ლონდას მიუბრუნდა.

— მშვენიერი მეგობარი გყოლიათ, ქალბატონო ლანდა...

— ლანდა კი არა, ლონდა, — სასწრაფოდ შეუსწორა ლონდამ და თავადაც სკამზე ისე შესწორდა, თითქოს, სურათის გადასაღებად ემზადებაო.

დაფეთებულმა კაკომ ლონდას თვალები დაუბრიალა — ხმა გაიკმინდეო, — მაგრამ ქალმა მისი მუქარა არად ჩააგდო და ის იყო, პირი ისევ რაღაცის სათქმელად დაღო, რომ გიგოლამ დაასწრო:

— მაინც, სად გაიცანით ერთმანეთი?

— ვინ?.. მე და დეამ?.. დეა... უფრო სწორად, მე დეას მდგმური ვარ...

— გასაგებია...

— ... მაგრამ მალე კაკო ამათი სახლის მთელ ზედა სართულს ამიღებს, — შეღებილფრჩხილიანი საჩვენებელი თითი ისევ დეასკენ გააქანა ლონდამ, — დეა და დედამისი კი პირველზე დარჩებიან...

— ასეთი რა გაგიჭირდათ? — ახლა დეას მიუბრუნდა გიგოლა.

ის იყო, დეას პასუხი უნდა გაეცა, რომ ისევ ლონდა აკაკანდა:

— ძმა ჰყავს ციხეში, კაცი შემოაკვდა და ცხრა წელი დაარჭვეს. ელიჩკა დეიდას კიდე — ამათ დედას — ძაან მაგარი წამლები და სასწრაფო მკურნალობა სჭირდება, თორემ, ექიმებმა თქვეს, ერთ თვესაც ვერ გაატანსო... — ამ სიტყვებზე ლონდამ უცბად ენა მოიკვნიტა და დამნაშავესავით გადახედა დეას: — არ გეწყინოს, რა, დეიკო, ბოლოს რომ გყავდათ, იმ ექიმმა ზუსტად ასე მითხრა...

— ვიცი... — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა თავჩაქინდრულმა დეამ და ნიკაპი სატირლად აუკანკალდა.

ამასობაში სუფრა სასმელ-საჭმლით აივსო, ოფიციანტმა ძვირფასი უცხოური შამპანური ოსტატურად გახსნა და ყე-

ლყელა ფეხიანი ჭიქები აავსო.

გიგოლამ მის წინ მდგარი ჭიქა დემონსტრაციულად გასწია გვერდზე:

— დამშვიდდით, დეა, ყველაფერს მოევლება. დედათქვენს საუკეთესო ექიმებს ვაჩვენებთ და იქნებ, თქვენს ძმასაც მოვუხერხოთ რამე... მართლა, რა ჰქვია?

— ვის? — თვალები გაუფართოვდა დეას.

— თქვენს ძმას.

— თ-თემური... — ენა დაება დეას.

— გვარი?

— ავალიანი, — საბოლოოდ გაოგნდა დეა.

— რომელ ციხეში ზის? — დაკითხვას მშვიდად განაგრძობდა გიგოლა.

— თუ არ ვცდები, ამ დილით, მე და თქვენ სწორედ იმ ციხეში ვნახეთ ერთმანეთი... — გიგოლას თავის მოკატუნებამ წონასწორობიდან საბოლოოდ გამოიყვანა დეა.

სწორედ ამ დროს, კაკომ შამპანურის მეორე ბოთლი ისეთი ხმაურით გახსნა, რომ კართან მდგარმა ახმახებმა მაშინვე სუფრისკენ ისკუპეს, ბოთლიდან ამოხეთქილმა სასმელმა კი, ლონდა თითქმის თავიდან ფეხებამდე გაწუწა.

— რას შვრები, კაკო, გადაირიე? — ფეთიანივით წამოხტა ლონდა და შეღებილ სახეზე წურწურით ჩამომავალი შამპანურის მოწმენდა დაიწყო.

დეამ ჯერ რამდენიმე ხელსახოცი ერთად აიღო, შემდეგ ისიც ფეხზე წამოდგა და ლონდას გაწმენდა-გამშრალებას გულმოდგინედ შეუდგა.

— მაინც რა ხისთავიანი ხარ, ბიჭო?! — დატუქსა კაკო გიგოლამ. — რამდენჯერ გითხარი, სხვის საქმეში ნუ ეჩრებიმეთქი!.. ეს ბიჭი რა, ცუდად გვემსახურებოდა? — თვალით გამტკნარებულ ოფიციანტზე ანიშნა.

აშკარად საქციელწამხდარ კაკოს ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ დამნაშავესავით აქეთ-იქით მიმოიხედა და უცბად, სახე გაუნათდა: ოთახის კუთხეში შალითაში ჩასმული გიტარა იყო მიყუდებული. კაკოს ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე გიტარას ეცა, შალითა შემოხსნა და დეას მოურბენინა:

— დეა, გვიმღერე, რა...

— მე-ე? — დაიბნა დეა.

— ჰო, სიცოცხლე, გეხვეწები, „თეთრი ვარდები“... ერთი შენებურად ჩაარაკრაკე, — ლამის ყელი გამოუწია დეას კაკომ.

— რა ვიცი, აბა?! — შემცბარმა დეამ კაკოს გიტარა ჩამოართვა, — სხვის გიტარაზე დაკვრა ძალიან კი მიჭირს, მაგრამ ვცდი...

ამის შემდეგ, დეა სკამზე ჩამოჯდა, გიტარა კალთაში ჩაიდო, ჯერ სათითაოდ, სიმები შეამოწმა, სახეზე აშკარად კმაყოფილება გამოეხატა და შემდეგ დაკვრაც დაიწყო. ამასობაში, კაკომ გაწიწმატებული ლონდა მუჯლუგუნ-მუჯლუგუნით ისევ სკამზე დასვა და ყველა სმენად იქცა.

დეამ სიმღერა დაიწყო. თავიდან ხმა უკანკალებდა, მაგრამ შემდეგ, მღელვარება ნელ-ნელა დაიოკა, ხმას აუწია და სიმღერა ბოლომდე მშვენივრად ჩაამთავრა.

ცოტა ხანს კუპეში სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ გიგოლა სუფრიდან ნელ-ნელა წამოდგა, დეას წინ მოწიწებით დაიხარა და ხელზე ეამბორა:

— ბუნებას ყველა სიკეთით დაუჯილდოებიხართ, დეა.

— გმადლობთ, — ხელი თითქმის ძალით გაითავისუფლა დეამ და ფეხზე წამოდგა: — ახლა კი უნდა წავიდე.

— რა თქმა უნდა. — მაშინვე დაეთანხმა გიგოლაც და შემდეგ კაკოს მიუბრუნდა: — ბიჭო, გააცილე დეა და კიდევ შენი ის... რა ჰქვია?.. ჰო, ლონდა...

კაკო მაშინვე ქალების გვერდით გაჩნდა. დეამ მას გიტარა გაუწოდა:

— კაკო, ეს გიტარა...

— ეგ გიტარა უკვე თქვენია, ჩემო დეა, — სათქმელი გააწყვეტინა გიგოლამ.

— კი, მაგრამ... — ჯერ კაკოს და შემდეგ ოფიციანტს დაბნეულად გადახედა დეამ. — ეს უბრალო გიტარა არ არის, პროფესიონალის ინსტრუმენტია და, ალბათ, პატრონიც პროფესიონალი მუსიკოსი ჰყავს...

— დიახ, ნამდვილად ეგრეა, — მთელი ამ ხნის მანძილზე ხმა პირველად ამოიღო ოფიციანტმა, — ორი თვის წინ, რომელიღაც ანსამბლის მომღერლებმა იქეიფეს აქ და ფული რომ აღარ ეყოთ, ეგ გიტარა დაგვიტოვეს — ორ-სამ დღეში შემოვივლით და გამოვიხსნითო... მაგრამ აღარ გამოჩენილან.

— რომ გამოჩნდნენ? — მიუბრუნდა გიგოლას დეა.

— ამას საქმისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — მშვიდად მიუგო გიგოლამ, — აკი გითხარით, გიტარა უკვე თქვენია.

— მერე მის პატრონს რა ეშველება? — გულუბრყვილოდ იკითხა დეამ.

— ნუ ღელავთ, ჩვენ ვუშველით, — დაამშვიდა დეა გიგოლამ და შემდეგ ოფიციანტს ანიშნა — გიტარა ისევ შალითაში მოათავსეო...

დარბაზში დეა და ლონდა კაკოსა და გიტარაჩახუტებული ოფიციანტის თანხლებით დაბრუნდნენ. ამ უჩვეულო ესკორტის და, განსაკუთრებით, გაწუწული ლონდას დანახვაზე, გურამმა სიცილი ვეღარ შეიკავა:

— სად ხართ ამდენ ხანს? გადამრია სიზმრებმა... ლონდა, ჩემო ძვირფასო, ასე მაგრად სად წვიმდა?

გაცოფებულმა ლონდამ გურამს მომაკვდინებელი მზერა ესროლა და დარბაზიდან გავარდა, დეა კი სკამზე მოწყვეტით დაეშვა და, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. ოფიციანტმა მას მაშინვე გიტარა მიურბენინა და ის იყო, უკვალოდ უნდა გამქრალიყო, რომ დეამ შეაჩერა:

— ძალიან გთხოვთ, წაიღეთ ეს გიტარა და პატრონს შეუნახეთ.

— დამცინით?.. — ფერი ეცვალა ოფიციანტს. — ეგ რომ მართლა გავაკეთო, ხვალ ჩემი „დუხი“ აქ კი არა, ქალაქშიც აღარ იქნება... ისე, არხეინად იყავით. გიტარის პატრონი გიგოლასგან იმდენ ფულს მიიღებს, რომ შეიძლება, ათი ეგეთი გიტარაც კი მოუვიდეს...

დეა მიხვდა, რომ ოფიციანტთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ გიტარა უხმოდ გამოართვა და ლონდას სკამის ფეხს მიაყუდა. გურამი მთელ ამ სცენას უსიტყვოდ აკვირდებოდა. ოფიციანტის წასვლის შემდეგ კი, დეას აგდებულად ჰკითხა:

— ნეტავ, სად ბრძანდებოდი ან ეს უაზრო გიტარა სად იშოვე?

— ჯერ ერთი, სად და რატომ ვბრძანდებოდი, შენი საქმე ნამდვილად არ არის და მეორე: ეს აზრიანი გიტარა... — სიტყვა „აზრიანს“ დეამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი, — ჩემი სიმღერით აღფრთოვანებულმა, კანონიერმა ქურდმა გიგოლამ მაჩუქა. კიდევ რა გაინტერესებს?

— მეტი არაფერი. წამო, აქედან გავასწროთ — ყველაფერს ეგ ჯობია.

— რატომ? ჩვენც გიგოლები ხომ არ ვართ, აქედან ქურდულად რომ გავიპაროთ?

— მისმინე, „შვილო“ — კბილებში გამოსცრა გაღიზიანებულმა გურამმა, — გიგოლასნაირი მამაძაღლები შენნაირ გამოუცდელ გოგონებს ტყუილად არაფერს აჩუქებენ...

— ისე, შეიძლება, გიგოლა არც იყო, იმიტომ, რომ ამ დილით, ციხეში ზუსტად ეგეთივე კაცი ვნახე და იმასაც გიგოლა ერქვა...

— სად ნახე? — თვალები გაუფართოვდა გურამს.

— ციხეში.

— ციხეში რაღა გინდოდა? ინტერვი-

უებს იღებდი?

— არა. ჩემი ძმა ზის. კაცი შემოაკვდა და ცხრა წელი აქვს მისჯილი... მაგრამ მე ისევ იმაზე ვფიქრობ — ეს კაცი, — ციხეში რომ ვნახე, მართლა ის გიგოლა იყო თუ — სხვა. ალბათ, მაინც, სხვა იყო. იმიტომ, რომ ბოლომდე ისე მელაპარაკა, თითქოს, პირველად მხედავდა. თანაც, ციხიდან ასე უცბად ვინ გამოუშვებდა?..

— ე-ეჰ, ჩემო კარგო, ციხეს რკინის კარი ჩვენნაირი გაჭირვებულებისთვის აქვს შებმული, თორემ გიგოლასნაირი ახვრები იქ, როცა უნდათ, მაშინ შევლენ და გამოვლენ, — ბოლმიანად წამოისროლა გურამმა, — წამო, რა, მართლა წავიდეთ აქედან, თორემ ვიცი, შარს გადავეყრები...

— კარგი, წავიდეთ, — როგორც იქნა, დაეთანხმა დეაც, — აქ ყოფნა მეც აღარ მინდა.

ქუჩაში გასვლისთანავე გურამმა მანქანა გააჩერა და მძღოლს რაღაცაზე შეუთანხმდა. შემდეგ გიტარა წინა სკამზე დააბერტყა, თავად კი, დეას გვერდით, უკანა სავარძელზე მოთავსდა და ჰკითხა:

— აბა, მითხარი, სად მიგიყვანო?

დეამ საკუთარი მისამართი დაუსახელა და მძღოლმაც მანქანა მაშინვე მოწყვიტა ადგილიდან.

— შენ რა, ლონდას სახლში ცხოვრობ? — გაუკვირდა გურამს.

— მე კი არა, — ლონდა ცხოვრობს ჩემს სახლში, ჩვენი მდგმურია, — იწყინა დეამ.

— რას მეუბნები? არადა, რამდენი ხანია, თავისთან მეპატიჟება, მაგრამ სათოფეზეც არ გავეკარე. რას ვიფიქრებდი, რომ მის გვერდით შენნაირი ანგელოზი ცხოვრობდა...

— მორჩი რა, შაყირს, — კიდევ უფრო გაღიზიანდა დეა.

— იცი, რომ თითქმის მეზობლები ვართ? — მაინც არ გაჩუმდა გურამი.

— მეზობლები?

— ჰო. მე შენი ქუჩის პარალელურ ქუჩაზე ვცხოვრობ. საინტერესოა, უბანში ერთხელ მაინც როგორ ვერ შეგხვდი?! თუმცა, შენ რომ წამოიჩიტე, მე, ალბათ, უკვე მოსკოვში ვცხოვრობდი...

— მოსკოვში რაღა გინდოდა? — დაინტერესდა დეა.

— ფულს ვაკეთებდი.

— ბევრი გააკეთე?

— საკმაოდ, მაგრამ შემდეგ, გიგოლასნაირმა „მაგარმა ბიჭებმა“ ყველაფერი ერთ ადგილზე ჩამატანინეს და...

— რა ადგილზე? — ვერ გაიგო დეამ.

— ამას შენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — მხარზე ხელი გადახვია გურამმა დეას. — მოდი, რა, აქ ჩამოვიდეთ და ცოტა ფეხით გავიაროთ.

— ფეხით? სადა ვართ, რო?.. — ფანჯარაში გაიხედა დეამ, მაგრამ სიბნელეში ბევრი ვერაფერი გაარჩია.

— სადა ვართ და ჩემს ქუჩაზე, — უპასუხა გურამმა და შემდეგ მძღოლს მიუბრუნდა — ძმურად, გაგვიჩერე, რა.

მძღოლმა მანქანა სასწრაფოდ დაამუხრუჭა.

გურამი მაშინვე მანქანიდან გადახტა, მიირბინა და დეას კარი გამოუღო. დეა ერთი კი შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ მანქანიდან სიტყვის უთქმელად გადავიდა. გურამმა მძღოლი გაისტუმრა გიტარა მხარზე თოხივით გაიდო, დეას კი ხელი გადახვია. დეამ მას ისევ დუმილით ამოხედა.

ცოტა ხანში გურამი ერთი კოხტა ორსართულიანი სახლის წინ შედგა:

— მოვედით.

— სად მოვედით? — ჰკითხა დამფრთხალმა დეამ.

— ჩემს სახლში.

— კი, მაგრამ შენს სახლში მე რა მინდა?

— ბევრი არაფერი. ცოტა ხანს შევიდეთ, ყავა დავლიოთ, დავილაპარაკოთ და მერე სახლში გაგაცილებ. — სადარბაზოსკენ უბიძგა გურამმა დეას, მაგრამ ამჯერად ქალი გაუძალიანდა:

— არა, ვერ შემოვალ, უკვე ძალიან გვიანია...

— წამო, რა, გთხოვ, — მაინც არ მოეშვა გურამი, — ნუ გეშინია, არ შეგჭამ...

— ვინ გითხრა, რომ მეშინია? — იწყინა დეამ და გურამს მხარზე გადახვეული ხელი მოაშორებინა, — კი არ მეშინია, მეჩქარება...

— ვიცი, ვიცი, რატომაც გეჩქარება. — ხელი ისევ მოხვია გურამმა. — შემიძლია, დაგამშვიდო: ქალი რომ მინდოდეს, შენ თავიდანვე შინ მიგიყვანდი, მე კი იმ მანქანას უკან გამოვყვებოდი და... იცი, ამ დროს თბილისის ქუჩებში ქალების როგორი ცვენაა?.. კონას აბაზადაც კი იშოვი...

— რას იშოვი? — ვერ გაუგო დეამ.

— აუ, ეს ვინ არის?! — შუბლზე ხელი იტკიცა გურამმა. — გოგო, შენ ვაკეში ხარ გაზრდილი თუ ობშკვითში?

— ობშკვითი სად არის, საერთოდაც არ ვიცი, — გაწიწმატდა დეა.

— თუ ასეა, მაშინ გეოგრაფიაში „ორიანი“ გეკუთვნის, მაგრამ მოვრჩეთ, რა, სისულელეებს. ხომ გითხარი, არ შეგჭამ-მეთქი! ესე იგი, არ შეგჭამ...

ამის შემდეგ დეას ხმა აღარ ამოუღია. გურამი მას სადარბაზოში შეუძღვა და პირველივე სართულზე ერთ-ერთ კარს გასაღები უცბად მოარგო, ხმაურით შეაღო, შუქი აანთო და დეას თავი მდაბლად დაუკრა:

— Добро пожаловать в мою берлогу, королева!..

დეამ გულის ფანცქალით გადააბიჯა ზღურბლს, შესასვლელიდან პირდაპირ უზარმაზარი ბროლის ჭაღით გაჩახჩახებულ, უძვირფასესი ძველებური ავეჯით გამოჭედილ სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა და ირგვლივ დაბნეულმა მიმოიხედა:

— ეს თუ ბუნაგია და...

— ბუნაგია, ბუნაგი, გაიხადე, — უცბად დეას პალტოს ღილებს დაეძგერა გურამი, მაგრამ დეამ არ დაანება, პალტო თავად გაიხადა და მიაწოდა. გურამმა პალტო იქვე, სავარძელზე გადაფინა, თავად კედელთან მდგარ ფართო ტახტზე დაჯდა, საზურგეზე განცხრომით გადაწვა და, ტახტზე ხელი დაუტყაპუნა:

— მოდი, აქ, ჩემ გვერდით დაჯექი.

დეა უსიტყვოდ მიუახლოვდა და ტახტზე მორჩილად ჩამოჯდა. გურამმა მაშინვე ხელი მოხვია და საზურგეზე თითქმის ძალით მიაწვინა:

— მოგწონს აქაურობა?

— ყოველ შემთხვევაში, ჩემი დასაწუნი ნამდვილად არაფერი სჭირს, — უპასუხა ბავშვივით მხრებაწურულმა დეამ.

— ხვალ საღამოდან ეს ყველაფერი... — ხელი ირგვლივ დემონსტრაციულად მოატარა გურამმა, — ავეჯიან-ბინიანად, სხვისი გახდება.

— როგორ თუ სხვისი?

— გავყიდე, ჩემო კარგო, ყველაფერი გავყიდე. დედაჩემი დარდით, ალბათ, საფლავში ბრუნავს: ეს ყველაფერი მამა-პაპისგან დარჩა და იცი, როგორ უფრთხილდებოდა?..

— კი, მაგრამ, რისთვის გაყიდე? მამა-პაპისეულ სახლზე უკეთესი რა უნდა იყიდო?!

— თავისუფლება!

დეამ გაკვირვებულმა შეხედა.

— ხვალ თვითმფრინავში ჩავჯდები და ტუ-ტუ... — განაგრძო გურამმა. — გიგოლასგან დაფეთებული ოფიციანტისა არ იყოს, ამ ქალაქში ჩემი „დუხიც“ აღარ იქნება.

— სად მიდიხარ?

— გერმანიაში. ერთ ჩემს მოსკოველ ძმაკაცს ბონში თავისი პატარა ფირმა აქვს გახსნილი. წელიწადზე მეტია, მეძახის და როგორც იქნა, გადავწყვიტე. ისე, სიმართლე გითხრა, ახლა ცოტა გული



კი მწყდება...

— დაგწყდება, აბა, რა იქნება? სამშობლოს დატოვებას ეხუმრები?

— მოიცა, რა, დეა, მე ამ წუთში, სამშობლოზე კი არა, შენზე მწყდება გული.

— ჩემზე?.. მე რა შუაში ვარ?

— შუაში კი არა — თავში ხარ... იცი, რომ უკვე შემიყვარდი?

— ისევ დაიწყე, არა?! — გაღიზიანდა დეა. — მაინც რა საშინელი ცინიკოსი ხარ...

— შენ რაც გინდა, იფიქრე და ამ სახლში აღებული ფულის ნახევარზე მეტი უკვე გერმანიაში რომ არ მქონდეს გადარიცხული, ხვალვე ბილეთს დავაბრუნებდი...

ამ სიტყვების შემდეგ, გურამი ფეხზე წამოხტა, კუთხეში მდგარი ჟურნალ-გაზეთების მაგიდა დეას ფეხებთან მოახრიგინა, ბუფეტიდან კონიაკის ბოთლი, ჭიქები და შოკოლადის კანფეტების ყუთი გამოიღო, მაგიდაზე დააწყო, თავად დეას პირდაპირ, სავარძელში ჩაჯდა და კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა:

— მოდი, ჩვენი შეხვედრა-განშორებისა დავლიოთ.

დეამ გურამს კონიაკით სავსე ჭიქა ჩამოართვა და სულ ცოტა მოსვა.

— ეს ჭიქა, ჩემი ხათრით, ბოლომდე დაცალე! — ჭიქის უკან დადგმა აღარ დაანება გურამმა.

დეამ ჭიქაში ლამაზად მოლიცლიცე კონიაკს ერთი კი დახედა, შემდეგ მიიყუდა და ბოლომდე დაცალა.

— ყოჩაღ, გოგონა! — სახეზე აშკარა გაოცება გამოეხატა გურამს. — შენ მგონი, მაგარი მსმელი უნდა იყო, მე კიდევ, მარტო ეს ერთი ბოთლი მაქვს და რაღა მეშველება?!

— დამშვიდდი, მეტს აღარ დაგილევ. უბრალოდ, უცბად, რაღაც ისე უცნაურად მომინდა დალევა, რომ თავი ვეღარ შევიკავე... — თავი იმართლა დეამ.

— სხვა რამეც რომ ასე უცბად და უცნაურად მოგინდეს, თავს მაშინაც ვერ შეიკავებ?.. — ეშმაკურად გაეღიმა გურამს.

— მგონი, ჩემი წასვლის დრო მოვიდა, — სასწრაფოდ სცადა წამოდგომა დეამ.

მაგრამ გურამმა აღარ აცალა, მაგიდა გვერდზე გასწია, თავად დეას ფეხებთან მოირთხა, მუხლებშუა ქალის კოხტა მუხლები მოიმწყვდია, ფართო ხელები წელზე შემოხვია და თავი პირდაპირ კალთაში ჩაუდო. ეტყობა, დეა, ამას არ ელოდა, რადგან რამდენიმე წამი, საერთოდ არ განძრეულა. შემდეგ ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ გურამის მარწუხივით მკლავებს თავი ვეღარაფრით დააღწია და ბავშვივით ასლუკუნდა:

— ძალიან გთხოვ, გამიშვი, რა...

პასუხად გურამმა თავი ასწია და თვალის დახამხამებაში, ტირილით დაბრეცილ ტუჩებზე დააცხრა. ტუჩებიდან თვალებზე, შუბლზე, იქიდან კი — მკერდზეც გადაინაცვლა...

— გურამ, გეხვეწები...

უცბად გურამმა ქალს ხელი მართლაც უშვა და ფეხზე წამოდგა:

— კარგი, პალტო ჩაიცვი და წავიდეთ — სახლამდე მიგაცილებ.

დეა მაშინვე წამოხტა და პალტოს ეცა, მაგრამ გურამმა დაასწრო, პალტო აიღო და ჩასაცმელად მიუმარჯვა. თან, ვითომ, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— როგორ მინდოდა, ერთხელ ჩემთვისაც გემღერა...

დეას ცალი ხელი უკვე პალტოს სახელოში ჰქონდა გაყრილი, მაგრამ მაინც შედგა, ხელი უკან გამოიღო, შემობრუნდა და გურამს პირდაპირ თვალებში ჩახედა:

— კარგი, ერთხელ შენც გიმღერებ. რომელი სიმღერა გინდა?...

— რომელი? — დაიბნა გურამი, რომელიც სიტუაციის ასე შემობრუნებას ნამდვილად არ ელოდა. — რომელიც შენ გინდა...

— მომაწოდე გიტარა.

გურამი გიტარას ეცა, შალითა უბრალოდ კი არ შემოხსნა, კინაღამ შემოახია და ინსტრუმენტი მაშინვე დეას გაუწოდა. დეა ტახტზე მშვიდად ჩამოჯდა და თლილი თითები სიმებზე მოხდენილად აათამაშა:

— მოდი, ეს საღამო ბოლომდე „თეთრი ვარდებისა“ იყოს!.. რესტორანშიც ეს სიმღერა ვიმღერე...

— ა-უ-უ, რა პატივია! მე და კანონიერი ქურდი ერთ პონტში გაგვიყვანეს! — რესტორნის ხსენებაზე ისევ ცინიზმი მოეძალა გურამს.

— ნუ იკბინები... იმ ქურდს, შენგან განსხვავებით, ხელები ნამდვილად არ წაუგრძელებია... ასე რომ, თუ არ გაჩუმდები, ამ ერთ სიმღერასაც ვერ ეღირსები, — ნიშნის მოგებით მიუგო დეამ.

— სამარე ვარ, — პირზე ხელი მორჩილად აიფარა გურამმა და დეას წინ, სავარძელში ჩაეშვა.

დეამ სიმღერა დაიწყო. გურამი მას ერთხანს, აღფრთოვანებული შესცქეროდა, შემდეგ თავი ხელებში ჩარგო და გაირინდა. დეამ მის კისეზე მბრწყინავი ოქროს ძეწკვი შენიშნა.

— რა ლამაზი ძეწკვი გიკეთია, — წარმოთქვა მან სიმღერის დასრულებისთანავე, — იცი, როგორ ბრწყინავს?

— რა ძეწკვი? — თავი აიღო გურამმა. — ა-ა, ამაზე მეუბნები? — უცბად ყელზე მოისვა ხელი, ძეწკვი თავზე გადაიტარა, თან ლამაზი მედალიონიც ამოაყოლა და დეას გაუწოდა: ეს დედაჩემის სახსოვარია... ბოლნისის სიონში რომ უძველესი ქართული ჯვარია, ამ მედალიონზე ის არის გამოსახული...

დეა მედალიონს ინტერესით დააკვირდა:

— ძალიან ლამაზია და, ალბათ, შენთვის ძალიან ძვირფასიც, რადგან დედის სახსოვარია... დედაჩემმაც მაჩუქა ჯვარი... — ახლა დეამ მოიხსნა ყელიდან ჯვარი და გურამს ისე აჩვენა.

— შენც არა გყავს დედა? — სევდიანად ჰკითხა გურამმა.

— მყავს, მაგრამ ძალიან ცუდადაა... ლოგინადაა ჩავარდნილი... — თვალზე ცრემლი მოაწვა დეას...

— გინდა გაჩუქო?

— რა უნდა მაჩუქო?

— ჩემი მედალიონი.

— რას ამბობ?! — შეიცხადა დეამ. — ხომ შეიძლება, დამეკარგოს?

— არ დაგეკარგება! — მტკიცედ მიუგო გურამმა და დეას მედალიონიანი ხელი მოამუჭვინა: ამას და შენს თავს ერთნაირად გაუფრთხილდი, იცოდე!

— არა, მაინც ვერ დავიტოვებ, — არანაკლებ მტკიცედ მიუგო დეამ და მედალიონი გურამს ყელზე თავად ჩამოჰკიდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ჰოლივუდის ვარსკვლავი გვინეტ პელტროუ ძალზედ უცნაური ხასიათის ადამიანია. ერთი მხრივ, იგი საოცარი დახვეწილობით, შესანიშნავი მანერებით, უზადო გემოვნებითა და ფანტასტიკური ღიმილით გამოირჩევა; მეორე მხრივ, უყვარს გაუთავებელი ღამეული ღრეობები, უწმაწური ხუმრობები და არც წამდაუწუმ საყვარლების ცვლაზე ამბობს უარს. ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია სპორტის ის სახეობებიც, რომელსაც მსახიობი მისდევს. დილაობით გვინეტი იოგის ვარჯიშებს ასრულებს, დღის განმავლობაში კი, საოცარი სისწრაფით დააქროლებს მოტოციკლს. პელტროუს ჰოლივუდელ კოლეგათა უმრავლესობა მტკიცედაა დარწმუნებული იმაში, რომ მსახიობის ასეთი ორმხრივი ნატურა, მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ მოგონილი იმიჯის ნაწილია. სხვები კი, უბრალოდ მის თვალთმაქცურ ხასიათზე ლაპარაკობენ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გამორიცხული სულაც არაა, სიმართლეს შეეფერებოდეს, როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრება.

გვინეტ პელტროუ:

სპორტი სიყვარულის საუკეთესო საკაზმია!

მან მოცურავეობას მსახიობობა ამჯობინა

გვინეტ პელტროუ 1973 წლის 28 სექტემბერს ლოს-ანჯელესში დაიბადა. მისი თეატრალური დებიუტი ჯერ კიდევ ხუთი წლის ასაკში შედგა, როცა გოგონამ ერთ-ერთ სბავშვო მიუზიკლში მიიღო მონაწილეობა. ეს კი, მისი მშობლების წყალობით მოხდა. გოგონას დედა ბლაიტ დანერი პოპულარული მსახიობი იყო, მამა კი — ბრიუს პელტროუ — გავლენიანი რეჟისორი და პროდიუსერი, მაგრამ პატარა გვინეტის მშობლები სულაც არ ოცნებობდნენ იმაზე, რომ იგი ცნობილი მსახიობი გამხდარიყო — პირიქით, თავდაპირველად თეატრით მისი გატაცების წინააღმდეგნიც კი იყვნენ. „დედამ კარგად იცოდა, რა ხდებოდა შოუბიზნესის კულუარებში. მას სურდა, რაიმე სხვა პროფესია ამერჩია, რათა უფრო მშვიდი ცხოვრება მქონოდა. დედა ხშირად მეუბნებოდა, რომ ანთროპოლოგისა და მასწავლებლის პროფესია არაფრით ჩამოუვარდებოდა მსახიობობას. ხოლო როცა შეამჩნია, რომ კარგად ვცურავდი, სპორტული კარიერის შექმნა შემომთავაზა," — იხსენებს გვინეტი, მაგრამ არჩევანის პრობლემა თავისთავად გადაიჭრა, როცა პელტროუმ ითამაშა სპექტაკლში — „პიკნიკი". კრიტიკამ მის ნამუშევარს ბრწყინვალე შეფასება მისცა და მშობლებიც დარწმუნდნენ, რომ ღმერთს გოგონა სამსახიობო ნიჭით დაეჯილდოებინა. „ასეთი წარმატების შემდეგ, მე შემეძლო, მეცურა საკუთარი სიამოვნებისათვის და არა ნორმატივების ჩასაბარებლად, როგორც ეს ადრე ხდებოდა ხოლმე. მანამდე, კარგ სპორტულ ფორმაში რომ ვყოფილიყავი, მამა მაიძულებდა, დილაობით მასთან ერთად მერბინა. ამ სპექტაკლში თამაშის შემდეგ კი, თავი დამანება, თუმცა ყოველ დილით მასთან ერთად ვვარჯიშობდი, რადგან ეს ძალიან მსიამოვნებდა", — ამბობს პელტროუ.

გოგონამ ბავშვობიდანვე გამოიმუშავა განსაკუთრებული ფილოსოფიური მიდგომა — რაც არ უნდა ეკეთებინა, ამას მისთვის სიამოვნება უნდა მიენიჭებინა. ამიტომ ხშირად გვინეტი მეგობრებთან ერთად გაკვეთილებზე დასწრების ნაცვლად, გოლფკლუბებსა და ჩოგბურთის კორტებს სტუმრობდა, საღამოობით კი, თეატრში რეპეტიციებზე გარბოდა.

მისი პირველი ფილმი იყო „დარტყმა" (1991). ამის შემდეგ, ოთხი წლის მანძილზე იგი კინოასპარეზზე აღარ გამოჩენილა. 1995 წელს გვინეტი ბლოკბასტერ „შვიდის" გადაღებებზე მიიწვიეს, სადაც მისი პარტნიორი ამერიკის სექსსიმბოლო — ბრედ პიტი გახლდათ. სწორედ იქიდან დაიწყო ჰოლივუდის აღიარებული ვარსკვლავისა და დამწყები მსახიობი გოგონას თავბრუდამხვევი რომანი. „მახსოვს, ჩვენი საუბარი მცირე კამათით დაიწყო — მე ვთქვი, რომ მოსადუნებლად ყველაზე კარგი საშუალება გოლფის თამაშია. ბრედი დაიჭყანა და განაცხადა, რომ ეს თამაში მდიდარი ბრიყვებისთვის იყო მოგონილი, რომლებსაც ენერგიის სხვაგან დასახარჯად ფანტაზიაც კი არ გააჩნდათ. ბუნებრივია, მის ასეთ მიმიკასა და რეპლიკას უნდა გაეღიზიანებინე, მაგრამ ბრედმა ეს ყველაფერი იმდენად მომხიბლავად თქვა, რომ გაბრაზების ნაცვლად, გადავიხარხარე. ამის შემდეგ კი, დავმეგობრდით," — იხსენებს გვინეტი. ბრედთან გატარებული პირველი წელი, მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა გახლდათ. წყვილი ერთი დღითაც კი არ შორდებოდა ერთმანეთს. გვინეტი უარს ამბობდა რეჟისორების მიერ შეთავაზებულ ფრიად ხელსაყრელ წინადადებებზე, რათა პიტის გვერდით ყოფილიყო. ბრედსაც მისმა სიყვარულმა თავი დააკარგვინა — მას იგი თავის

საყვარელ კალათბურთის მატჩებზე დაჰყავდა, აცნობდა მეგობრებს და უწერდა ლექსებს. „ჩვენ მთელ საღამოებს საუბარში ვატარებდით, მერე ბრედი ამბობდა, რომ გართობის დროც მოვიდა და სასწრაფოდ მივდიოდით პლაჟზე, სადაც იგი სკუტერითა და წყლის თხილამურებით სრიალს მასწავლიდა. ბრედს სიგიჟემდე უყვარდა ცურვა და ხშირად ერთმანეთს ვეჯიბრებოდით კიდეც.“ მათ იდილიას მხოლოდ პიტის გარშემო ატეხილი ისტერია არღვევდა.

ბრედისგან გვინეტს მხოლოდ ჯარატეს გაჟვეთილები დარჩა

ბრედმა და გვინეტმა გადაწყვიტეს, ცოტა ხნით ყველასა და ყველაფრისგან დაესვენათ და კარიბის კუნძულებზე გაემგზავრნენ. შეყვარებულები ძალზედ ბედნიერად გრძნობდნენ თავს: ცურავდნენ, ირუჯებოდნენ და ბრედი გვინეტს კარატეს ილეთებს ასწავლიდა (იმხანად პიტი აღმოსავლური ორთაბრძოლებით გახლდათ გატაცებული), მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს, ისინი ნიუ-იორკში დაბრუნდნენ, გაზეთებში პაპარაცების მიერ გადაღებული სურათები აღმოაჩინეს, სადაც ისინი კარიბის ზღვის სანაპიროზე სრულიად შიშვლები იყვნენ აღბეჭდილნი. ამ ამბის შემდეგ ბრედი ძალიან შეიცვალა, აგრესიული გახდა. „ყოველ საღამოს, ტელევიზორს რთავდა და მხოლოდ თავის საყვარელ კრივს უყურებდა, მე კი ტოქშოუს ყურება მინდოდა. ბრედი სუფრასთან სპეციალურად იქცეოდა ისე, რომ თავისი ცუდი მანერებით, მოთმინებიდან გამოვეყვანე,“ – შესჩიოდა გვინეტი მეგობრებს. პელტროუმ თავის დიდი ხნის ჩვევაზე – დილაობით სირბილზეც კი თქვა უარი, როცა ბრედმა მის სიგამხდრეზე ქილიკი დაიწყო. „ავუხსენი, რომ გასახდომად კი არა, კუნთების ტონუსში მოსაყვანად დავრბოდი...“ 2,5 წლის თანაცხოვრების შემდეგ, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. გვინეტს ძალიან გაუჭირდა ამ განშორების გადატანა.

1996 წელს, ფილმში – „ემი“ პელტროუმ თავის შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა (1997 წელს ამ როლისათვის მან მოიპოვა პრემია – „ოქროს თანამგზავრი“). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ როლზე მუშაობა მსახიობისათვის საკმაოდ რთული და დაძაბული აღმოჩნდა – მას მშვილდ-ისრის სროლის და ცხენზე ჯდომის სწავლა მოუხდა. „არ მახასიათებს დუბლიორის გამოყენება იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არის... ვერც წარმოიდგენთ, რამდენჯერ ჩამოვვარდი ცხენიდან, ვიდრე ჯირითს ვისწავლიდი. ცხენზე დაჯდომისთანავე გული მერეოდა და პულსი მიჩქარდებოდა. თავიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ცხენოსნობა საჩემო საქმე არ იყო, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა. თანდათან ჯირითი ისე მომეწონა, რომ გადაღებების შემდეგ ცხენის გარეშე ვეღარც კი ვძლებდი. ჩემს მეგობრებთან ერთად ხშირად გავდივარ ხოლმე ბუნების წიაღში ცხენებით სასეირნოდ,“ – ამბობს მსახიობი. მშვილდიდან სროლის სასწავლად გვინეტს კიდევ ერთი მწვრთნელი დაუქირავეს, რომელიც მას მშვილდის სწორად დაჭერას და მოზიდვას ასწავლიდა. „მშვილდიდან სროლამ ნაკლებად მომხიბლა, ვიდრე ცხენოსნობამ, მაგრამ რაღაც სასიამოვნო ამაშიც არის. ლარის მოზიდვისას მთელი ყურადღების კონცენტრაცია ხდება. მე შევეცადე, ეს მდგომარეობა სამუდამოდ დამემახსოვრებინა და თქვენ წარმოიდგინეთ, იოგის სწავლის საწყის ეტაპზე იგი გამომადგა კიდეც“, – ამბობს მსახიობი.

„ემის“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, პრესაში სახოტბო სტატიები დაიბეჭდა. თუმცა, შემდეგ წელს მსახიობს კიდევ უფრო დიდი წარმატება ელოდა – ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილმი – „შეყვარებული შექსპირი“ (სურათში შესრულებული როლისათვის მსახიობი „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოვდა), მით უმეტეს, რომ გვინეტი იმხანად კვლავ შეყვარებული იყო. მისი რჩეული, ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მამაკაცი – ბენ აფლეკი გახლდათ. „ბენთან უამრავი საერთო მქონდა. ორივეს ძალზე გვიყვარდა გოლფის თამაში და ხშირადაც ვვარჯიშობდით ხოლმე ერთად. თქვენ წარმოიდგინეთ, კალათბურთსაც კი ვთამაშობდით ხოლმე. ბენი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ჩემგან უმაღლესი კლასის სპორტსმენი დადგებოდა. მართალი გითხრათ, ჩემი ნატურიდან გამომდინარე, თუ რამეს ვაკეთებ, სათანადოდ ვაკეთებ, ან არა და, საერთოდ არ ვკიდებ ხელს. თქვენ წარმოიდგინეთ, საკალათბურთო მოედანზე მე უფრო დიდხანს ვძლებდი, ვიდრე ბენი. ბურთის ჩასაგდებად კი, მერწმუნეთ, NBA-ს პროფესიონალ კალათბურთელებზე ნაკლებს, ნამდვილად არ ვვარჯიშობდი. ბენი და მისი მეგობრები კი, რომლებიც ჩვენთან ერთად ვარჯიშობდნენ, ყოველთვის მამხნევებდნენ“, – იხსენებს პელტროუ.

მაგრამ აფლეკს ჰქონდა ზოგიერთი ისეთი თვისება, რომელთან შეგუებაც პელტროუს არაფრით შეეძლო – ეს იყო მისი ეგოიზმი და ნებისმიერი მორალური პრინციპის უგულებელყოფა. „იგი მიიჩნევდა, რომ ყოველი მამაკაცი ვალდებულია, დრო ერთ ქალთან გაატაროს, მაგრამ ინტიმური კავშირი კიდევ რამდენიმე მათგანთან ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამაკაცს თავის გელფრენდთან აუცილებლად გაუფუჭდებოდა ურთიერთობა!“ ეს ფილოსოფია სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა გვინეტისათვის და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

1999 წელს, პელტროუ „ნიჭიერი მისტერ რიპლის“ გადაღებებზე იტალიაში გაემგზავრა, სადაც მისი პარტნიორი მომხიბლავი მეთ დეიმონი აღმოჩნდა.

აპენინის ნახევარკუნძულზე ყოფნამ, გვინეტს არა მარტო აფლეკი, არამედ უაინონა რაიდერთან მეგობრული ურთ-

იერთობაც დაავიწყა (იმხანად რაიდერი მეთ დეიმონის საცოლე გახლდათ). იგი მთელი გადამღები ჯგუფის თვალწინ, ეკეკლუცებოდა დეიმონს. „მეთი საოცრად მომხიბლავად მომეჩვენა. მახსოვს, ინსტრუქტორი ძრავიანი ნავის მართვას გვასწავლიდა. მართალია, ამის ნაცვლად სადღაც რესტორანში წასვლა შემეძლო, მაგრამ მეთთან ყოფნა ძალიან მსიამოვნებდა, ეს ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესო იყო. თანაც ორივემ ელვის უსწრაფესად ავითვისეთ ნავის მართვა და როგორც მახსოვს, ინსტრუქტორიც კი ნასიამოვნები იყო ჩვენთან ურთიერთობით“, – ღიმილით იხსენებს მსახიობი. სულ მალე წყვილს ახალი გატაცება გაუჩნდა. ისინი გვიან ღამით რომის ქუჩებში მოტოციკლით დაქროდნენ. „მეთი საოცრად კარგად გრძნობდა გზას და საათობით დავქროდით რომის ქუჩებში, ეს ძალზედ რომანტიკული და მხიარული გართობა გახლდათ. სხვათა შორის, ადამიანს სიჩქარე სექსზე ნაკლებად როდი აღაგზნებს. იტალიაში გატარებული რამდენიმე კვირის შემდეგ, ჩემთვის წარმოუდგენელია მოტოციკლის გარეშე ცხოვრება. ვაღიარებ, ყველა ჩემს თაყვანისმცემელს უნდა უყვარდეს მოტოციკლით ქროლა, თუ არა და, ჩვენ არაფერი გამოგვივა. მე ხომ გიჟი გოგონა ვარ, რომელსაც ნეგატიური ემოციები ახასიათებს და პერიოდულად ამ ემოციების გადმოფრქვევა სჭირდება“, – განაცხადა მსახიობმა.

ფოტონადირობა ზვიგენზე

„ნიჭიერი მისტერ რიპლის“ გადაღებების შემდეგ, მეთი კვლავ უაინონას დაუბრუნდა, გვინეტს კი, ახალი ბოიფრენდის ძებნა დასჭირდა. ელეგანტური და დახვეწილი მსახიობის თაყვანისმცემლები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, როცა გაზეთის ფურცლებზე გვინეტის სასიყვარულო თავგადასავლებისა და ღამეული ღრეობების შესახებ კითხულობდნენ. „საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ, მე ხომ ძალზედ სექსუალური ვარ, პარტნიორები კი, რამდენიმე კვირაზე მეტხანს არ მიჩერდებიან ხოლმე. მართალი რომ გითხრათ, სიყვარული ჩემთვის სპორტის საყვარელ სახეობად იქცა – სპორტში მე ყოველთვის წარმატებას ვაღწევ, იქნება ეს სირბილი, ცურვა თუ გოლფი. სექსშიც სათანადო სიმაღლეზე ყოფნა მჭირდება, რათა მისგან დაუვიწყარი შთაბეჭდილება მივიღო“, – აღიარა ერთ-ერთ ინტერვიუში ყოფილმა კარგმა გოგონამ. მეგობრები გვინეტს ურჩევდნენ, რომ ფსიქოთერაპევტისათვის მიემართა, დასასვენებლად გამგზავრებულიყო, ეცურა და დაწყნარებულიყო. წარსულში გვინეტს ასეთი დასვენება დაეხმარა კიდეც. მაშინ მსახიობმა ერთ კუნძულზე სამი დღე გაატარა. წასვლისას მხოლოდ პირადი ნივთები და ანკესი წაიღო. დილიდან დაღამებამდე იგი სანაპირზე დარბოდა და თევზაობდა; როცა ესეც მოჰბეზრდა, წყალში საცურაოდ შევიდა და... ზვიგენების პირისპირ აღმოჩნდა. მსახიობის თქმით, მას არ შეშინებია, უბრალოდ „დიდ თევზს“ გვერდი აუქცია და ნაპირისაკენ გამოცურა. შემდეგ წყლიდან ამოვიდა და ზვიგენი ფოტოზე აღბეჭდა. მოგვიანებით ეს ფოტოსურათები ერთ-ერთმა ჟურნალმა დაბეჭდა. „ვგონებ, ადამიანები სწორედ ამას უწოდებენ ფოტონადირობას“, – ხუმრობდა მისი მეგობარი, მსახიობი ლიუკ უილისი.

მაგრამ ამჯერად, პელტროუმ მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა გამოსავალი იპოვა – იოგის ვარჯიშები: „თავიდან მეგობრები მასხრად მიგდებდნენ და მეკითხებოდნენ, რას ვაკეთებდი ვარჯიშზე, გარდა იმისა, რომ „ლოტოსის“ პოზაში ვიჯექი, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვა ადამიანად ვიქეცი. კვირაში სამჯერ, ჯგუფთან ერთად, მწვრთნელი მავარჯიშებს. შინ დამატებით, დამოუკიდებლად ვვარჯიშობ. იოგის ვარჯიშები მეხმარება, მუდმივად კარგ ფორმაში ვიყო – მე ხომ ძალიან მიყვარს ჭამა, ასაკის მატებასთან ერთად კი, ეს საკმაოდ სახიფათოა.“

ამ ცოტა ხნის წინ, გვინეტს იდუმალმა თაყვანისმცემელმა უცნაური საჩუქარი უძღვნა: ეს არის ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მაისური. სხვათა შორის, მაისური დევიდ ბექჰემის ნომრიანია. გვინეტმა სიამოვნებით უჩვენა ეს მაისური ჟურნალისტებს და პრემიერ-ლიგის რამდენიმე მატჩსაც დაესწრო. „ვარკვეული ხნის მანძილზე დიდ ბრიტანეთში ვცხოვრობდი, იქ ყოფნა ძალიან მომეწონა, აი, კარგი მამაკაცები კი, ნამდვილად არ შემხვედრია. მე მგონი, მათ ან საერთოდ არ იციან, როგორ უნდა მოექცნენ ქალს, ან შესაძლოა, ყველა ნამდვილი მამაკაცი ფეხბურთს თამაშობს და იმიტომ ვერ მოვახერხე მათი ნახვა. შეხედეთ, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს – ისინი ხომ ყველანი ლამაზები არიან, განსაკუთრებით კი, დევიდი. საოცრად მომწონს ფეხბურთი, ახლა იმასაც ვფიქრობ, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ვინმე ხომ არ მოვიწვიო, რათა ფეხბურთის გაკვეთილები ჩამიტაროს!“ – მსახიობმა თავისი გეგმები ჟურნალისტებს გაუმხილა. ჟურნალისტებმა კი, როგორც ჩანს, ურჩიეს, რომ დევიდ ბექჰემისგან თავი შორს დაეჭირა, რადგან „მის მეუღლეს – ვიქტორიას პროფესიონალი მოკრივეც კი ვერ გადაურჩება უვნებლად და გვინეტს ოდესღაც ბრედ პიტის მიერ ნასწავლი კარატეს ილეთები ამ შემთხვევაში ნამდვილად ვერ უშველის...“ ■

მთვრალმა ბელამიმ აურზაური ატეხა

კარდიფის პოლიცია იძიებს ინციდენტს, რომელშიც „ნიუკასლის“ მოთამაშე კრეიგ ბელამია გახვეული. უელსის ნაკრების ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს საპასუხისმგებლო შესარჩევი მატჩების წინ დასვენების უფლება მისცა. ზოგიერთმა მოთამაშემ კი, ეს სულ სხვა მნიშვნელობით აღიქვა და ღამის კლუბს მიაშურა. სწორედ ამის შედეგად, ნასვამმა ბელამიმ კლუბში ნათურა ჩაამსხვრია, რის შემდეგაც იგი გარეთ გააბრძანეს. მაგრამ „ნიუკასლელი“ ფეხბურთელი მაინც არ დამშვიდებულა: ქუჩაში გასული „კარდიფის“ შავკანიან ლიდერს დაესხა თავს, უცენზურო და რასისტული გამონათქვამები დააყარა.



ბევჩენკომ თავისი საუკეთესო გოლი დაასახელა

„ბარსელონას“ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, „მილანიდან“ ანდრეი შევჩენკოს კატალონიურ კლუბში გადაყვანის საკითხი პრეზიდენტობის კანდიდატების ერთ-ერთ კოზირად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსას“ ამჟამად ძალიან უჭირს ფინანსურად, საარჩევნო კამპანიაში კიდევ ორი ფეხბურთელის – ხავიერ პორტილიოსა და დიეგო ტრისტანის სახელები ფიგურირებს. ცოტა ხნის წინ კი, ანდრეი შევჩენკომ მონაწილეობა მიიღო ტელეარხ Milan Channel-ზე გამართულ შოუში Segni Particolari (განსაკუთრებული ნიშნები). მომხიბვლელი რობერტა ნოეს გადაცემაში უკრაინელმა სუპერფორვარდმა ჯერ თავისი რამდენიმე ათეული გოლი იხილა, შემდეგ კი, მათგან საუკეთესო აირჩია. ამ გოლებიდან (მათ რიგში არ შედიოდა პენალტები და უმარტივესი პოზიციებიდან გატანილი ბურთები) შევამ წამყვანის თხოვნით, სამი საუკეთესო გოლი აირჩია. ესენია „ბარის“ კარში 1999-2000 წლების სეზონში, შესანიშნავი გარღვევის შემდეგ გატანილი გოლი; „უდინეზეს“ კარში 2000-2001 წლების სეზონში, ვარდნისას გატანილი გოლი; გოლი „იუვენტუსის“ კარში, 2001-2002 წლების სეზონში. ამის შემდეგ „მილანის“ თავდამსხმელმა ცოტახანს იფიქრა და საუკეთესოდ, 2001 წლის დეკემბერში, „იუვეს“ კარში გატანილი ბურთი დაასახელა. გარდა ამისა, ანდრეიმ ტელემაყურებელთა შეკითხვებსაც უპასუხა. შეკითხვაზე – თუ რატომ გააქვს იშვიათად გოლები მას ბოლო დროს? – შევჩენკომ უპასუხა: „ამას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ მე ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ძველებურად ვითამაშო. დიდი მადლობა გულშემატკივრებს! მათი ჩემდამი რწმენა ოპტიმიზით მავსებს“. აქვე მკითხველს იმასაც ვაცნობებთ, რომ ანდრეი შევჩენკოს, „მილანის“ რიგებში 1999 წლიდან გამოსვლის შემდეგ, იტალიის სერია A-ში სულ 87 გოლი აქვს გატანილი.

რომარიო დაუჯარიმეს

რიო-დე-ჟანეიროს სასამართლომ ცნობილ ბრაზილიელ ფორვარდს, რომარიოს ჯარიმის სახით 410 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. სამართალდამცავებმა ფეხბურთელს ასეთი განაჩენი იმის გამო გამოუტანეს, რომ ამ უკანასკნელმა ყვითელმაისურიანთა ყოფილი მთავარი მწვრთნელის, მარიო ლობო ზაგალოს კარიკატურა ერთ-ერთი ადგილობრივი კაფეს მამაკაცთა ტუალეტის კარზე დახატა. რომარიომ, რომელიც „კაფე დელ გოლის“ ერთ-ერთი თანამფლობელია, ტუალეტის კარზე უნიტაზზე მჯდარი სახედამანჭული ზაგალო მიახატა. ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა კი, ცხადია, ეს ფაქტი პირად შეურაცხყოფად აღიქვა და 37 წლის მოუთვინიერებელ სპორტსმენს უჩივლა, რომელმაც ამას წინათ კატარში კლუბ „ალ-სადთან“ გააფორმა კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ ზაგალომ, რომარიო 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანა, რის შემდეგაც გადაეკიდა კიდეც მას ფორვარდი. ასე რომ, მომავალში, შეიძლება ზაგალოს ბედი პენტაკამპეონთა კიდევ ერთმა ყოფილმა მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სქოლარიმაც გაიზიაროს.

ვალდანო მარადონას აკრიტიკებს

სულ ცოტა ხნის წინ, დიეგო მარადონამ ვისენტე დელ ბოსკე გააკრიტიკა და საჯაროდ განაცხადა, რომ იგი არ არის ღირსი ისეთი დიდებული კლუბის მწვრთნელის პოსტისა, როგორიც მადრიდის „რეალია.“ სწორედ ამის გამო, თავად დონ დიეგოც ამას წინათ, ნაკრებში თავისი ყოფილი თანაგუნდელისა და „სამეფო კლუბის“ სპორტული დირექტორის, ხორხე ვალდანოს მხრიდან მძაფრი კრიტიკის ობიექტად იქცა. ვალდანოს თქმით, დელ ბოსკე მშვენივრად უმკლავდება თავის მოვალეობას და სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ „რეალში“ ურთიერთგაგება სუფევს.

ორმეტრიან ყაზილარს ვირთხების ეშინია

ალექსი რეხვიაშვილი

დოსიე:
დაბადების თარიღი: 1963 წლის 24 ივლისი
დაბადების ადგილი: სამერფილდი (ლუიზიანა)
სიმაღლე: 206 სმ
წონა: 116 კგ
აპლუა: ფორვარდი
კლუბი: „იუტა ჯაზი“

არიან დიდი სპორტსმენები, რომლებიც მთელი ცხოვრება იმ გუნდის ერთგულები რჩებიან, რომელშიც პირველად დაიწყეს თამაში და მაცდური წინადადების შემთხვევაშიც კი, არ ტოვებენ მას. სწორედ ასეთ ვარსკვლავთა რიგს მიეკუთვნება კარლ მელოუნი, რომელმაც ცოტა ხნის წინ, NBA-ში თავისი 1400-ე მატჩი ჩაატარა, ცოტა მოგვიანებით კი, „ორლანდო მეჯიქთან“ გამართულ შეხვედრაში, რომელიც „იუტა ჯაზმა“ ანგარიშით 111:108 მოიგო, თავის გუნდს 40 ქულა შესძინა და 36000-ქულიანი ზღვარიც გადალახა, რის შემდეგაც ლიგის ისტორიაში დაგროვილ ქულათა საერთო რაოდენობით, ლეგენდარული ქარიმ-აბდულ ჯაბარის (38387 ქულა) შემდეგ, მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

კარლ მელოუნი იმ „საოცნებო გუნდის“ წარმომადგენელია, რომელმაც 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვა და მთელ სპორტულ სამყაროს დაანახვა, თუ რამდენად უფრო მაღალ დონეზე დგას აშშ-ის ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია მსოფლიოს სხვა წამყვან საკალათბურთო ლიგებთან შედარებით.



რამდენიმე თვეში მელოუნი 40 წლის გახდება, მაგრამ ახალგაზრდა კოლეგებს დღესაც არაფრით ჩამოუვარდება. თავისი ფიზიკური მონაცემების წყალობით, ის ფაქტობრივად, შეუჩერებელია თამაშის დროს; შეუძლია, კორპუსით გაარღვიოს მეტოქის მცველთა მიერ შექმნილი ნებისმიერი ზღუდე და იერიში ზუსტი ტყორცნით დაადგვირგვინოს. გარდა ამისა, მელოუნს ბადალი არ ჰყავს საკუთარი და მოწინააღმდეგის ფარის ქვეშ ბრძოლის დროსაც.

ლუიზიანის უნივერსიტეტის გუნდიდან „იუტა ჯაზში“ მოხვედრიდან სულ მალე, მელოუნი გუნდის ლიდერი გახდა. მისდა სამწუხაროდ, გუნდმა და მისმა ვარსკვლავმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს NBA-ს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. სამაგიეროდ, 1992 და 1996 წლებში, ამერიკის ეროვნულ ნაკრებთან ერთად, კარლ მელოუნი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ვინც NBA-ს მატჩებს ადევნებს თვალყურს, კარგად იცის, რომ კალათბურთელები მოედანზე ხშირად მიმართავენ მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ხერხს. „ის მოუთვინიერებელი, უხილავი აგიტატორია, რაღაც მშიშარა კურდღლის მსგავსი. საჯარიმო ტყორცნების შესრულებისა და თამაშში პაუზების დროს, ის ყოველთვის რეზინს ღეჭავს – ისე, თითქოს უნდა დაარწმუნოს თავი საკუთარ უძლეველობაში...“ – ამბობს „ჯაზმენ“ ფორვარდზე, NBA-ში მოთამაშე მცველი დიუ ბერი. მელოუნს კიდევ ერთი უცნაური ჩვევაც აქვს: ყოველი საჯარიმო ტყორცნის წინ, ის ჩურჩულით, რაღაც ჯადოსნურ სიტყვებს წარმოთქვამს ხოლმე. ამით მან საკუთარ თავს კარგი რეკლამა გაუწია, რადგან ყოველი საჯარიმო ტყორცნისას, ტელეოპერატორები ახლო ხედით აჩვენებენ ხოლმე მის სახეს და ხალხიც კალათბურთელის საიდუმლო ლოცვის გაშიფვრაზე იმტვრევს თავს.

კარლ მელოუნი ორიგინალურობით გამოირჩევა ბურთის კალათში „ჩატენვის“ დროსაც. ამ მომენტში, ის უკვე ყველას გასაგონად წარმოთქვამს სიტყვებს: „მიიღეთ ფოსტა!“ – რის გამოც მისთვის NBA-ში „ფოსტალიონი“ შეურქმევიათ.

ის, თუ რამდენად მიაგავს საკალათბურთო მოედანზე კარლ მელოუნი „მშიშარა კურდღელს,“ ცხადია, საკამათოა, მაგრამ ერთხელ, კალათბურთის გულშემატკივრებს ის მართლაც გვარიანად შეშინებული უნახავთ. მაშინ, სოლტ-ლეიკ სიტიში NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩში „იუტა ჯაზი“ „ფილ-



ადელფია 76“-ს ხვდებოდა და ერთ-ერთ მაყურებელს ტრიბუნიდან მოედანზე ვირთხა გადაუგდია. სწორედ იმ მომენტში, მელოუნი საჯარიმო ტყორცნისათვის ემზადებოდა, მაგრამ ფეხებთან შემოვარდნილი ვირთხის დანახვაზე უცებ შემკრთალა, ბურთი დაუგდია და ელვისებურად გასცლია იმ ადგილს...

NBA-ს „ფოსტალიონს“ სხვადასხვა გატაცება აქვს. კარლი არკანზასში მდებარე, პატარა რანჩოს ფლობს, სადაც ზაფხულს ძმასთან, ტერისთან ერთად ატარებს ხოლმე. ამ დროს, ყველაზე ხშირად, „ჯაზმენ“ ფორვარდს მინდორში, თივის შეგროვებისას ნახავს კაცი. „იცით, ერთი კარგი აგრეგატი შევიძინეთ, რომელიც თივას პრესავს, – ამბობს მელოუნი, – თუმცა კი, საიდუმლოდ გეტყვით, რომ თივის მოსაფოცხად მანამდე არ მივდივარ, სანამ კარგად არ ვივარჯიშებ. ამაში ჩემი ძმაც ავიყოლიე და ახლა ისიც ჩემთან ერთად ვარჯიშობს ხოლმე“.

ერთხელ, როდესაც ძმები მათ რანჩოსთან მდებარე, პატარა სტადიონზე დარბოდნენ, ტერის კარლისთვის უკითხავს: „არ გეშინია იმისა, რაც ამდენი ვარჯიშის შედეგად შეიძლება დაგემართოს?“ „ჯაზმენ“ ფორვარდს კი უპასუხია: „მე მხოლოდ იმის მეშინია, რაც შეიძლება, ვარჯიშზე ხელის აღების შემთხვევაში მომივიდეს...“

მაშინაც კი, როდესაც ზაფხულობით, სპორტსმენთა აბსოლუტური უმრავლესობა ისვენებს და სიცოცხლით ტკბება, კარლ მელოუნი ვარჯიშს არ წყვეტს, თანაც – ინტენსიურად, გირების გამოყენებით ვარჯიშობს ყოველდღე. „მესმის, რომ სხვებისთვის ეს განმუხტვის საუკეთესო მეთოდი შეიძლება სულაც არ იყოს, მაგრამ ჩემთვის ის აუცილებელია“, – ამბობს მელოუნი, რომელიც „თავის მეთოდს“ არც ერთ ზაფხულს არ ღალატობს, არა აქვს მნიშვნელობა, თუ როდის დამთავრდება მისთვის მომქანცველი და დაძაბული საკალათბურთო სეზონი. „მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშს ბევრი დრო მიაქვს, ყოველთვის ვახერხებ იმას, რომ ოჯახსაც არ მოვაკლო ყურადღება და რიგიანადაც გავერთო. ალასკაზე მიწის ნაკვეთი მაქვს, სადაც ზაფხულობით, რამდენიმე კვირას ვატარებ ხოლმე. იცით, ხანდახან სასიამოვნოცაა, გარკვეული დროის განმარტოებით გატარება იქ, სადაც საერთოდ მოწყვეტილი ხარ ცივილიზაციას და ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობაც არ გაქვს. იმ ადგილებში ნადირობის, თევზაობისა და ყოველდღიური ერთფეროვნებისაგან მოწყვეტის მშვენიერი პირობებია. ალასკაზე მუდამ სიჩუმე და სიმშვიდე სუფევს. დაჭერილი თევზის დიდ ნაწილს სოლტლეიკ სიტიში ვაგზავნი ხოლმე. იმდენს ვიჭერ, რომ შემდეგ, მთელი ზამთარი გვყოფნის“, – ამბობს მელოუნი.

კარლს ქალთა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მატჩებზე დასწრებაც უყვარს. ის „იუტა სტარზის“ ერთგული ქომაგია. „ისევე, როგორც „იუტა ჯაზი“, „სტარზიც“ მაღალი დონის გუნდია და მე ძალიან მიყვარს მის თამაშებზე დასწრება, – აცხადებს კარლი. – როდესაც „იუტა სტარზის“ მატჩზე მივდივარ, ყოველთვის ვიცი, რომ დიდებული სანახაობა მელის“.

კარლ მელოუნი გატაცებულია მოტოციკლებით; მას სხვადასხვა მარკის რამდენიმე ძვირფასი მოტოციკლეტი აქვს და როგორც კი ამის საშუალება ეძლევა, დიდი სიამოვნებით დააქროლებს ხოლმე მოტოს ჩქარაოსნულ ტრასაზე. მისი თქმით, ეს მოდუნებისა და განმუხტვის საუცხოო საშუალებაა.

„დიდ, ღარიბ ოჯახში ვარ გაზრდილი და არასოდეს დამავიწყდება ის, თუ სად არის ჩემი ფესვები. მე ნამდვილად გამიმართლა ცხოვრებაში. ხანდახან, როდესაც ლუიზიანის ამა თუ იმ გზას მივუყვები, მახსენდება ხოლმე, რომ მთელი ბავშვობა იმ ადგილებში მაქვს გატარებული. ასეთ მომენტში, მოტოს ვაჩერებ და აქეთ-იქით ვიყურები... ნამდვილად ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ჩემი მძიმე შრომის წყალობით (დამერწმუნეთ, სწორედ ასეთია ჩემი სამუშაო), ყველაფერი მაქვს“ – აღნიშნავს „ჯაზმენი“ თავდამსხმელი, რომელიც თავისი არაერთი კოლეგისაგან განსხვავებით, ვერ იტანს გოლფს. სოფელში გაზრდილი მელოუნის აზრით, ეს თამაში დიდ ზიანს აყენებს ნიადაგსა და საძოვრებს. „იცით, რომ გოლფის მოედნისხელა ფართობის მიწაზე, 75-100 მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვებაა შესაძლებელი? ამ ღრმულებიან მინდორს კი, რა სარგებლობა მოაქვს – ნამდვილად ვერ გამიგია. თუ ამ მოსაწყენი გოლფის მოთამაშეებს ბუნებაში ყოფნა უყვართ, ვურჩევდი, რომ უბრალოდ, სუფთა ჰაერზე ესეირნათ...“ – აღშფოთებას ვერ ფარავს კარლ მელოუნი და დასძენს: „მაშინაც კი, როდესაც ვერთობი, ყოველთვის ვცდილობ, რომ სპორტული დარბაზის ახლოს ვიმყოფებოდე. მე მუდამ საუკეთესო სპორტულ ფორმაში უნდა ვიყო იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. საკუთარი გამოთქმაც კი მაქვს, რომელიც ზუსტად გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ვარჯიშისადმი: „სიკვდილის კი არ მეშინია, არამედ – წაგების!..“ ■



Golf და Mazda ფასდაკლებით და სერიოზული პრობლემები Volkswagen-ში

VW Golf

წლეულს კიდევ რამდენიმე ცნობილი საავტომობილო მოდელი მოიხსნება წარმოებიდან, მანამდე კი – ფასდაკლებით გაიყიდება. ბუნებრივია, ბევრი ავტომოყვარულისთვის საკმაოდ ხელსაყრელი შეიძლება აღმოჩნდეს იაპონური კომპაქტური Mazda Demio-ს იაფად შეძენა (მას უკვე გაზაფხულზე, Mazda 2 შეცვლის). Demio მრავალფუნქციურობით გამოირჩევა: უკანა სავარძელი 12 სმ-ით გადაადგილდება და ამის შედეგად, ან საბარგულის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს, ან სალონი გახდეს უფრო ხალვათი მგზავრებისთვის. პირველ შემთხვევაში, საბარგო დანაყოფი 1298 ლ-ს აღწევს. გერმანული ჟურნალის – Auto Bild-ის ექსპერტების რეკომენდაციით, საუცხოო ვარიანტია Demio 1,5 Exclusive, რომელიც 14.100 ევრო ღირს, წარმოების მოხსნის გამო კი, ეს თანხა 10-15% შემცირდება.

საშუალოდ 10%-ით გაიაფდება აგრეთვე რბილსახურავიანი Peugeot 306 Cabrio (ამ მოდელს ასაკეცი, მაგარსახურავიანი, Peugeot 307 CC შეცვლის). 110 ცხ.ძ-იანი ძრავათი აღჭურვილი Cabrio ამჟამად 22.215 ევრო ღირს, თუმცა ძალზედ პოპულარულია.

Mazda Demio

წლეულსვე შეწყდება „ფოლკსვაგენის“ ბესტსელერის – Golf-4-ის წარმოება. საუცხოო საიმედოობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამორჩეული, ამ ავტომობილის ფასდაკლებამ 8-იდან 10%-ამდე შეიძლება შეადგინოს. თუ მისი ძრავებისა და კომპლექტაციების მრავალფეროვან პალიტრას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფასდაკლებით მისი შეძენით, ბევრი ავტომოყვარული იხეირებს. მისი „მემკვიდრე“ ჯერ არავის უნახავს, მაგრამ ექსპერტთა ვარაუდით, მას რევოლუციური დიზაინი როდი ექნება.

ამასობაში, სახელგანთქმული გერმანული კონცერნის მესვეურთ სერიოზული და უსიამოვნო საზრუნავი გაუჩნდათ. საქმე ეხება 1,8 ლ მოცულობის 4-ცილინდრიან და V ტიპის 5,6 და 8-ცილინდრიან, ტურბოდაბერვიან ძრავებს, რომლითაც აღჭურვილია მოდელები: Volkswagen Passat, Audi, Skoda და Seat. ანთების სისტემაში არსებული წუნის გამო, ერთერთი ცილინდრი ითიშება და აგრეგატს სიმძლავრე უქვეითდება.

კონცერნი თავის მომხმარებლებს აფრთხილებს, რომ ხელსაწყოთა პანელზე მოთავსებული ინდიკატორით – „შეამოწმეთ ძრავა“ – ანთებისთანავე, მძღოლმა სერვის-ცენტრს უნდა მიმართოს. აღნიშნული პოტენციური ხარვეზი, 2001–2002 წლებში გამოშვებულ 850 ათას ავტომობილს შეიძლება აღმოაჩნდეს. ფირმა ცდილობს, ზუსტად დაადგინოს, თუ რამდენი ასეთი მანქანა გაიყიდა სხვადასხვა ქვეყანაში.

გასულ თვეში, დასახელებულ მოდელებს Lupo, Polo და Golf დაემატა: ხარვეზები ამ მანქანებში გამოყენებულ, 1,0 და 1,4 ლ მოცულობის, ალუმინის ძრავებს აღმოაჩნდა. ევროპისთვის უჩვეულოდ ძლიერი ყინვების გამო, ძრავებში ზეთის ცირკულაცია ირღვეოდა. ეს პრობლემა უმეტესად, იმ მძღოლებს შეჰქმნია, ვინც მოკლე მანძილზე დადიოდა და ამოძრავებამდე, სათანადო დონემდე ძრავას გასახურებლად არ ზრუნავდა ხოლმე. არადა, ევროპაში, ჩართული ძრავათი ერთ წუთზე მეტხანს დგომა აკრძალულია.

ასეა თუ ისე, „ფოლკსვაგენის“ ხელმძღვანელობა ოპერატიულად ღებულობს სათანადო ზომებს: მწყობრიდან გამოსული აგრეგატების ნაცვლად, კლიენტებს სწრაფად და უფასოდ უზრუნველყოფს ახლებით.

■

Partner მცირე ბიზნესისთვის

Peugeot Partner-ს ევროპაში „მეფუნთუშეთა მანქანას“ უწოდებენ. კომპაქტური უნივერსალი, ტევადობისა და ფუნქციურობის გამო, მართლაც, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მეფუნთუშეებში, ყვავილებისა და სხვა, მომცრო მაღაზიების მეპატრონეების წრეში. „პარტნერს“ ესპანეთის ქალაქ ვიგოში მდებარე „პეჟოს“ ქარხანა უკვე 7 წელია აწარმოებს. ამ ხნის მანძილზე, მისი კონვეიერიდან 200 ათასი უნივერსალი ჩამოვიდა. მაგრამ დღეს, კონკურენტების – Renault Kangoo-სა და Citroen Berlingo-ს გამოსვლის შემდეგ, Partner რამდენადმე მოძველდა. ამან საგრძნობი გავლენა მოახდინა მისი რეალიზაციის მაჩვენებლებზე: მაგალითად, გერმანიაში 2002 წელს, სულ 2000 Partner გაიყიდა, მაშინ, როცა Kangoo-ს მაჩვენებელმა 18700-ს, Berlingo-სი კი – 15800-ს მიაღწია.

2003 წელს, დილერები განახლებულ „პარტნერს“ მიიღებენ. ავტომობილი წინამორბედზე მოსახერხებელი გახდა: მაგალითად, Presence-ის მოდიფიკაციაში მარჯვენა უკანა კარი ჩვეულებრივად კი არ გაიღება, არამედ გაიწევა, Premium-ის კომპლექტაციაში კი, ამავე მექანიზმით მარცხენა კარიც იქნება აღჭურვილი. მანქანის ძვირად ღირებულ ვერსიებს უსაფრთხოების გვერდითი ბალიშები ახლავს.

ავტომობილი ოთხნაირი ძრავათი იქნება აღჭურვილი: 2 ბენზინის (75 და 109 ცხ.ძ. სიმძლავრის) და 2 დიზელის (69 და 90 ცხ.ძ-იანი). შეიცვალა აგრეთვე მანქანის ცხვირის დიზაინი.

ივნისიდან, დილერები „პარტნერის“ სრულამძრავიან ვერსიასაც მიიღებენ. მანქანა არ არის გათვალისწინებული ჩქაროსნული მოძრაობისთვის, მისი მთავარი ღირსება სულ სხვა რამ არის: ხალვათი სალონი, ტვირთამწეობა, მხსვილგაბარიტიანი საგნების გადაზიდვის შესაძლებლობა. ■

Alfa Romeo-ს ახალი დიზელი

იტალიური ფირმა Alfa Romeo (სტრუქტურულად შედის კონცერნ Fiat-ში) დიზელის ძრავათა დარგში მსოფლიო ლიდერადაა აღიარებული. 1997 წელს, 156-ე მოდელზე მისმა ინჟინრებმა დააყენეს ახალი ტიპის, ტურბოდაბერვიანი აგრეგატი, რომელიც საუცხოო მახასიათებლებით გამოირჩეოდა. სულ ცოტა ხნის წინ, ეს ძრავა კიდევ უფრო დაიხვეწა. მისი სამუშაო მოცულობა 1,9 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე – 140 ცხ.ძ-ს აღწევს. ამ ძრავათი, რომელიც მეტისმეტად ელასტიკურია და დიდი დატვირთვით მუშაობის დროსაც კი, ძალზედ უხმაუროა, მოდელი – Alfa Romeo 147 JTD 16V აღიჭურვება.

სიმძლავრით ის მხოლოდ „ფოლკსვაგენის“ 150 ცხ.ძ-ის მქონე დიზელის ძრავას ჩამოუვარდება, სამაგიეროდ, გერმანელ კონკურენტს სჯაბნის ეკონომიურობით – ყოველ 100 კმ-ზე, 7 ლ-ზე ნაკლებ საწვავს ხარჯავს. 147 JTD-ს მაქსიმალური სიჩქარე 206 კმ/სთ-ს აღწევს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, ის 9,2 წმ-ში ავითარებს.

Alfa Romeo 147 JTD 16V უსაფრთხოების 6 ბალიშით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და კონდიციონერითაა აღჭურვილი. ევროპაში ის 23.650 ევროდ იყიდება. ■

რა დროს ჯულია რომერტსია, როცა ასეთი თურმეცია!

ჯულია რობერტსი წელს „ოსკარზე“ ნომინირებული არ ყოფილა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრესა და ტელევიზია ოსკაროსანი მსახიობისადმი ნაკლებ ყურადღებას იჩენდა. მაგალითად, დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, ჯულია მეუღლის, დენი მოდერის გარეშე გამოცხადდა. ამან კი დამსწრე საზოგადოების გაკვირვება გამოიწვია, რადგან დაოჯახებულ ვარსკვლავებს ძალიან უყვართ თავიანთი მატრიმონიალური სტატუსის დემონსტრირება. ხოლო როცა ჯულია შეგნებულად შეჩერდა იმ მაგიდასთან, სადაც დანიელ დეი-ლუისი და მისი მეუღლე, რებეკა მილერი ისხდნენ, დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. თავის დროზე, როცა რობერტსი ჯერ კიდევ არ იყო ასეთი ცნობილი მსახიობი, მასა და დეი-ლუისს ვნებიანი რომანი ჰქონდათ. ერთ მშვენიერ დღეს, მათი სიყვარული დასრულდა იმით, რომ დანიელმა ჯულია მიატოვა. დანიელმა არ გაამართლა მათი იმედები, ვინც ფიქრობდა, რომ წარსულში ჩადენილ საქციელს იგი ჯულიას წინაშე თვალცრემლიანი მოინანიებდა. მსგავსი სიამოვნება დეი-ლუისმა არავის მიანიჭა – იგი მშვიდად იჯდა სუფრასთან და თეფშში თავჩარგული, განაგრძობდა ჭამას. ჯულია ცოტა ხანს დაყოვნდა მათ სიახლოვეს, შემდეგ კი გზა განაგრძო. ■

ელიზაბეტ ტეილორს ეშინია, სადამ ჰუსეინმა აშშ-ს საპასუხო დარტყმა არ მიაყენოს

71 წლის კინოვარსკვლავმა, ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ საბოლოოდ ემშვიდობება კინოს და მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე – შიდსის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებაში განაგრძობს. ელიზაბეტ ტეილორს დიდი სურვილი ჰქონდა, დასწრებოდა „ოსკარების“ გადაცემის 75-ე საიუბილეო ცერემონიას, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა. მან მიიჩნია, რომ ეს იქნებოდა უპატივცემულობა მათ მიმართ, ვინც იმ მომენტისათვის ბრძოლის ველზე საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა. ასე რომ, ის საღამო ლეგენდარულმა მსახიობმა ტელევიზორის ეკრანთან გაატარა. გასულ კვირას კი, შიდსის წინააღმდეგ მებრძოლი ფონდის საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდა, სადაც გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსის“ ჟურნალისტს ერაყის ომის თაობაზე განუცხადა: „ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი შურს იძიებენ ჩვენზე? ნუთუ, არ გიფიქრიათ, რომ შეიძლება, ჩვენც დაგვბომბონ? ეს ხომ საშინელება იქნება“. ■

კეტრინ ზეტა-ჯონსი შვილს ოსკარს არ დაარქმევს

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ძალზედ ბედნიერია „ოსკარის“ მიღებით, საკუთარ შვილს, რომელსაც სულ რაღაც ორ კვირაში ელოდება, ოსკარს მაინც არ დაარქმევს. კეტრინ ზეტა-ჯონსმა ოჯახის „ოსკარების“ კოლექცია ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ჯილდოთი გაამდიდრა. მის მეუღლეს – მაიკლ დუგლასს მოპოვებული აქვს ორი „ოსკარი“. კეტრინი მის მიერ მოპოვებული ოქროს სტატუეტის დადგმას, ქმრის „ოსკარებს“ შორის, ოღონდ – ოდნავ უფრო წინ აპირებს. გარდა ამისა, მას ოქროს ქანდაკების წაღება მშობლიურ უელსშიც აქვს განზრახული, რათა ყველას აჩვენოს იგი. კეტრინი ხომ პირველი ვალიელია, რომელმაც კინოაკადემიის ეს უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. მსახიობმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ამას, როცა ცერემონიაზე, შოტლანდიელი შონ კონერი მას „ოსკარის“ ქანდაკებას გადასცემდა. ■

„როლინგ სთოუნზმა“ ჰონკონგში წასვლაზე უარი განაცხადა

ცნობილმა როკ-ჯგუფმა – „როლინგ სთოუნზმა“ ჰონკონგში კონცერტი გადადო. კონცერტები, რომელიც 28-29 მარტს უნდა გამართულიყო, ჰონკონგში მძვინვარე „აზიური გრიპის ვირუსის“ გამო გადაიდო. ვირუსი ჰაერ-წვეთოვანი გზით ვრცელდება. უკანასკნელი მონაცემებით მან უკვე 54 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მკაცრი ზომების მიღების მიუხედავად, ვირუსი მაინც ვრცელდება. ჯერ-ჯერობით ჯგუფის ადმინისტრაცია ვერ ასახელებს ზუსტ ვადას, მაგრამ აცხადებს, რომ კონცერტები აუცილებლად შედგება. ■

ანჯელინა ჯოლის „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე წასვლა, კაბის გამო არ გადაუთიქრია

გავრცელებული ხმების თანახმად, 27 წლის ამერიკელი მსახიობი ანჯელინა ჯოლი, კინოაკადემიის მიერ მოწყობილ ცერემონიას სპეციალურად ამ საღამოსთვის შეძენილი კაბის დაკარგვის გამო არ დაესწრო. როგორც ამბობდნენ, მას კაბა ბრიტანელი დიზაინერის – სკოტ ჰენშელის სხვა ნივთებთან ერთად მოჰპარეს, მაგრამ როცა ჟურნალისტები მსახიობს შეხვდნენ, მან ცერემონიაზე წაუსვლელობის სულ სხვა მიზეზი დაასახელა. ანჯელინა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მოდელიერ სკოტ ჰენშელის შესახებ არასოდეს არაფერი სმენია. „კოდაკის“ კინოცენტრში წასვლას კი, ცნობილი დიზაინერის, ჯორჯო არმანის საკოლექციო ნიმუშში გამოწყობილი აპირებდა, მაგრამ ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ცერემონიაზე დასწრება გადაიფიქრა. ■

ბრედ პიტი მხარს უჭერს ბუშის პოლიტიკას

ბევრი თავისი ჰოლივუდელი კოლეგისაგან განსხვავებით, ბრედ პიტი მხარს უჭერს აშშ-ის პრეზიდენტს და მის მიერ ერაყში დაწყებულ საომარ მოქმედებებსაც ამართლებს. მსახიობს მიაჩნია, რომ ბუშმა მის მიერ დაწყებული საბრძოლო ოპერაცია ბოლომდე უნდა მიიყვანოს. „ჩვენ უკან ვეღარ დავიხევთ. მთელი ნაცია უნდა გაერთიანდეს და უნდა დავასრულოთ დაწყებული საქმე“. პიტის აზრით, ბუშის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან „დააყენა პრობლემა და აიძულა ყველა, ამ პრობლემასთან მიმართებაში საკუთარი პოზიცია გამოეხატა“. ■

ჯეკი ჩანი ახალ პროექტში მონაწილეობს

ჰოლივუდში ჟიულ ვერნის რომანის – „ოთხმოცი დღე მსოფლიოს გარშემო“ – მიხედვით ახალ ფილმს იღებენ. სურათის რეჟისორია ფრენკ კორასი, რომელიც ჟიულ ვერნის მეორე ნაწარმოების – „ქორწილის მომღერლის“ მიხედვით გადაღებული ფილმის რეჟისორიც გახლავთ. ახალ პროექტში პასპარტუს როლს ჯეკი ჩანი შეასრულებს. ფილმში მასთან ერთად მონაწილეობენ: სტივ გუგანი, ჯიმი ბროადბენტი, სესილ დე ფრანსი და ჯონი კნოკსვილი. გადაღებების დაწყებასთან დაკავშირებით, ჯეკი ჩანმა თავის საიტზე გახსნა ფილმის დღიური, სადაც გადასაღებ მოედანზე მომხდარ ნებისმიერ საინტერესო ინფორმაციას შეიტანს. ამ დღიურის მეშვეობით, ცნობილი გახდა, რომ კომპანიამ ააშენა პატარა, ძალიან ლამაზი ჩინური სოფელი. ამჟამად გადაღებები ტაილანდში მიმდინარეობს, სადაც ძალიან ცხელა და გადამღები ჯგუფი ცდილობს, ზღვასთან ახლოს იმუშაოს. მომავალში გადაღებები გერმანიაში გაგრძელდება. ფილმში კამეოს როლს ჯეკი ჩანის საუკეთესო მეგობარი – სამო ხუნგი ასრულებს. სურათის ეკრანზე გამოსვლა 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

„ჰარი პოტერის“ ავტორი ოქსფორდის ლექსიკონში სიცოცხლეშივე მოხვდა

37 წლის ჯოან როულინგმა, პატარა ჯადოქარ ჰარი პოტერზე დაწერილ წიგნებში გამოიყენა სიტყვა – muggle. ამ სიტყვის წყალობით, როულინგს უდიდესი პატივი ხვდა წილად – მის მიერ მოგონილი სიტყვა ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონში ავტორის სიცოცხლეშივე შეიტანეს. წიგნის არსებობის 146-წლიანი ისტორიის მანძილზე, ლექსიკონი სულ სამჯერ განაახლეს. აქედან გამომდინარე, ის, რომ ავტორის



სიტყვა მისსავე სიცოცხლეში მოხვდა ასეთ პრესტიჟულ გამოცემაში, უდავო პატივია. მაგალითად, ლუის კეროლი და ჯ.პ.პ. ტოლკიენი, თავიანთი სიტყვების – „ჯაბერუოკისა“ და „ჰობიტის“ წყალობით, მხოლოდ 1976 წლის გამოცემაში მოხვდნენ, მაშინ, როცა ორივე ავტორი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. საერთოდ, ამ ტიპის ნეოლოგიზმებს ენაში დასამკვიდრებლად გარკვეული დრო სჭირდება, რათა ლიტერატურული ნაწარმოების ავტორისეული კონტექსტიდან, სიტყვის სამეტყველო ლექსიკაში შეთვისება მოხდეს. „მაგლი“ კი, სულ რაღაც ხუთ წელიწადში შეიტანეს ლექსიკონში! როულინგის წიგნების მიხედვით, სიტყვა იმ ადამიანს ესადაგება, რომელიც პრაქტიკულ მაგიურ ცოდნას არ ფლობს. ცხოვრებაში „მაგლის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა – ამ სიტყვით აღნიშნავენ ხელთუპყარ, არაფრის მაქნის ადამიანს, რომელსაც რაიმე ხელობის თუ ცოდნის დაუფლების უნარი არ გააჩნია. ■

სექსუალური ლტოლვა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

„თაფლის" მივიწყებული გემო

ზიგმუნდ ფროიდამდე ამ გრძნობას ავხორცობას უწოდებდნენ. და განა ყველა ქალი გაბედავდა, ექიმისათვის ეთხოვა – ავხორცობა გამიუმჯობესეთო?!. ფსიქოანალიზის მამას იმისთვისაც ემადლიერებიან, რომ სამეცნიერო ლექსიკონში მან შეიტანა ტერმინი „ლიბიდო". სხვა შეგრძნებების მსგავსად, ლიბიდო ადამიანს კარგად უნდა ჰქონდეს განვითარებული.

„თაფლის" გარეშე გატარებული ღამე – დილაა სიმხნევის გარეშე", – ამბობენ ინგლისელები. ინგლისურად „თაფლი" არა მარტო კვების პროდუქტის სახელი, არამედ არანაკლებ ტკბილი, სექსუალური ტკბობის სინონიმიცაა. ბრიტანელებს გინეკოლოგები და ენდოკრინოლოგებიც ეთანხმებიან: სრულყოფილი სექსუალური აქტიურობა ფიზიკური ფორმისა და ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი ამ აქტიურობის სურვილი არა გვაქვს? ასეთი პრობლემა ხშირად აქვთ საშუალო ასაკის ქალებს. ცოტა ხნის წინ, ექიმები ურჩევდნენ მათ, შეჰგუებოდნენ მდგომარეობას: სუსტი ლიბიდო, ანუ გაძნელებული და შენელებული ორგაზმი განიხილებოდა არა როგორც სექსუალური დისფუნქცია, არამედ როგორც კლიმაქსის დასაწყისი, მაგრამ კლივლენდის უნივერსიტეტის სპეციალისტთა მტკიცებით, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ლიბიდოზე გავლენას ახდენს დეპრესია. ანტიდეპრესანტების დანიშვნის შემდეგ, დაქვეითებული ემოციური ფონის პაციენტებს, მათივე ცნობით, მოსალოდნელი თერაპიული ეფექტის გარდა, საგრძნობლად გაუაქტიურდათ სექსუალური ცხოვრება. ექიმებმა ანტიდეპრესანტები გამოუწერეს იმ ქალებსაც, რომლებიც არ უჩიოდნენ ცუდ განწყობას, მაგრამ სურდათ ლიბიდოს გაძლიერება. შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა – სექსუალური აქტიურობის მაჩვენებლები გაორმაგდა. ასე რომ, ძველი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ სექსუალური პრობლემები დეპრესიას იწვევს, სწორი ყოფილა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც.

სექსუალური აქტიურობის სტიმულატორად ადრე იყენებდნენ მამაკაცურ ჰორმონებს – ტესტოსტერონს და სხვა ანდროგენებს. ქალის ორგანიზმში ისინი უმნიშვნელო რაოდენობით გამომუშავდება თირკმელზედა ჯირკვლების მიერ და იწვევს სქესობრივ აღგზნებას. მაგრამ საკმარისია, დოზის უმნიშვნელო გადაჭარბებაც კი, რომ მაშინვე ქალებს ნიკაპზე ჯაგარი ამოსდით, ხოლო კანი ახალგაზრდული გამონაყრით იფარება.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ლიბიდო უქვეითდებათ არა იმიტომ, რომ ორგანიზმს არ ჰყოფნის ანდროგენები, თურმე პრობლემა, სპეციფიკური ქალური ჰორმონების – ესტროგენების ნაკლებობა ყოფილა. სქესობრივი ლტოლვის ასამაღლებლად საკმარისია ამ დეფიციტის შევსება.

ესტროგენებს გინეკოლოგიაში, დიდი ხანია, ალებისა და კლიმაქსური სინდრომის სხვა გამოვლინებებისაგან თავის დასაღწევად იყენებენ. ჩვეულებრივ, ასეთი ჰორმონული პრეპარატები აბების სახით ინიშნება ხოლმე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ აბების სახით მიღებული ესტროგენები... ამცირებს ლიბიდოს!

პარადოქსის მიზეზი ის არის, რომ როცა ჰორმონი კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შეიწოვება, ქალის ორგანიზმში ქვეითდება ნორმალური სექსუალური აქტიურობისათვის საჭირო ანდროგენები (მამაკაცური ჰორმონები). ამასთანავე, მატულობს ტესტოსტერონის შემაკავშირებელი სპეციფიკური ცილის აქტიურობა. ალები მართლაც სუსტდება, მაგრამ მასთან ერთად სუსტდება სქესობრივი ლტოლვაც.



მეცნიერებმა შექმნეს ჰორმონალური წებოვანი ფირფიტა, რომელიც ორ ქმედით საწყისს – ესტროგენსა და პროჟესტერონს შეიცავს. ისინი უშუალოდ სისხლში შეიწოვება, ზრდის ქალის ტესტოსტერონისა და სხვა ანდროგენების აქტიურობას და მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სქესობრივ ლტოლვას. მცირე ზომის ფირფიტას იკრავენ კანზე, იგი მჭიდროდ ეკვრის მას, წყალგამძლეა. ყოველ ორ კვირაში ერთხელ ფირფიტა უნდა იცვალოს. დანარჩენ დროს კი, შეგიძლიათ დაივიწყოთ მისი არსებობა.

ესტროგენების ნაკლებობის 12 ნიშანი

- ჩავარდით დეპრესიაში, დაგეწყოთ განწყობილების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- თან გდევთ მოუსვენრობა, შიში და გაღიზიანებულობა;
- დაბნეული და გულმავიწყი გახდით;
- ცუდად გძინავთ;
- კანი გამოგიშრათ;
- მუდმივად გრძნობთ დაღლილობას;
- ხშირად გტკივათ თავი და თავბრუ გეხვევათ;
- მოგემატათ თმიანობა სახეზე;
- გტკივათ ზურგი, კუნთები და სახსრები;
- ზოგჯერ გეწყებათ „ჭიანჭველების ცოცვის" შეგრძნება ტანში და კანის ქავილი;
- დაგიქვეითდათ სქესობრივი ლტოლვა, გაქვთ დისკომფორტი სქესობრივი აქტის დროს;
- დაგეწყოთ ოფლიანობა ღამით.

თუ ამ ნიშნებიდან რამდენიმე მაინც გაქვთ, საშველად იმ სამკურნალო მცენარეებს მიმართეთ, რომელიც ესტროგენების გამომუშავებას ასტიმულირებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: ცაცხვის ყვავილი, სელის თესლი, ჟენ-შენის ფესვები.

ესტროგენების წარმოქმნას აძლიერებს სოიას პროდუქტები, აგრეთვე კენკროვანი მცენარეები (მარწყვი, ჟოლო, მაყვალი, ფეიხოა) და ამ კენკრისგან დამზადებული მურაბები. ყოველთვიურად, 7-10 დღის განმავლობაში, სვით 1-2 ჭიქა ახალგამოწურული ხილისა და ბოსტნეულის (სტაფილოს, ვაშლის, ფორთოხლის, ბროწეულის) წვენები – ის მაღლა სწევს საკვერცხეების ჰორმონულ აქტიურობას.

■

ისევ 37,5°

ზოგჯერ ბავშვს გაცივების შემდეგ, კვირებით და თვეებითაც კი რჩება მცირედ მომატებული ტემპერატურა. მშობლები პანიკაში ვარდებიან: სერიოზული დაავადება ხომ არ შეეყარა პატარას? მაინც რა არის ამ მდგომარეობის მიზეზი?

სამეცნიერო ჭეშმარიტების ძიება

სუბფებრილიტეტი – მცირედ მომატებული ტემპერატურა (37-38 გრადუსი), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღინიშნება. ასეთი პრობლემა საკმაოდ ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით 9-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებში. იგი შეიძლება იყოს სერიოზული დაავადების (ფილტვების ანთების ან რევმატიზმის) სიმპტომი. ძველად, მას ტუბერკულოზის უტყუარ ნიშნად მიიჩნევდნენ. იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ სუბფებრილიტეტის მიზეზი მხოლოდ ქრონიკული ინფექციის კერა შეიძლებოდა ყოფილიყო.

გასული საუკუნის 30-იან წლებში, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს ფენომენი უმრავლეს შემთხვევაში ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევასთანაა დაკავშირებული. გამოკვლეულთა 90%-ს თერმორეგულაციის ცვლილება აღენიშნებოდა. ასეთი თავისებური „ცხელება“ მეცნიერებმა გამოჰყვეს, როგორც თერმონევროზი, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას გადატანილი ინფექციის შემდეგ, ან ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმის, ზოგადი გადაძაბვის შედეგად.

სითბური ცვლის დეფექტები

ბოლო წლებში დადასტურდა, რომ სუბფებრილიტეტი შეიძლება ისეთი ბიძგის გარეშეც განვითარდეს, როგორიც ინფექციური დაავადებაა. ეს დაკავშირებულია თავის ტვინის თერმორეგულაციური ცენტრების მუშაობის თავისებურებებთან.

დღე-ღამეში ორგანიზმში წარმოქმნილი სითბოს რაოდენობა ტოლი უნდა იყოს ამ ხნის განმავლობაში გამოყოფილი სითბოს რაოდენობისა, მაგრამ ზოგიერთ ბავშვში სითბო შეკავდება ხელებისა და ფეხების კანის ზედაპირული სისხლძარღვების სპაზმის ხარჯზე, გამომუშავებული სითბოს რაოდენობა კი ნორმას შეესაბამება. ამის შედეგად, ორგანიზმის ტემპერატურა მატულობს.

აღნიშნულ პროცესში ენდოკრინული სისტემაცაა დამნაშავე. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ასეთ ტემპერატურიან ბავშვებში დარღვეულია თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის მუშაობა. როდესაც ექიმებმა ერთმანეთს შეადარეს სპორტსმენების, ფიზიკურად ნავარჯიშევი ადამიანების და სუბფებრილიტეტიანი ბავშვების ჰორმონული პროფილი, სურათი მსგავსი აღმოჩნდა: ყველას დასუსტებული ჰქონდა იმუნური სისტემა.

შეიძლება დავხატოთ უმიზეზო ტემპერატურიანი ბავშვების ფსიქოლოგიური პორტრეტი: ისინი უკონტაქტოები, ჩაკეტილები არიან, ადვილად ღიზიანდებიან, ნებისმიერ მოვლენას გამოჰყავს ისინი წონასწორობიდან. უფროსების შეშფოთებული საუბრები და მათ მიერ ყოველ საღამოს თერმომეტრით ტემპერტურის სინჯვა, კიდევ უფრო ნერვიულს ხდის პატარას.

ხანგრძლივ სუბფებრილიტეტს არა აქვს გამოხატული კლინიკური სიმპტომები. ზოგჯერ ბავშვი უმადოდაა, ფემკრთალი და გადაღლილი იერი აქვს. უფროსი ასაკის ბავშვებს, შეიძლება თავის ტკივილი, სისუსტე და ოფლიანობა აწუხებდეთ, მაგრამ უხშირესად ბავშვს სუბფებრილიტეტი არავითარ უხერხულობას არ უქმნის.

რისგანაა ცხელება?

თერმორეგულაციის ძვრების გამო განვითარებულ ხანგრძლივ სუბფებრილიტეტზე შეიძლება ვისაუბროთ მაშინ, როცა ტემპერატურა – 37-38 გრადუსი, ორ კვირაზე მეტხანს გრძელდება. ამასთან:

- ბავშვი არ იკლებს წონაში;
- საგულდაგულო და ყოველმხრივი გამოკვლევა აჩვენებს, რომ მას არა აქვს არავითარი დაავადება – მაგალითად, რევმატიზმი, ინფექციური ენდოკარდიტი, ქრონიკული ტონზილიტი;
- სისხლის საერთო ანალიზი, ცილოვანი ფრაქციები, ტუბერკულინური სინჯი ნორმაშია;
- ტემპერატურას არ აქვეითებს უახლესი ანტიბიოტიკებიც კი, რომელიც ექიმმა რაიმე დაავადებაზე ეჭვის გამო დანიშნა;
- ტემპერატურას არ აქვეითებს სიცხის დამწევი საშუალებებიც.

როგორ ვიცხოვროთ?

საჭიროა თუ არა სუბფებრილიტეტის მკურნალობა? რა არის ეს – დაავადება თუ ორგანიზმის თავისებურება?

მკურნალობა აუცილებელია: მუდმივად მომატებული ტემპერატურა ხომ მუდმივი სტრესია, რომელიც არღვევს ორგანიზმის დამცავ ძალებს. საჭიროა თერმული ცვლის დარღვევის გამომწვევი, ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობის მოხსნა. კარგ შედეგებს იძლევა ნემსთერაპია, წერტილოვანი მასაჟი, ფსიქოთერაპიული მკურნალობა.

მშობელთა ამოცანა კი, სწორი რეჟიმის შერჩევაა. ბავშვის ზედმეტად ჩათბუნება საჭირო არ არის – ნუ განაწყობთ მას ავადმყოფურად. ასევე არ არის აუცილებელი მისი შინ ჩაკეტვა: მხოლოდ გაფრთხილეთ მასწავლებლები, რომ თქვენი შვილი შესაძლოა, სხვებთან შედარებით, ადვილად დაიღალოს და თავი ასტკივდეს. ფიზკულტურის გაკვეთილიდანაც კი, ნუ გაათავისუფლებთ ბავშვს.

სუბფებრილიტეტის მქონე მოზარდებმა კარგად უნდა გამოიძინონ, ისეირნონ და რაც შეიძლება ნაკლებად უყურონ ტელევიზორს. გაკაჟება აუცილებელია: იგი ავარჯიშებს თერმორეგულატორულ მექანიზმებს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ პროცედურების შეწყვეტიდან ორი თვის შემდეგ, ეფექტი ქრება. ამიტომ წარმატების მთავარი პირობა სისტემატური გაკაჟებაა.

მკურნალობა და ცხოვრების სწორი რეჟიმი სწრაფად აწესრიგებს სითბურ ცვლას. იშვიათია შემთხვევა, რომ მუდმივად მომატებული ტემპერატურა ადამიანს მოზრდილობის ასაკამდე გაჰყვეს.

■

მცდარი მოსაზრებანი სწორ კვებაზე

გინდათ ფიგურის შენარჩუნება? ჭამეთ, როცა შიმშილის მსუბუქი გრძნობა შეგაწუხებთ. გიყვართ კიტრის მწნილი? ახრამუნეთ იგი. გასაკვირია, რომ ძალიან ხშირად ვცდებით კვებასთან დაკავშირებულ უბრალო საკითხებში...

მოსაზრება 1. მადა ჭამაში მოდის

სინამდვილეში ორგანიზმი შიმშილის შესახებ ადამიანს ორ სიგნალს აძლევს. პირველი მოდის დაცლილი კუჭიდან, საჭმლის მიღებიდან 3-3,5 საათის შემდეგ, როცა მონელებული საკვების ბოლო ულუფა გადადის თორმეტგოჯა ნაწლავში. თუ სუფრას ამ სიგნალის მიხედვით მიუჯდებით, ბევრს ვერ შეჭამთ.

ვინც შიმშილის პირველ შემოტევას დაძლევს, მას ეს გრძნობა თანდათანობით გაუვლის და დროთა განმავლობაში, საერთოდ აღარ შეახსენებს თავს. ორგანიზმი ჭამის აუცილებლობის შესახებ მეორე შემთხვევაში – „მშიერი“ სისხლიდან მომავალი სიგნალით გვამცნობს, როცა საკვები ნივთიერებები სისხლიდან ჩვენი ორგანიზმის უჯრედებში გადადის. ამ სიგნალის აცილება კი უკვე შეუძლებელია – იგი საკმაოდ მყარია. სწორედ ამ შემთხვევაში მოდის მადა ჭამის დროს და ქრება საჭმლის მიღებიდან 2-3 საათის შემდეგ. მთელი ამ დროის განმავლობაში გაქვთ ჭამის სურვილი და ადვილად კარგავთ ზომიერების გრძნობას.

თუ აღწერილი შემთხვევა თქვენს ქცევას ემთხვევა, მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია. დააწესეთ ჭამის საათები და სადაც არ უნდა იყოთ – სამსახურში თუ შინ, ერთსა და იმავე დროს მიიღეთ საკვები. ამგვარად მოიწესრიგებთ ბუნებრივ ციკლს.

მოსაზრება 2. ტაბილეული – მხოლოდ დესერტზე

სინამდვილეში მას შეუძლია „მგლის მადის“ დამორგუნველის როლი შეასრულოს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მშიერი ხართ და რამდენი ხნის წინ ჭამეთ ბოლოს. თუ გამოტოვებული გაქვთ წინა კვება, უმჯობესია ჭამა ტკბილეულის (შოკოლადის ნატეხის, ორიოდე კანფეტის, ტორტის ნაჭრის, მურაბის ან ნაყინის) მიღებით დაიწყოთ. ეს დაჩქარებს სისხლის გავჯერებას გლუკოზით, შეამცირებს შიმშილის გრძნობას და დაგიცავთ სიმაძღრისგან.

მოსაზრება 3. ჭამა მხოლოდ შესვენებაზეა საჭირო

სინამდვილეში, თუ სამსახურში 6-8 საათს ატარებთ და კიდევ 1-1,5 საათს – გზაში, ასეთი შესვენება 2-3 უნდა გქონდეთ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ბევრ ოფისში სამუშაო ჩერდება პირველი ლანჩისათვის (ჩვენთვის – მეორე საუზმე), ლანჩისათვის (სადილი) და შუადღის ჭამისათვის. დიეტოლოგები ამ სისტემას ოპტიმალურად მიიჩნევენ.

მოსაზრება 4. კვება განცალკევებული უნდა იყოს?

სინამდვილეში, ჩვენი საჭმლის მომნელებელი სისტემა შერეულ კვებაზეა დაპროგრამებული. კუჭსა და ნაწლავში გამომუშავებული ფერმენტთა ნაკრები ერთდროულად ინელებს ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს. როცა ადამიანი ახარისხებს პროდუქტებს, ორგანიზმი ეჩვევა თითოეულ კვებაზე მხოლოდ ერთი სახის მომნელებელი წვენის გამოყოფას, ზარმაცდება და მაშინ განცალკევებული კვებიდან ნებისმიერი გადახვევა ორგანიზმისათვის კატასტროფის ტოლფასი ხდება. ამიტომაა, რომ თუ ერთხელ შეეჩვევით ასეთ კვებას, ძალიან ძნელია მასზე უარის თქმა.

იგივე მექანიზმი მუშაობს ხანგრძლივი შიმშილის დროს. ექიმები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხსნიდნენ, რატომ უმწვავდება ბევრ ადამიანს კანის ალერგია შობასა და აღდგომაზე. მექანიზმი კი ასეთია: ხანგრძლივი მარხვის დროს, კუჭი და ნაწლავი ფერმენტთა მინიმუმს მოიხმარდა და სადღესასწაულო დატვირთვას ვეღარ უმკლავდებოდა.

მოსაზრება 5. ვეგეტარიანელობას ჯანმრთელობისაკენ მივყავართ

სინამდვილეში, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ღრმად შევედით თვითშეზღუდვებში. მკაცრი ვეგეტარიანელები, რომლებიც მთლიანად მოკლებულნი არიან ცხოველურ ცილებს (არა მხოლოდ ხორცს, არამედ კვერცხს, რძეს, ყველს, კარაქს, თევზს) შეუცვლელ ამინომჟავათა (ცილის მოლეკულის საშენი მასალა), მწვავე დეფიციტს განიცდიან. შეუცვლელი მათ იმიტომ ეწოდება, რომ ორგანიზმს არ შეუძლია მათი სინთეზირება. როცა ამინომჟავების ნაკლებობაა, ნივთიერებათა ცვლის პროცესები ირღვევა, კუნთები და გული სუსტდება, ვითარდება სისხლნაკლებობა, ეცემა არტერიული წნევა, ქვეითდება მხედველობა... ამიტომ თუ იდეური მოსაზრებებით უარი თქვით ხორცსა და თევზზე, კვერცხსა და რძეს მაინც ნუ ამოიღებთ სამუდამოდ რაციონიდან.

მოსაზრება 6. მარილი – თეთრი სიკვდილია

სინამდვილეში სხვადასხვა ადამიანი, განსხვავებულად მგრძნობიარეა მარილის სიჭარბისადმი. ზოგისთვის იგი ნამდვილად არ არის სასარგებლო, ზოგს კი ზიანს სულაც არ აყენებს. იმის გასარკვევად, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით, შეჭამეთ დამარილებული თევზის რამდენიმე ნაჭერი ან ორი ცალი კიტრის მწნილი და დღე-ღამის განმავლობაში დააკვირდით, რა შედეგი გექნებათ. თუ გაქვთ საშუალება, ყოველ საათში ერთხელ იზომეთ არტერიული წნევა, თუ არა და, უბრალოდ, ხშირად ჩაიხედეთ სარკეში, რათა არ გამოგეპაროთ ქუთუთოების და სახის შეშუპება. შეამოწმეთ საქორწინო ბეჭედი – ადვილად გძვრებათ ხელიდან? თუ ორგანიზმში სითხის შეკავების სიმპტომები გაქვთ, მაშინ მოგიწევთ მარილის შეზღუდვა. თუ მსგავსი ვერაფერი შენიშნეთ, მარილიანი საკვების შემცირება არ არის აუცილებელი.

მოსაზრება 7. შოკოლადი და ფორთოხალი ალერგიას იწვევს

სინამდვილეში, კვებითი ალერგენები ინდივიდუალურია ყველა ადამიანისათვის. ერთნი შოკოლადის მიმართ არიან ალერგიულნი, მეორენი – ფორთოხალს ვერ იტანენ, ხოლო მესამენი – წითელ ვაშლს... არსებობს ყველაზე ალერგენული პროდუქტების სია, რომელიც ასე გამოიყურება: კვერცხი, რძე, კიბორჩხალა, თევზი, ხიზილალა, ლუდი, შებოლილი ძეხვი და ხორცი, მწნილეული, ძმარი, მდოგვი, მაიონეზი, ქათმის ბულიონი, ბარდა, ლობიო, ანანასი, კივი, შოკოლადი, ყავა, კაკაო, თაფლი, მარწყვი, ჟოლო, ატამი, გარგარი, ბროწეული. როგორც ხედავთ, შოკოლადი სიის ბოლოშია, ხოლო ფორთოხალი მასში საერთოდ არ ფიგურირებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, კვებითი ალერგიისგან თავის დაღწევა შესაძლებელია. თუ რამდენიმე დღის განმავლობაში ყოველდღიურად მიიღებთ ცოტა ალერგენულ პროდუქტს (მაგალითად, მარწყვის ნახევარს), პრობლემა თავისთავად გადაიჭრება. მაგრამ ასეთ ინიციატივას საკუთარ თავზე ნუ აიღებთ. მსგავსი მკურნალობის (მას ჰიპოსენსიბილიზაციას უწოდებენ) მსვლელობას აუცილებლად უნდა აკვირდებოდეს ალერგოლოგი. ■

კითხვა + პასუხი

კითხვა: ვიმშობიარე ერთი თვის წინ. ბავშვს ძუძუთი ვკვებავ. ჯერ მომდევნო ორსულობისაგან მინდა თავი შევიკავო. მაინტერესებს, დამიცავს თუ არა ძუძუთი კვება ორსულობის განვითარებისაგან?

პასუხი: არსებობს კონტრაცეფციის ბუნებრივი საშუალება ე.წ. ლაქტაციური ამენორეა, რომელიც მეძუძური ქალის ფიზიოლოგიურ თავისებურებებს ემყარება. ლაქტაციისას (ძუძუთი კვებისას) ქალი კარგავს განაყოფიერების უნარს, რაც მენსტრუაციის დროებით შეჩერებაში (ამენორეაში) ვლინდება. სრულყოფილი ლაქტაციის შემთხვევაში პირველი 6 თვის განმავლობაში დედის ორგანიზმში კვერცხუჯრედი არ მწიფდება.

ლაქტაციური ამენორეის მეთოდი წარმატებულია, თუ სრულდება სამი ძირითადი პირობა: 1. ქალი მხოლოდ ძუძუთი უნდა კვებავდეს ბავშვს; 2. ჩვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს; 3. მენსტრუალური ციკლი არ უნდა იყოს აღდგენილი.

თუ სამივე პირობა სრულდება, მეთოდი შემთხვევათა 98%-ში ეფექტიანია, ხოლო თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც დარღვეულია, მეთოდი საიმედო ვეღარ იქნება და უმჯობესია, კონტრაცეფციის სხვა საშუალება გამონახოთ, მაგრამ ისეთი, რომელიც დასაშვებია მეძუძურობის პერიოდში.

კითხვა: მყავს 5 წლის გოგონა; მაშფოთებს მისი გაუთავებელი შიშები. განუწყვეტლივ ცვლის შიშის მიზეზს: 3 წლის რომ იყო, უეცრად დაეწყო კარჩაკეტილ ოთახში დაძინების შიში, შემდეგ საქანელა შეეძულა; ახლა კი ლიფტის შიში აქვს. მაქვს თუ არა შეშფოთების საფუძველი და როგორ მოვიქცე?

პასუხი: შიში ბავშვის ფსიქიკის განვითარების ბუნებრივი მოვლენაა. სამყაროს აღქმის პროცესში იგი ყალიბდება როგორც პიროვნება. აცნობიერებს საგნებისგან და სიტუაციებისგან მოსალოდნელ საშიშროებას, სწავლობს სიფრთხილეს, იქცევა ისე, რომ თავი დაიცვას საფრთხისაგან.

დროთა განმავლობაში პატარა უკეთ აცნობიერებს საშიშროების ხარისხს და შიშიც გაივლის ხოლმე. მხოლოდ ხანგრძლივი, სტაბილური შიში, რომელიც ხელს უშლის მას ცხოვრებაში — ბავშვებთან თამაშში, ეზოში გასვლაში, ავტობუსით მგზავრობაში და ა.შ. არის დესტრუქციული შიში. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ფსიქოლოგის სპეციალური მუშაობა.

ამ დროს სპეციალისტის სამუშაო მიმართულია არა იქითკენ, რომ ებრძოლოს ასეთ შიშს, არამედ იგი ცდილობს, შეამციროს შიშის ინტენსიურობა ბუნებრივ ფონამდე. ხატვის, ძერწვის, ზღაპრებისა და ამბების თხრობის პროცესში მჟღავნდება ასეთი შიში. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს ღია სივრცის შიში, მას ეშინია ოთახის შუაგულში მარტო მისვლისაც კი. გავითამაშოთ „კომბლეს“ ზღაპარი: მიდის კომბლე ცხვრების მოსაძებნად (კომბლე ერთ-ერთი ბავშვი იქნება), მიაღწია ოთახის შუაგულამდე და მას გზაში ჩვენი „მშიშარა“ — დათვი უნდა შეხვდეს. ასეთ დროს მას არ გაუჭირდება ოთახის ცენტრში გადანაცვლება, რადგან იქ მარტო არ არის, მაგრამ „კომბლე“ აგრძელებს გზას (ზღაპარში ასე ხდება) და მშიშარა ბავშვიც მარტო აღმოჩნდება. ეს ყველაფერი ხომ თამაშის კონტექსტთანაა შერწყმული და პატარასაც შიში უქრება. როცა შიში აღარ არის განცალკევებული და ერწყმის ცხოვრების, თამაშის მოვლენებს, მისი ინტენსიურობაც კლებულობს.

4-8 წლის ასაკში ბავშვი პირველად აცნობიერებს საკუთარ თავს მშობლებისაგან განცალკევებულად. ამიტომ ვითარდება სიკვდილის, მშობლების დაკარგვის, შინ, ოთახში მარტო დარჩენის შიში. მშობლებმა ამ დროს ტაქტი უნდა გამოავლინონ, არ დასცინონ პატარას, თავად არ შეაშინონ შიშის დაძლევის მიზნით და მაშინ, დროთა განმავლობაში ყველაფერი უკვალოდ გაივლის. თუ ატყობთ, რომ ბავშვს მაინც სჭირდება სპეციალისტთან ვიზიტი, გირჩევთ, მიმართოთ ბავშვთა ფსიქოლოგს. რაც უფრო ადრე დაიწყება მუშაობა შიშის დასაძლევად, მით უკეთესი იქნება საბოლოო შედეგი.

კითხვა: რით განსხვავდება შაქრიანი დიაბეტი უშაქროსაგან?

პასუხი: შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზში კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონის — ინსულინის ნაკლებობაა წამყვანი, ხოლო უშაქრო დიაბეტის დროს, ჰიპოფიზის ჰორმონის — ვაზოპრესინის გამოყოფაა დაქვეითებული. ვაზოპრესინი არეგულირებს სითხის შეწოვას თირკმლის მილაკებში და მისი ნაკლებობისას ეს პროცესი დაქვეითებულია, ამიტომ სითხე დიდი რაოდენობით გამოიყოფა ორგანიზმიდან (დღეში 10-12 ლ). ორივე დაავადების დროს ადამიანს აწუხებს პოლიდიფსია (გაძლიერებული წყურვილიანობა) და პოლურია (გაძლიერებული შარდვა), მაგრამ ეს სიმპტომები გაცილებით მძაფრადაა გამოხატული უშაქრო დიაბეტის დროს. შაქრიანი დიაბეტის დროს დარღვეულია გლუკოზის ცვლა, ხოლო უშაქროს დროს — არა.

ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია, შარდის ცვლილებები. უშაქრო დიაბეტის დროს შარდის ხვედრითი წონა მკვეთრადაა დაქვეითებული, ხოლო შაქრიანის დროს — მომატებული და ხშირად მასში გლუკოზაც აღმოჩნდება ხოლმე.

კითხვა: რას უკავშირდება ფეხის ქუსლების გაუხეშება და ნახეთქების გაჩენა და როგორ ვიმკურნალო?

პასუხი: ფეხის ქუსლებზე კანის გაუხეშება და ნახეთქების გაჩენა არის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგი, ხოლო ეს დარღვევა თავის მხრივ, ავიტამინოზის და მინერალების ნაკლებობის გამო ვითარდება, კერძოდ სავარაუდოა, რომ თქვენ გაკლიათ A და B ჯგუფის ვიტამინები. გირჩევთ, მიიღოთ პოლივიტამინის (უნდევიტი, ცენტრუმი, დეკამევიტი) პროფილაქტიკური დოზა. თუ ამან შედეგი არ გამოიღო, გამოიკვლიეთ სისხლი შაქარზე, იოდის ცვლაზე და პათოლოგიის დადგენის შემდეგ, ჩაიტარეთ სათანადო მკურნალობა.

კითხვა: გათხოვებამდე ყოველწლიურად ვიტარებდი მასაჟებს გაზაფხულობით, მაგრამ ახლა ვარ ორსულად. მაინტერესებს, ორსულობისას ხომ არ მავნებს, მასაჟი რომ გავიკეთო?

პასუხი: სწორად შესრულებული მასაჟი დადებითად მოქმედებს ადამიანის თვითშეგრძნებაზე, მაგრამ ორსულობის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო მასაჟის შესრულებისას, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს საშვილოსნოს ყელის შეკუმშვები და გართულებები მშობიარობისას. ■

პაციფისტებმა გრეტცკიზე მიიტანეს იერიში

როგორც ცნობილია, ერაყში მიმდინარე ომის მიმართ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საპროტესტო აქციები იმართება და ამერიკისადმი ადამიანთა აგრესიული დამოკიდებულება თანდათან მძაფრდება. ამ საქმეში, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენებიც აქტიურობენ. მაგრამ ჯორჯ ბუშსა და მის მოკავშირეებს დამცველიც გამოუჩნდა. ჰოკეის კანადელმა ვარსკვლავმა, უეინ გრეტცკიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ბუში უდიდესი ლიდერია და ის უჭერს მხარს ერაყში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეი კანადაში თითქმის რელიგიის, ხოლო გრეტცკი – ეროვნული გმირის რანგშია აყვანილი, სპორტსმენის ასეთმა განცხადებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებაში, განსაკუთრებით – მის პაციფისტურ ნაწილში. იეინის ქანდაკებაზე, რომელიც სპორტის სასახლის – „სკარიჩ ცენტერის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დგას, გაჩნდა წარწერა – US Lackey („ამერიკული დოლარის ლაქია“), რის შემდეგაც სკულპტურის წესრიგში მოსაყვანად, პოლიციელებს გარკვეული დრო დასჭირდათ. „ჩვენ იმ ადამიანებზე უნდა ვიფიქროთ, რომლებიც ამჟამად ერაყში იბრძვიან და არა მათზე, თუ რას ამბობენ სპორტსმენები ან მიმომხილველები“ – განაცხადა „ფინიკსის“ ამჟამინდელმა მფლობელმა მას შემდეგ, რაც პაციფისტებმა ჰოკეის ცნობილ მიმომხილველებზე – დონ ჩერისა და რონ მაკლინზეც მიიტანეს იერიში. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ჩერიმ და მაკლინმა თავიანთ გადაცემაში – Hockey Night in Canada ერაყის ომის შესახებ ისაუბრეს.

■

ფედოროვისაგან „გაქურდულმა“ კურნიკოვამ მეტოქეთა შეშინება სცადა

ანა კურნიკოვამ, რომელიც ბოლო წლებში ძალიან უხეიროდ ასპარეზობს საჩოგბურთო ტურნირებზე, როგორც ჩანს, მეტოქეთა შესაშინებლად ახალ მეთოდს მიმართა. იგი კორტზე ექსტრავაგანტური მაკიაჟით გამოვიდა, რომელიც ფილმის –„ბეჭდების მბრძანებელი“ – პერსონაჟის ნიღაბს წააგავდა. მიუხედავად ამისა, ანას მეტოქეები მაინც არ შეშინებულან და რუსმა სექს-სიმბოლომ კვლავ წააგო. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ წარსულში ანა კურნიკოვასა და სერგეი ფედოროვის საიდუმლო ქორწინების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ არა მარტო სპორტის გულშემატკივრები გააოგნა, არამედ თავად რუსი ლამაზმანიც. კურნიკოვამ განაცხადა, რომ ამის გამო, 10 მლნ დოლარს დაკარგავს: „სერგეის ამის უფლება არ ჰქონდა, – აღნიშნა აღშფოთებულმა ანამ, – ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით რომ ქორწინებაც და განქორწინებაც საიდუმლოდ დარჩებოდა. ამ უაზრო აღსარებამ შეიძლება, არაერთი სარეკლამო კონტრაქტი დამაკარგვინოს. რეკლამის შემკვეთების პირობების მიხედვით ხომ, ჩემ გვერდით, არც ერთი მამაკაცი არ უნდა ფიგურირებდეს?“ სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ანას სხვისმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა შეუქმნა პრობლემები.

■

რალფ შუმახერი თავის „ცისფერთმას“ უარყოფს

ამას წინათ, გერმანულმა გაზეთმა Bild-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც Williams-ის პილოტი რალფ შუმახერი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა ყოფილა (სპორტსმენთა „გაცისფრების“ პროცესი თუ ამ ტემპით გაგრძელდა, ალბათ სულ მალე, იმის დადგენაც გაჭირდება, თუ რომელი სექსუალური ორიენტაციაა ტრადიციული და რომელი – არატრადიციული...) და იმიტომ დაქორწინებულა, რომ თავისი ჰომოსექსუალური მიდრეკილებები შეენიღბა. „მე ისევე შეიძლება მეწოდოს გეი, როგორც დუნაის შეიძლება დავარქვათ კუნძული“, – ამბობს აღშფოთებული მრბოლელი, რომელიც აღნიშნულ გაზეთს სასამართლოში უჩივის. Bild-მა აღნიშნული ცნობა იმ ფოტოსურათის საფუძველზე გაავრცელა, რომელზეც რალფი ზალცბურგში გახსნილი ახალი ბარის მფლობელ ორ „ცისფერ“ მამაკაცთან ერთად არის აღბეჭდილი. მაშინ შუმახერი იმ სტუმრებს შორის იმყოფებოდა, რომლებიც ბარის პრეზენტაციაზე იყვნენ მიწვეულნი. პრეზენტაციის ბოლოს, შუმახერ-უმცროსმა სურათი გადაიღო ბარის მფლობელებთან ერთად და ეს ფოტო დიდი ხნის განმავლობაში, ამ დაწესებულების კედელზე ეკიდა.

■

მიხაელ შუმახერი პოლოს მომკვი– დრეიმთან აპირებს ფეხბურთის თამაშს

Ferrari-ს სუპერპილოტი, მიხაელ შუმახერი უახლოეს მომავალში საფეხბურთო მატჩში ბრაზილიელ ვარსკვლავებთან ერთად ითამაშებს. გერმანელი „წითელი ბარონი“ ბრაზილიის 2002 წლის ჩემპიონის, „სანტოსის“ ვარჯიშში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. როგორც ცნობილია, თავის დროზე, სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა პელე. საჩვენებელი მატჩისათვის ბილეთები უკვე იყიდება; შემოსული თანხა ოჯახურ სითბოს მოკლებული ბავშვებისათვის TV Globo Network-ის მიერ წამოწყებულ საქველმოქმედო საქმიანობას მოხმარდება. ტელეკომპანია, Ferrari-ს ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და ფეხბურთისადმი თავისი დიდი სიყვარულით ცნობილი მიხაელისაგანაც უმალვე მიიღო თანხმობა.

■

ჩრდ. ნახ. სფეროს სპირალური ნისლოვანება
„ანტიგონე“ (ფრანგი დრამატურგი)
ტროას უკანასკნელი მეფე
სახელმწიფო თავისი კოლონიების მიმართ
ქართული ხალხური ანსამბლი
ნათურის ფეშმარიტი გამომგონებელი
ჯონათან სვიფტის გოლიათი
შიგნეულის ძეხვი
ინგლისელი მწერალი
იტალიის ტელეკომპანია
სამი სარწმუნოების ცენტრი
ფრანგი კინოშახ. ჟულავსკის ნაცოლარი
ხრიკი, ფანდი
გერმანელი პოეტი
ელცინის მეუღლე
ჯუჯა ცხენი
სავაჭრო ამხანაგობის წევრი
გიტარის კორპუსის ნაწილი
რახმანინოვის ოპერა
ნეკრასოვის ზღაპრის გმირი კაპიტანი
ინერტული აირი
რაიონული ცენტრი საქართველოში
ქართველი წმინდანი
რუსული მკერელიტრაფანი ავტომობილი
ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
ლა მუტუ ავტომობილის ძრის ტიპი ტვლდ
ელიავა
ქვეყნის ნაწილი
ლოგარითმის წილადური ნაწილი
მეტყველების უნარის დაკარგვა
უკურკოლიმონი
ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი
გოგონა საოცრებათა ქვეყანაში
UEFA-ს შტაბბინა
რუსული ვერტმფრენი
კანაფის ან ფოლადის ბაგირი
რუსული სარეცხი მანქანის მარკა
დახრილი კოშკი
ქალაქი საფრანგეთში
ფრანგი კინომსახიობი ... ჟირარდო
ველური მსხალი
ქართული ჯიშის ყურძენი
თმის საცვენი ტალახი
ეპიდგინა რამაზ ალანიამ



28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა; 4-ბ.
41-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

კვირის (7 – 13 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV



მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დატვირთული დღეები გელით, საერთო ჯამში, ეს კვირა თქვენთვის სასიკეთოდ ჩაივლის. ძალზედ ენერგიული იქნებით, ძალზედ მოულოდნელ და კეთილგონივრულ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებთ, არაჩვეულებრივად გამოგივათ.

კურო – 21/IV-21/V

ამ კვირაში ყველაზე ნაკლებად მუშაობის პერსპექტივა გხიბლავთ. იმდენად დიდია დასვენების, მეგობრებთან ურთიერთობის, თეატრსა თუ კლუბში წასვლის სურვილი, რომ სამსახურის გახსენებაც კი გზარავთ, მაგრამ გამაგრდით. თავი იმით დაიმშვიდეთ, რომ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, შესაძლოა, ხელმძღვანელობამ მეტად მიმზიდველი და მომგებიანი წინადადება შემოგთავაზოთ.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

კვირის დასაწყისში ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო დავალებას მოგცემენ. გაფრთხილდით: როცა ამ სამუშაოს გაუმკლავდებით, თავში ნუ აგივარდებათ – ამის გამო დამსახურებული ქების ნაცვლად, შესაძლოა, ძალზედ ირონიული დამოკიდებულება დაიმსახუროთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

საკმაოდ დატვირთული კვირა გექნებათ. დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ ახლობელ ადამიანზე ზრუნვა (შესაძლოა, ეს ბავშვი იყოს), მაგრამ ეცადეთ, სამსახურში ყურადღება არ მოადუნოთ, თორემ უმნიშვნელო უზუსტობაც კი, ძვირად დაგიჯდებათ.

ლომი – 23/VII-23/VIII



საკმაოდ პოზიტიური და კონსტრუქციული კვირაა. თქვენი ცხოვრების საღად შეფასებას შეძლებთ. ზუსტად განსაზღვრავთ პრიორიტეტებს და ხელის შემშლელი ფაქტორების დაძლევასაც მოახერხებთ. ამასთან, ორშაბათს და სამშაბათს ფინანსური წარმატებაც გელით. ოღონდ, მხოლოდ და მხოლოდ საქმეში – კაზინოსკენ გახედვაც არ გაბედოთ!

ქალწული – 24/VIII-23/IX

ძალიან მოსაწყენი და გამაღიზიანებელი იქნებით ირგვლივ მყოფთათვის. ამის მიზეზი ზედმეტად დაძაბული სამუშაო კვირაა. მაგრამ, თუკი თქვენს თავს დაუკვირდებით, მიხვდებით, რომ ამ დაძაბულობას თავადვე ქმნით და გადაჭარბებული ემოციურობით ეკიდებით ყოველ წვრილმანს.

სასწორი – 24/IX-23/X

ერთი მხრივ, თვითდამკვიდრების სურვილი გაგიძლიერდებათ და მოგინდებათ, რომ გარშემო მყოფები პატივისცემითა და მოკრძალებით გექცეოდნენ; მეორე მხრივ – სწორედ ეს გარემოცვა გაღიზიანებთ თავისი შეუგნებლობითა და თქვენ მიმართ უნდობლობით. ისღა დაგრჩენიათ, გაერკვეთ, როგორ შეათანხმოთ ეს ორი ტენდენცია...

ღრიანკალი – 24/X-22/XI

იღბლიანი კვირა იქნება ნებისმიერი საოჯახო საქმისათვის და საკმაოდ ნეიტრალური – მოლაპარაკებების, საჯარო გამოსვლებისა და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მოერიდეთ ყოველგვარ მექანიზმს, ფეთქებად ნივთიერებასა და მაღალი ძაბვის ბოძებს. თუკი რომელიმე მათგანთან მუშაობა გიწევთ, სჯობს, შვებულება აიღოთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ამ კვირაში ძალზედ პრაქტიკული იქნებით და ნებისმიერი საკითხის თქვენს სასარგებლოდ გადაჭრას მოახერხებთ. ამასთან, ძალიან ადვილად მოიპოვებთ სხვების ნდობას, შეიძენთ ახალ მეგობრებს და ახალ რომანსაც კი გააჩაღებთ. ეცადეთ, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

კვირის დასაწყისში არანახულ შვებას იგრძნობთ. რაღაც ძველი და მეტისმეტად რთული პრობლემა თავისთავად და თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. მეტიც, კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში ასევე ადვილად მოგვარდება ყველა საკითხი, რომელიც თქვენს კეთილდღეობას ეხება.

მერწყული – 21/I-19/II

მთელი თქვენი დიპლომატიური ნიჭის გამოვლენა მოგიწევთ, რადგან ამ კვირაში მრავალ ადამიანს შეხვდებით – მათ შორის ისეთებსაც, რომლებსაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებით. თუკი სწორ ტაქტიკას აირჩევთ, ყველა გაუგებრობიდან გამარჯვებული გამოხვალთ.

თევზები – 20/II-20/III

მშვიდი და წყნარი დღეები საშუალებას მოგცემთ, ახლო მომავლის გეგმები დასახოთ. შესაძლოა, გამოგიჩნდეთ შვებულებაში გასვლის ან საინტერესო მივლინებაში გამგზავრების შესაძლებლობა. შაბათ-კვირას ელიტურ წვეულებაზე მიგიპატიჟებენ – უარს ნუ იტყვით, რადგან იქ მეტისმეტად საჭირო ხალხს გაიცნობთ.

განაჩენი რომეოსა და ჯულიეტასთვის

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ რომეო და ჯულიეტა ყველა დროის ყველაზე რომანტიკულ წყვილადაა აღიარებული, მაგრამ იქნებ, თქვენ ისეთი შეყვარებული ხართ, რომ ამ გრძნობით, რომეოს და ჯულიეტას სიყვარულსაც კი გადააჭარბოთ? შეამოწმეთ თქვენი თავი. ამისთვის კი, ქვემოთ მოყვანილ კითხვებს რაც შეიძლება გულახდილად უნდა უპასუხოთ:

1) ბოლოს, როდის მიართვით საყვარელ ადამიანს მოულოდნელად საჩუქარი?

ა) ერთი თვის წინ – 2;

ბ) ერთი წლის წინ – 1;

გ) აღარც კი გახსოვთ – 0.

2) უმეტესად, თქვენი ქცევით ცდილობთ თუ არა, ასიამოვნოთ საყვარელ ადამიანს?

ა) ხშირად – 2;

ბ) ხანდახან – 1;

გ) ძალიან იშვიათად ან არასოდეს – 0.

3) რამდენად ხშირად ეუბნებით: „მიყვარხარ“?

ა) ყოველდღე – 2;

ბ) კვირაში ერთხელ – 1;

გ) ამისთვის ყურადღება არ მიგიქცევიათ – 0.

4) საყვარელ ადამიანთან რამდენად ხშირად ატარებთ განმარტოებით დროს?

ა) ძალიან ხშირად – 2;

ბ) ხანდახან – 1;

გ) ამისთვის დრო თითქმის არ გრჩებათ – 0.

5) როდის ახერხებთ ხოლმე, ერთად წარსულის გახსენებასა და სამომავლო გეგმების დასახვას?

ა) ყოველდღე – 2;

ბ) კვირაში ერთხელ ან ორჯერ – 1;

გ) თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად – 0.

6) რას ნიშნავს თქვენთვის შვილებისა და ტელევიზორის გარეშე საყვარელ ადამიანთან ერთად გატარებული საღამო?

ა) იმას, რასაც მუდამ მოუთმენლად ელით – 2;

ბ) ძალიან სასიამოვნო რამეს – 1;

გ) ამაზე არც გიფიქრიათ – 0.

7) გჩვევიათ თუ არა სხვების თვალწინ საყვარელი ადამიანის მიმართ საკუთარი გრძნობების გამოხატვა?

ა) მუდამ – 2;

ბ) გააჩნია სიტუაციას – 1;

გ) ძალიან იშვიათად, ან თითქმის არასოდეს – 0.

8) შინიდან გასვლისას, ჰკოცნით თუ არა თქვენს საყვარელ ადამიანს?

ა) ყოველ დილით – 2;

ბ) თითქმის ყოველ დილით – 1;

გ) ხანდახან – 0.

9) შეგიძლიათ თუ არა გაიცხოთ საყვარელი ადამიანი სხვების თანდასწრებით?

ა) არასოდეს – 2;

ბ) იშვიათად, როცა სიტუაცია მოითხოვს – 1;

გ) როცა დაიმსახურებს – 0.

10) დღის განმავლობაში ურეკავთ თუ არა მას ტელეფონით მხოლოდ იმისთვის, რომ მოიკითხოთ?

ა) დიახ, ხშირად – 2;

ბ) იშვიათად, თუ გაგახსენდათ – 1;

გ) არა – რა საჭიროა? – 0.

11) დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ თქვენი რჩეული სწორედ ის ადამიანია, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრების გატარება გსურთ?

ა) დიახ – 2;

ბ) რატომ მთელი ცხოვრების – 1;

გ) არა, ყველაფერი დროებითია – 0.

დაანჯამეთ ქულები

15-22 ქულა: ძალიან რომანტიკული ხართ. საყვარელი ადამიანის მიმართ ყოველთვის სითბოს და მზრუნველობას იჩენთ. მუდამ და ყველგან ამაყად აცხადებთ, რომ ის ძალიან გიყვართ. თქვენი პარტნიორიც ამას შეეჩვია და სიყვარულის დემონსტრირებას ხშირად ითხოვს, თუმცა თქვენ ამის შეხსენება არ გჭირდებათ. ეს ყველაფერი შესანიშნავად აისახება თქვენს ურთიერთობაზე.

7-14 ქულა: ნამდვილად იცით, რა არის სიყვარული და ამ გრძნობას აფასებთ კიდეც, მაგრამ რომანტიკულობა გაკლიათ. სიყვარულის ახსნას, მზრუნველობას და საჩუქრებით საყვარელი ადამიანის გახარებას, წვრილმანებად მიიჩნევთ, იმას კი არ ითვალისწინებთ, რომ სწორედ ეს წვრილმანები ალამაზებს ცხოვრებას.

0-6 ქულა: კარგი იქნება, თუ თქვენ მიერ გაცემულ პასუხებს კიდევ ერთხელ გადახედავთ და ჩაუფიქრდებით. თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა ჩიხშია მოქცეული და თუ დროულად არ იღონეთ რამე, შეიძლება საყვარელი ადამიანი დაკარგოთ. გაუფრთხილდით ამ გრძნობას, თორემ შემდეგ აუცილებლად ინანებთ.

მექსიკაში იმპოტენტებთან გაყრა კანონით აიკრძალება

მექსიკაში ახალი კანონის მიღებას აპირებენ, რომლის მიხედვითაც, ცოლებს იმპოტენციის მიზეზით ქმრებთან გაყრა აეკრძალებათ. ახალ კანონს ხანში შესული იმ მამაკაცების დასაცავად მიიღებენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ანგარებიანი ქორწინების მსხვერპლნი ხდებიან. კოლიმის საქალაქო საბჭოს დეპუტატები გამოვიდნენ იმ საკანონმდებლო აქტის შეცვლის ინიციატივით, რომლის საფუძველზეც იმპოტენციის მიზეზით, ცოლებს ქმრებთან გაყრის სრული საფუძველი აქვთ. ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ხანში შესულ მამაკაცთა უფლებები აუცილებლად უნდა იყოს კანონით დაცული, რათა ახალგაზრდა ქალბატონებს არ მიეცეთ მათ ხარჯზე გამდიდრების საშუალება. „მექსიკაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა ქალი შეგნებულად მიჰყვება ცოლად მასზე უფროს მამაკაცს, ხოლო მას შემდეგ, რაც ქმრის ქონებაზე უფლებას მოიპოვებენ, სასამართლოში გარბიან და მეუღლეს იმპოტენციაში ადანაშაულებენ“, – აცხადებს რობერტ ჩაპულა, კოლიმის ერთ-ერთი კანონმდებელი. ■

გოშიები წმინდა სისხლის ძაღლებზე მეტხანს ცოცხლობენ

დანიის ვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო სამეფო უნივერსიტეტის მეცნიერმა, ჰელი ფრის პროშოვსკიმ ძაღლების სიკვდილის სამი ათასზე მეტი შემთხვევა შეისწავლა და დაადგინა, რომ ჯიშიანი ძაღლები უფრო ცოტა ხანს ცოცხლობენ, ვიდრე მათი შერეულსისხლიანი თანამოძმენი. წმინდა სისხლის ძაღლების (გამოკვლეულ იქნა 20 სახეობა) სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ – ათი წელია, შერეულსისხლიანთა კი – თერთმეტი. თუმცა, წმინდა სისხლის მქონე ზოგიერთი ჯიშის ძაღლები ათ წელზე მეტხანს ცოცხლობენ. მაგალითად, შოტლანდიური ნაგაზის, პუდელისა და ტაქსას სიცოცხლის ხანგრძლივობა თორმეტ წელსაც აჭარბებს. აი, როტვეილერი, მწევრები და ნაგაზები კი, უფრო ნაკლებს ცოცხლობენ. გამოკვლევების შედეგად დადასტურდა ის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, პატარა ძაღლები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მოზრდილები. თუმცა მეცნიერმა ამ ფაქტს ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნა. ძაღლებში სიკვდილიანობის 20% სიბერითაა გამოწვეული. მეორე ადგილზეა – კიბო, ამ დაავადებისაგან ძაღლების 14,5% იღუპება. ■

ჰაკერებმა ახაბეთის ტელევიზიაში პორნოსაიტი და აშშ-ის დროშის გამოსახულება გაუშვეს

ჰაკერებმა პანარაბული ტელეარხის „ალ-ჯაზირას“ ინტერნეტსაიტში შეაღწიეს და მისი მაყურებლების ნაწილი პორნოსაიტზე გადართეს, მეორე ნაწილის ეკრანებზე კი, გამოჩნდა აშშ-ის დროშის გამოსახულება წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ „ალ-ჯაზირას“ ტელეარხის წარმომადგენელმა ჯიჰად ალი ბალუტმა ჰაკერების ამ აქციას „თავისუფალ პრესაზე უხეში და ბინძური თავდასხმა“ უწოდა.

ტელეარხის ინგლისურ და არაბულენოვანი საიტები დიდი პოპულარობით სარგებლობს. სამაუწყებლო პრობლემები „ალ-ჯაზირას“ მას შემდეგ შეექმნა, რაც მის არხზე ერაყში მოკლული და დატყვევებული ჯარისკაცები აჩვენეს. ჰაკერებმა „ალ-ჯაზირას“ საიტზე ურიცხვი უაზრო ინფორმაცია გაგზავნეს და ამის მეშვეობით, ტრაფიკის ბლოკირება მოახერხეს. ჰაკერთა ორგანიზებული დაჯგუფების წევრები საკუთარ თავს „თავისუფლების კიბერ-ლაშქარს“ უწოდებენ. ამ დაჯგუფების მიერ განხორციელებული ერთ-ერთი საინფორმაციო შეტევის შედეგად, ეკრანზე გამოჩნდა წარწერა: „ღმერთო, დაიფარე ჩვენი ლაშქარი!“ – ამის შემდეგ კი, არაბული საიტი, პორნოსაიტზე გადაირთო. ■

ჩინელი სტუდენტები იძულებითი მიერთმევენ

ჩინეთში გავრცელებულმა ახალმა მოდამ, რომელიც საოცარი სისწრაფით მოედო ჩინელ სტუდენტებს, ფსიქოლოგების შეშფოთება გამოიწვია. ჩინეთის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი რძეს საწოვარიანი ბოთლებიდან მიირთმევს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პოპულარულია სტუდენტ გოგონებში. ფსიქოლოგების აზრით, ჩინელი ახალგაზრდები ქვეშეცნეულად ცდილობენ, ბავშვობას დაუბრუნდნენ, რათა თავი უფრო კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნონ. ბავშვობაში ხომ, როცა მათ დედები ძუძუთი კვებავდნენ, ისინი საოცრად უსაფრთხოდ

და დაცულად გრძნობდნენ თავს. თუმცა, თავად სტუდენტები ამ ფაქტს ბევრად უფრო მარტივად ხსნიან: მათი თქმით, საწოვარათი რძის დალევა ძალზედ „მოსახერხებელი და მოდურია“. ■

ფოტოკუთხეები







N7(41) 3/IV-16/IV.-2003.

ოჯახის

მეუნიანელი

საშვილიშვილო ჟურნალი

ფასი 70 თ.



მთავარი თემა
ალერგია

რადიკულიტის წინააღმდეგ

დეპრესია

ყაბზობა ბავშვებში

უნაყოფობა

ტრანსსექსუალიზმი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის